

7  
თავისუფალი  
საზოგადოებრივი

619 /  
1990/2




ISSN 0130-1624

# დასაბამი

საზოგადოებრივი № 8 1990





### მემლერება და ვიმლერი (სიმღერა)

მემლერება და ვიმლერი, —  
გულზე მჭირს სამი იარა:  
ნარსულზე ფიქრი მანუხებს,  
ანმყოში არა ყრია-რა  
და მომავლის ფიქრებიც  
არავინ გამიმზიანა!

ნისლებში გახვეულია,  
ოდნავა ბუტავს ვარსკვლავი,  
ველარ ვაშორებ თვალებსა,  
ერთხელ იმისი მნახავი.  
დაჟინებულის მის ცქერით  
შევიქენ დასაძრახავი.

გულში კი წყლული იზრდება,  
სულსა მიხუთავს, მალონებს,  
სიკვდილი არა მნადიან,  
თუმც ტანჯვა სიკვდილს მაგონებს,  
და ჩემი ყოფნა ასეთი  
სანყალს ამირანს მაგონებს.

ხმალიც გვერდს უძე, გოშიაც  
ერთგულადა ჰღრღნის რკინასა;  
არც ხმალი მოდის გმირთანა,  
ვერც თითონ სწვდება იმასა.  
გაღრღნილი ჯაჭვიც მთელია,  
ჰხედავს, მეორე დილასა;  
სწვავს ტანჯვა-ვაეების ცეცხლი  
პატრონს და იმის ფინასა:  
მომავლის სხივი აქარვებს  
გმირის ოხვრას და გმინვასა.

(1903 წ.)



... მსოფლიო ლიტერატურაში ვაჟა და ყაზბეგი განმარტობით არიან. და მათთანვე არის მთას შეფარებული ქართული სულიც. მეტად ძნელია მთასთან მისვლა. იქ სულ სხვაგვარი განცდებია, თავისებური აზრი და ნებისყოფა. იქ ხალხი ამირანის ამაღლას ჩამორჩენილებივით არიან მდევის ნაფხურებზე მიმოფანტულნი. იქ სიცოცხლედ სხვანაირია და სიკვდილიც თითქოს უფრო ადვილი. იქ ერთგვარი პანთეონია, სადაც სველი სულის განძეულობა იწახება თამარის საფლავივით.

ვაჟა და ყაზბეგი, ეს ორი პოეტი მივიდნენ მთასთან ხევის დეკანოზებივით. მხოლოდ იმ გარჩევით, რომ ვაჟა „რელიგიით“ მივიდა, ყაზბეგი კი ეთიკით. ვაჟა მთების ჩანუში ხედავდა ლაშარს და ლოცულობდა, ყაზბეგი კი მთაში კაცს ეძებდა და აფიცებდა ხანჯალს და ძმობას.

ვახტანგ კობახიშვილი

სურათი გადაღებულია ჩარბალში ვაჟას იუბილეზე.  
გალაკტიონ ტაბიძე ვაჟა ფშაველას შვილსა და ძარტველ  
მწერალთა შორის. იხეივება პირველად.





# ვაჟას ჟალაღი

მამულ, სახვარალო!



ქართული ლექსების კრებული

№8 (403), აპრილი, 1990

ჟურნალი გამოდის 1926 წლიდან

## ნომერი:

ოთარ ძინჭლაძე, ვაჟა.

საუბრობენ პრაქტიკოსი კედეგობაში.

ნათელა გიორგობიანი. „დედამიწის სტუმრები“.

ჯემალ მხარეშვილი. „...მოქროსფრო აბრეშუმის შეკვრა“.

კარლო კახარავა. გამოფენა პარიზში.

ზურაბ ასკანელი. თავგამებულნი მშვენიერი.

ლაიპტ ჩართოლანი. ყვითელი ჭკა (მოთხრობა).

როი მედედევი. გალინა ბრეშევის „ტაბილი ცხოვრების“ დასასრული.

ე. მედედევი. შეცდომა.

ვოლფგანგ ბორხერტი. ქალაქი. მოთხრობები ქრისტოგამათიისათვის.

გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებლად.

თეიმურაზ ფირალიშვილი. არაბესკები.

კოლიტიკური ანეკდოტი.

ნუნუ მაღრაძე. დევიტი.

კროსკოვლი.

● „დროშა“, 1990 წ.

## მთავარი რედაქტორი

ოთარ ძინჭლაძე

## სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ხახუაძე (პ/მგ. მღვიანი), ოთარ გირიშვილი, ვასილ გვახაძე, ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, ვახტანგ ანკვაძე, ჯემალ მხარეშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), თინათინ სანთლაძე.

## ვასილ გვახაძე

1.

ქარს გრძნობენ ხეები და ტოტებს უბრალოდ, დღე კი ჩხრილით პირში წყალს ივლებდა. არაგვიან, ჭალაში, თავი მოუყრია ჩეროებს ტყისპირზე გამოშლილ წიფლებთან.

არაგვის უხეფები მდებარეობს ნაშავდა, საყანწე რქებიან ხარისგან მოლოშნილს... ლეონიძეა დღეს სუფრის თამადა, გალაკტიონი წის სუფრის ბოლოში.

ზემოთკენ დღის კალთა დაბერტყა წემოთმა, ქვემოთკენ მგონებნი მტრწილად ქვემოთის. ძირს გაშლილ სუფრაზე საამოდ შემოთბა ხაშლამის ორთქლით და ხინკლების გემოთი.

რქაწითელს ჭიქებში ცვრიშალი უღვივის, გაივსო სუფრა და გალაკდა პურ-ღვინით...

ქერ კიდევ განძვივით ხმელ ტოტზე ეკიდა სამწვადე, აჭრილი ხარჭიხვის ბეჭიდან.

ქერ კიდევ ფხიწლობდა ყველაფრის ჩამოქმედი. ქერ კიდევ არ თქმულა მთავარი სათქმელი.

წვერჩამოფარული მთვლეშარე პოეტის, როგორც ვთქვი, წის ისე, ვით იჭდა ყოველთვის.

კროლად მოქიბატე მოჭუტულ თვლებში გამკრთალი სხივი და მკენწლაღვი აღერხის...

წამოდგა პოეტი, ლომის ხმა რომ ჰქონდა... მოქროდა არაგვი, მოქროდა, მოქროდა.

და ლომმა მთვლემარ ლომს უყურა, უყურა, და ჯამი, მზეს თვალი რომ ჩამოუხურა, მოადრჩო მტექარე თამაღის ბუნუნმა.

დალოცა, წმინდა და ქართული რაცაა, თაფლიან სიტყვაში წინაპრებს ცალ-ცალად აუნთო სანთლები და ჯამი დაცალა.

დამეში შუქი რომ ჩაქრავს და ჩაეღავს, მშ შუქში გამოქრა ჯა ვაჟა-ფშაველამ.

ფუნებთან, ტყის ძირში მიდგმულმა მიწურმა, გაწუნულ ჩიტივით ფრთა ჩამოიწურა...

წუთები, წუთები მარადი მუხების და ისევ თქორი და არაგვის უხეფები. მერე კი, ორიოდ წუთი რომ გავიდა, ლომმა ლომს ბუნუნით გასძახა თავიდან:

— შე მართლა არწივო, ცაში რომ გმალავენ, მიწამ რო დაგაბა ცის ცვარით თვალსველი, გადმოსვლით გადმოვალ მე შენთან ალავერდს, წასვლით კი შორს შენგან არა ვარ წამსვლელი.

იქ საგურამო და აქ ჩარგლის ბილიკი, დღის სვლით გაბმული და მძიმე ესოდენ, საფხა მოწამლულ სისინით, ქილიკით... ჩვენც ისე გვესკრიან, ვით იშთა ესოდენ.

ხან ყულფზე გვიდებენ, ხან თავებს გვკვეთავენ, მაგრამ პოეტები არ კლავენ ერთმანეთს.

მაშ, ვისით, საიდან? მაშ, რისგან, რა ძალით, ჩვენს ხნულში ეს ფუყე, ძირმწარე მარცვალი?!

რომელი განსჯით და რომელი უფლებით, როდემდე ვიქნებით ჩვენ ასე უბრები...

საქმე იმაშია, ლომებზე იმხანად სიტყვასაც ამბობდნენ ზოგან აუგინანს. ბევრს ცი, გაკიღვით რომ გული მოიფხანა, მათი დაუბრება მტრობად გაუგია.

2.

არა, ზედმეტია აქ ფიქრი მტრობაზე და დროა, დუმოლსაც ყინული მოაზრეს.

ვთქვათ და ამოვყაროთ, რაც გულში მოგროვდა... ჩვენც ყველას გვექონია ჩვენ-ჩვენი ცოლგოთა.

ჩვენც გვაკლდა და ახლაც სხვა ღარით მოელტვის ის, რითაც გაათბო პოეტმა პოეტი.

აანგრეს, აწეწავს სულს იმ დღის სურათი... იქნებ ჩვენც გავიწყდეს ჯა დასასრულამდი?

ხანდახან ჩვენ მაინც ძველ აღბომს გადავშლით და ისევ ამოვალთ არაგვის ჭალაში.

ქერ კი ცა მერცხლებმა რკალად შემოხაზეს, ქერ ჭმუხი მუხებში ქარს მუხლებს უბრალოდ. აქ, ვაჟას ჭალაში, ვაჟას დღეობაზე, სტუმრებს და მასპინძლებს თავი მოუყრიათ.



# შ ა ქ ა

ამბობენ, უკვე სწულმა ვაჟამ საავადმყოფოს მომვლელ ქალს სთხოვა, რომ იატაკზე დაეწვინათ და გარშემო ახლად მოცეცილი ბალახი და ყვავილები დაეყარათ.

ვინ იცის.

იქნებ მართლაც იყო ასე და ამაში არც არაფერია გასაკვირი. თუნდაც იმიტომ, რომ ფშაველი ვაჟა — ლუჯა რაზიკაშვილი — სიკვდილის წინ, უკანასკნელ ამოსუნთქვამდეც ბუნების შვილი, მისი მესაიდუმლეა.

— ახლად მოცეცილი ბალახი და ყვავილები დამიყარეთო.

იქნებოდა ასე.

უთუოდ იქნებოდა.

მაგრამ, მე მაინც მგონია, რომ ეს არ იყო მომაკვდავის უბრალო კაპრიზი, მისი უკანასკნელი და ახირებული სურვილის დაკმაყოფილებით ნაკარნახევი მულარა.

მე მეჩვენება, რომ ამაში სიცოცხლის გახანგრძლივების ან იქნებ გადარჩენის იმედიცაა, რამეთუ ვაჟა ბუნების სუნთქვით ცხოვრობდა.

ვაჟა ფშაველას მსოფლმხედველობის ერთი მთავარი წყარო სათავეს ანიმიზმიდან იღებს. ესე იგი, პირველყოფილი აზროვნებიდან მომდინარე და ხალხში გავრცელებული რწმენიდან, რომლის მიხედვითაც ყოველი საგანი ბუნებაში სულიერია, ყოველ მათგანს თავისი სული აქვს. იყო მეორე მსოფლმხედველობრივი საწყისიც, რომელიც პანთეიზმს უკავშირდება და რომლის მიხედვითაც, ბუნება ღვთაებრივ სულითაა გაყვანილი. ესე იგი ღმერთი განუყოფელია ბუნებისაგან და ბუნებაშივე ვლინდება.

ვაჟა:

— რატომ არ მღერით, მთებო?

— ნისლი ფიქრია მთებისა. იმათ კაცობის გვირგვინი.

— სოფლის ფესვს სძინავს შავ ნისლსა.

— გადმოზრდილყვან მთანიცა, ხელ-პირს იბანდნენ წყალზედა.

— საბრალო ირემი ზღვაში იმალებოდა და ეხვეწებოდა ღმერთს: „ღმერთო, როდემდის უნდა ვიყო დევნილი, დაჩაგრული, შეუტრაცხოფილი?“

— დაბრძენებულ ადამიანს აქვს ბუნების მოსმენის უნარი და ესმის კიდევ მისი.

— ესმის დღეიდან ყოველი, რასაც ფრინველნი გალობენ, ან მცენარენი, ცხოველნი, როდის ილხენენ, წვალობენ.

იმიტომ ესმის მათი, რომ:

— რაც კი რამ დაუბადია უფალს სულიერ-უსულო, ყველასაც თურმე ენა აქვს, არა ყოფილა ურჯულო.

მაგრამ, თუ გესმის მისი, არც ღალატის უფლება გაქვს, ბუნებას ამ დროს გაბუტვაც შეუძლია, დამღურებაც.

და მაშინ:

— ყვავილნი ხმას აღარ მცემენ, აღარც ვარსკვლავნი ღამეო.

გასულიერებული ბუნება.

ეს ჩემი ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი ნაზრევიყო, — მეუბნება ვაჟა. ეს ნაზრევი მე მხატვრულ სახეებში გადმოცეცი ბუნების გასულიერების გზით და მეშვეობითო.

ჩემთვის ამის თქმაც საკმარისია.

სხვა დანარჩენი მე უთქმელადაც ვიცი. მაგალითად ის, რომ ვაჟას ლირიკაში დომინირებს პატრიოტიზმი, ვაჟაკობა, ქალის სიყვარული. ისიც, თუ როდენ მახლობელია ჩემთვის დღეს ვაჟას იმდროინდელი ღაღადისი საყოველთაო სიყვარულისა და სიბრალულის თაობაზე, ან მისი პოზიცია საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთმიმართებაში, მისი ბრძოლა სიკეთისათვის ბოროტების წინააღმდეგ.

მე გადმომეღო მისი ღრმა განცდები იმდროინდელი ზნეობრივი დაცემულობის გამო და ასე აღმოვჩნდი დევების ქორწილში, სადაც „მის ზორცი როგორა ვკამო? ყმა ვინმე გამოჰკიოდა“.

ვაჟას იმდროინდელი სატიკვარი ჩვენი დღევანდელი ტიკვილიცაა.

ჩვენი დიდი წინაპრები ამ სატიკვარის მკურნალობაშიც გვეხმარებიან.

ილიასა და აკაკისთან ერთად, ვაჟაც ჩვენთან არის დღეს, ჩვენს გვერდით დგას და ომანიანად შემოგვძახის: „გულო, არ გატყდე, გამაგრდი, კლდეო, კვლავ იდექ სალადა!“

ვდგევართ.

ვდგევართ ძველი და ახალი ცხოვრების მიჯნაზე. ვდგევართ და ყურადღებით ვუსმენთ ვაჟას, ვითარცა ცოცხალს და მდგომს ჩვენს გვერდით სწორედ დღეს, სწორედ ახლა. იგი დღესაც განსაკვირვებლად მართალია.

ვაჟა:

— ყველაფერი დროს მოაქვს და ბევრი რამ იმასვე მიაქვს, ხოლო არა სასარგებლო, არამედ ის, რაც გამოუსადეგარი, რაც მავნებელია. დრო, რასაკვირველია, არ უნდა წარმოვიდგინოთ განყენებულად, არამედ როგორც თაობა, როგორც ისტორიული ხანა. დღევანდლადის სიმართლეს ჯადოდ აწვა გონებრივი სიჭიუტე, ხოლო დღეს მან მოიგდებინა ჯადო, აღსდგა, გამობრწყინდა, როგორც მზე შავის ღრუბლებიდან. და იძახის: „აქა ვარ, არ მომკვდარვარ!“ „კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო“. ჩვენს ისტორიულს ხანას, ჩვენს ცხოვრებას ჭირი სჭირდა, მაგრამ ჰმალავდა, გვატყუებდა: კარგადა ვარ, ჯანსაღად, არაფერიც არა მტკივათ, გვარწმუნებდა, გვეფიცებოდა ლოგინად ჩავარდნილი, დაკუთვებულ-დამუწეხებული. დღეს კი, როცა ტკივილი მოერია, მოთმინება გაუწყდა, გაიღელა გულ-მკერდი და დაგვანახა ზედ ღრმად დაჩნეული წყლულები: „შიეჭიმეთო. ყველა ჭკვასალი, შორსგამჭვრეტი ადამიანი ჰგრძნობდა, რომ აღრე თუ გვიან, ეს ასე უნდა მომხდარიყო. მოხდა კიდევაც და დღეს ყველა ძალაუნებურად მოსთქვამს იმას, რაცა სტკივა. მოთმინების ძაფი გაწყდა, აღარ ჰმალავს მშიერი შიმშილს, ნაცემი — ცემას, ტყვე — ტყვეობას, მონა — მონობას. ბალებმაც კი შეიგნეს თავიანთი ადამიანობა, ისინიც იბრძვიან, იღვწიან. ცდილობენ, ადამიანური უფლებები მოიპოვონ. ვისაც არაფერი დაუკარგავს, არც ეძებს. ვისაც სატირელი არა აქვს რა, არცა ტირის; ვისაც საჩივარი არა აქვს, არ ჩივის... დიად, აბარებს ძველი ცხოვრება ანგარიშს ახალს, მომავალს ცნობებს; როგორც გაწვილებული მატყუარა, ცდილობს, გაიპაროს ისე, რომ ფეხები არ დაემტვრეს... დროა და!

კი ცდილობს, მაგრამ ფეხმომტვრეული მაინც ავისმომასწავებელია.

ძველადაც ასე ყოფილა, ვაჟას დროს, ადრეც, მერეც და ასეა ახლაც.

აბა დავაკვირდეთ და განვსაჯოთ.

ვაჟა:

— საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჭვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას.


საცა თავისუფლება არ არისო.

მართალია ეს.

აბა, ჩვენი დღევანდლობისათვის დამახასიათებელი ეთნოკომპლიქტების მიზეზი რა არის? რის შედეგია ეროვნული ურთიერთობების ესოდენი გამწვავება თუ არა იმისა, რომ სწორედ თავისუფლებათმეულ ხალხებს შორის იჩინა თავი მტრობამ. ქიშპობამ, სისხლისმღვრელმა ძალადობამ. ამ მხრივ თავად რუსეთშიც დაძაბული მდგომარეობაა, თუნდაც მოსკოვში, ლენინგრადში, სხვაგანაც, რამეთუ არც რუსი ხალხი აღმოჩნდა თავისუფალი. ჯერაც არ წაშლილა მესხიერებიდან მთიანი ყარაბაღის გოდება; სუმგაითი, ბაქო და მეზობელი სომხებისა და აზერბაიჯანელების დაღვრილი სისხლი; არც ფერგანას საზარელი ტრაგედია, დუშანბე, ლტოლვილების განწირული სულისკვეთება და აქაც, ჩვენთან. ჩვენს მიწა-წყალზე თვითმარქვია აფხაზების მიერ უაზროდ და უმისამართოდ ჩამოგდებული სისხლიანი შუღლი.

მაგრამ, სათქმელი მაინც უნდა ითქვას. თუნდაც ვაჟას კარნახით, მისი გავლენით.





ეკრძოლ.

გამწვავებული ერთაშორისი ურთიერთობების მიზეზებისა და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გზების უნაყოფო ძებნაში ვერა და ვერ იქნა აღიარებული ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ამჟამინდელი ვითარება თავისუფლებათმეყობის ხალხების ეროვნული ამბოხია, როგორც ჯერ რუსეთის ცარიზმის, ხოლო შემდეგ კი ოფიციალური საბჭოური ეროვნული პოლიტიკის გატარების შედეგი.

ვაჟა:

საკვირველი ის არის, რომ „ცირკულიარები“ კარგი გამოდის. კითხულობ და ცოტაოდნად წყლულზე მალამო გედება, ვინაიდან ურჩევს იგი და აფრთხილებს მოხელეებს: ფრთხილად მოიქციეთ, საქმის გაურჩევლად, გამოუძიებლად ნუ იჭერთ, ხალხს ნუ ატუსაღებთ, ნუ სჯითო; იარაღს, თუ საჭირო არაა, ნუ იხმარებთო და სხვა. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ეს ვეღარ კარგი, რომ ცირკულიარის ხმა მხოლოდ ქალაქებში გაისმის და ცხოვრებაში იმის ნატამალიც არ მოიძევა, იგი თითქოს არც კი სადმე არსებობდეს; რჩევა ცირკულიარისა რჩება ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა და ყველა ადმინისტრატორი ისე იქცევა, ვითარცა ხანი თავის სამფლობელოში...

ასე ყოფილა იმ დროს და ასეა ახლაც.

ამის დასტურია აღზევებული ქართული ეროვნული თვითშეგნების მშვიდობიანი გამოვლენის ავადმოსაგონარი 1989 წლის 9 აპრილი, რომლის სისხლში ჩახშობის მთავარი მიზეზის ახსნას იქ და მაშინ გამოტანილი ლოზუნგებით ცდილობენ. ამ გზას დაადგა რუსულენოვანი საბჭოთა პრესაც: „ლიტერატურნაია გაზეტა“, „სოვეტსკაია როსია“, „კრასნაია ზეზდა“ „ლენინსკოე ზნამია“, ცენტრალური ტელევიზია და სხვებიც, რომლებსაც არც მანამდე და არც შემდეგ დღემდეც კი არ შეუწყვეტიათ ქართველი ერის შეურაცხყოფელი და დამამცირებელი გამონდომები.

ასეთმა სამარცხვინო, ელემენტარულ ტაქტსა და ზნეობას მოკლებულმა გამონდომებმა კიდევ უფრო გაამწვავეს ეროვნული შულლი და საბოლოოდ დასცეს ჩვენს თვალში ცენტრალური რუსულენოვანი პრესის ისედაც საკმაოზე უფრო შერყეული ავტორიტეტი.

არახალია, ძველია ეს ტრადიცია. როგორც ჩანს, აქაც მემკვიდრეობით გენებთან ვაჟებს საქმე და თუ ჩემი არ გჯერათ, ვაჟას დაუგდეთ ყური.

ვაჟა:

ჩვენში და რუსეთში ჯერაც არ გამოლეულა იმისთანა განათლებული, შავს რომ თეთრს უწოდებს და თეთრად მიაჩნია და თეთრი — შავად. საკვირველია ეს ჩემთვის, ვგონებ, რომ — შენთვისაც, ჩემო კარგო. მაგრამ არც კი უნდა გვეკვირდეს, დიდალ, არ გაგვიკვირდება, თუ იმ აზრს წავიმძღვარებთ წინ, რომ ყველას ერთნაირი სალი ტვინი და გრძნობა არა აქვს, ყველა ერთნაირს წრეში არ აღზრდილა, ერთსა და იმავე პრინციპზე, და მტკიცედ არ დარწმუნებულა, რომ თვითველ ჩვენგანის ბედნიერება მთელი ქვეყნის ბედნიერებასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. აი, სწორედ ამის გამო ხდება ეს ზნეობრივი და გონებრივი სიმახინჯე. მაგალითისათვის შორს ნუ წავალთ. აიღეთ რომელიც გინდა ნომერი „მოსკოვის უწყებებისა“, გადაიკითხეთ და თქვენ თითონ კარგად დარწმუნდებით, რა ჯურის, რა მიმართულების, რა ტვინის ხალხი კიდევ მრავლად მოიპოვება დალოცვილ რუსის ქვეყანაში... რაც შეიძლება მეტი მიწა-წყალი შევიძინოთ, მეტი ქვეყნები დავიპყროთ, დავიმორჩილოთ, მოვლა და მოწყობა ამ ქვეყნებისა კი ღმერთზე მივაგდოთ. რუსის ბიშტი, რუსის სალდათი ყოვლის შემძლებელა, გინდ მშვიერი იყოს, გინდ მძლარი, გინდ ნასწავლი, გინდ უსწავლელი და სხვადასხვა.

მაგრამ.

1801 წელი და 1921 წლის 25 თებერვალი.

ისევ ვაჟა:

ხალხისათვის მიტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალობად. ამ თავისუფლებისას მტარვალნი ათასნაირს ჯაჭვ-ბორკილებს სჭედენ, ხაფანგებს, გაზებს, თავში სცემენ კვერებს და საღიზიანის ბოძებს სდგამენ... ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზავებულს შხამ-ნაღველს. საწამლავს უმზადებენ და იმას აწვდიან. ბოლოს კი თითონ რჩებიან მოწამლულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხს იტანს ამ საწამლავს, იგი ისევ ხალხად რჩება, იმარჯვეს, ხოლო მტარვალთა გული მიწაზე ერთობა. ამიტომ, უბირველეს ყოვლისა, თავისუფლების წართმევა უფრო იმათ ჰგნება, ვინც თავისუფლებას ჰპარავს, ართმევს ხალხს და ჰსურს იმით მარტო თავად ისარგებლოს.

თავისუფლება ხალხისათვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა.

ასეა ეს.

ჩვენ მოწმე და მონაწილე ვართ იმისა, რომ ძველი ცხოვრება მართლაც აბარებს ანგარიშს ახალს, მომავალს ცხოვრებას, ხოლო თითონ კი ცდილობს, გაიბაროს როგორც გაწვილებული შაქრუყურა. ეს ერთხელ უკვე გვითხრა ვაჟამ და თან დასძინდა.

მაგრამ, როცა დროა გაწვილებული შაქრუყურა გაიბაროს, იმის დროც დგება, რომ ხელი გაგანძროთ და რაღაც არსებითი, რეალური, შედეგიანი მოვიმოქმედოთ.

არც უამისობა და ვერც იმას იტყვი კაცი, რომ ძველი და ახალი ცხოვრების ამ გზის გასაყარზე საქართველო გულხელდაკრეფილი იდგეს და ელოდეს. არა, დღეს დიდი და პატარა, ბალებიც კი ცდილობენ, მოიპოვონ ადამიანური უფლებები, მაგრამ მომავლის საფუძვლიანად გააზრებული სამოქმედო პროგრამა ჯერ-ჯერობით მაინც არ ჩანს.

მე ახლა, როცა ჩვენს მომავალზე ვფიქრობ და იმას ვაკვირდები, რაც ირგვლივ ხდება შინ და გარეთაც, ისევ ვაჟას პუბლიცისტურ წერილებს ვფურცლავ და მინდა წაკითხულიდან ცოტა რამ თქვენც გაგიზიაროთ.

ვაჟა:

— ადამიანის გონება ყველას და ყველაფრის დაბერებას შეუიოივდება, ხოლო სიბერე ერისა საშინელებაა.

— რის გამო შეიძლება დაბერდეს ერი, თუმცა იგი მუდამ ახლდება — ახალგაზრდათა შემატებით? ერს დააბერებს მხოლოდ მონობა, ისეთი ცხოვრების პირობები, როცა მას საკუთარი ნების, ძალ ღონის გამოჩენის საშუალება მოესპობა.

— შეიძლება ერი დაბერდეს სხვადასხვა პირობების და მიზეზების გამო, და იგი მალე ისევ გაახალგაზრდადდება, თუ სხვა, მაცოცხლებელ პირობებში ჩააყენებ, რაც ცალკე პიროვნებას არ ძალუძს.

ჩვენ არ გვინდა დაბერება.

არც დაბერდებით, რამეთუ ვეძიებთ და მივაკვლევთ სხვა, მაცოცხლებელ პირობებში ჩვენი ერის ჩაყენების გზას.

ხოლო გზაში რომ არ მოგვშივდეს, იქნებ საგზლად ვაჟას და ნაბარებიც წავიყვლიოთ.

მაგალითად:

— მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებას ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, — არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედევას სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამაგნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის, ყველა ჩვენგანი.

ან კიდევ:

— რეგენი, უმეცარი ადამიანი მსჯელობაში მუდამ თამამია, გაბედული. იმას, თუ ცოტა ოდნავ აქვს ძალ-ღონე მსჯელობისა, ოდნავ მაინც ამოძრავებს გონებას და რაიმე აზრმა გაურბინა თავში. მაშინვე თავის თავი წარმოუდგება თვალწინ და თამამად იტყვის: ჰა, ვიპოვე, ნამდვილია! სწორედ ასეა. მაშ რად მომივიდა თავში ეს ფიქრი, თუ კი ნამდვილი არაა?! „მომივიდა ფიქრად“ იმისთვის სრულიად საკმაოა სიმართლის, სინათლის სათქმელად და დასამკვიდრებლად. დიდალ, „მომივიდა ფიქრად“ — ო ამან ძალიან განზე გაშალა ჩვენში ფეხები: მოუვიდა ერთს ფიქრად პოეტი უნდა ვიყოვო და გახდა კიდევ; მოუვიდა მეორეს ფიქრად გაისტორიკება, გაისტორიკა. მოუვიდა მესამეს ფიქრად უნდა საქართველოს საქმეთა მოთავედ ვაგნდეთ, ვანდა... ეს „ფიქრად მოსვლა“ კიდევ რაც არის — არის, ჯანდაბანს იმისი თავი და ტანი, უბედურება ისაა, ხანდახან მის ადგილს იჭერს ფიქრის ჩაძახება. ჩაძახებ და ამოგძახებს ქვევრივით... ამ გვარს ხალხს შეიძლება მადლიანმა კაცმა მრავალი მადლი ჩაადენინოს, მაგრამ უმადურმა და უმადლომ კი მრავალი ცოდვა, ბევრი სამაგნეო; ამგვარნი კაცნი სხვის ხელში იარაღად ხდებიან, მუშაობს იმათის საშუალებით სხვა, ერთი, ან ორი ადამიანი სჩარხავს თავის საქმეს, ბევრს შემთხვევაში, უკუღმართს, ქვეყნისათვის საზარალო, საზიანოს. ისინი მაინც საიმედონი არ არიან, არ არიან იმიტომ, რომ დღეს აგებულს ციხეს ხვალ წიხლსა ჰკრენ და დაშლიან. გუშინ, ვისაც „ვაშა“-ს მიუძღვნიდენ, დღეს იმაზე „ჯვარს აცვიტო“, იძახიან. რატომ? იმიტომ, რომ დღეს სხვამ სხვა ფიქრი ჩაძახა...

ეს მტანჯველი სენი ჩვენ ახლაც გვკვირს.

სხვამ სხვა ფიქრი ჩაძახაო და... ხან „ვაშა“-ს ვაგრილებს და ხან „ჯვარს აცვიტო“-ო ვაგვიძახით. ზოგჯერ ერთდროულადაც კი.

არ ვარგა ასე და არც მომავალში ივარგებს.

თავისუფლებისათვის ბრძოლა არ დაიყვანება „ფიქრის ჩაძახება“-მდე ვისი ნაფიქრალიდანაც არ მოდიოდეს ეს ჩაძახება.

ვაჟა:

დროშა 3

საქართველოს  
მემკვიდრეობის  
ბიბლიოთეკა

19.3/6



— თავისუფლება მოქმედება, განხორციელება ნებისა, აზრისა, გრძობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთი-ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერთი და მონებულა და დამონებულ ერში რა თქმა უნდა პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.

და რამდენადაც თავისუფლება მოქმედებაა, სამოქმედო პროგრამა გვესაჭიროება უწინარეს ყოვლისა. ეტაპობრივი, კონკრეტული, ღრმად და საფუძვლიანად გააზრებული. ხოლო, ასეთი პროგრამის მომზადებაში იქნება ვაჟას რჩევა-დარიგებამაც გვარგოს რაიმე სიკეთის მომტანი.

ვაჟა:

— ყველგან და ყოველთვის ერის ძალა ინტელიგენცია ყოფილა და იქნება, იგი ბელადია, სარდალი და, ხომ მოგეხსენებათ, სარდლის ნიჭსა და მოხერხებაზეა დამოკიდებული გამარჯვება, მტრის დამარცხება. არა აქვს ჩვენს ინტელიგენციას გარკვეული საერთო პროგრამა და გეგმა მოქმედებისა. უამისოდ კი შეუძლებელია გაკეთდეს რამ თვალსაჩინო. ჩვენი ყოფა-ცხოვრებაც სწორედ ერთს პროგრამას და ერთს გეგმას მოქმედებისას ჰსაჭიროებს. ეს ვერ შევიგნით, ვერ გავიგეთ დღესაქობამდე. ასევე იქნება მომავალშიც, თუ ჩვენს ხალხს, მის ცხოვრებას არ შევიგნებთ, არ გავიცნობთ კარგად, — მანამდე ვერც საერთო მოქმედების პროგრამას შეიმუშავებს ინტელიგენცია, არც ჩვენის ერის სიბერისა და სასიკვდილოდ გამოზადების ექვეები გამოუვა თავიდან, მანამდე არც მღურვას ქართველის ერის გულგრილობა-დაუდევრობის გამო ექნება დასასრული.

მაინც რა გქნათ?

ახლაც ღრმად ვარ დაარწმუნებული და აღრე თქმული უნდა გავიმეორო იმის თაობაზე, რომ ჩვენი საერთო პროგრამა და გეგმა მოქმედებისა, ქართული სოფლის აღორძინება, გაძლიერება და მიწაზე გულაცრუებული, გაუცხოებული ქართველი გლეხი კაცის ბედისადმი საყოველთაო საერო დაინტერესება უნდა გახდეს. ეს უნდა გახდეს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი საერთო გეგმისა და მოქმედების პროგრამის საფუძველი. ამის აღიარების, გაგებისა და ამ მიზნით მოქმედების გარეშე ჩვენ ვერასოდეს ვერაფერს ვერ მივაღწევთ.

ვაჟა:

— რაკი განგებამ, ჩვენმა ბედისწერამ, სოფლური ცხოვრება დაგვიწერა, სოფლად უნდა სწავლა-ცოდნა მოვიშველიოთ. საცა სწავლაა, ქალაქი იქ არის, თვით უდაბნოც სწავლის ძალით უნივერსიტეტად გარდაიქმნება. თორემ სულ ამ ვითარებაში რომ დავრჩეთ, ათასი წელიც რომ გავიდეს, ისევ ესენი ვიქნებით, რაცა ვართ.

ვაჟას ეს „ფიქრები“ 1902 წელს დაიწერა და იმავე წელს დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“. მას შემდეგ თითქმის ცხრა ათეული წელი გავიდა და ჩვენს სოფელს მაინც არაფერი ეშველა. ამიტომ, ჩვენ, რაც ვიყავით ისეთები დავრჩით, შესაძლოა უარეს მდგომარეობაში მყოფნიც.

— სად არისო ჩვენი გრძობა თავის დაცვისა? — შემოგვძახა ვაჟამ მაშინ. — ან ფიქრი იმ მიზეზზე, რა მიზეზითაც დავძაბუნდით? რომ არც ერთია და არც მეორე, კიდევ იმიტომ არც ხეირია ჩვენკენ. შეგნება ხმალია ამ წუთისოფლის ბრძოლაში, ხოლო გრძობა თავის თავისა — ფარი, ჩვენ ხელში ჯოხიც არ გვიპყრია. ან რად გვინდა, როცა ბრძოლაში მონაწილეობას არ ვიღებთ?! დიად, ეს არის ჩემი საფიქრებელი: ან გავნათლდეთ და ან გავმრავლდეთ, და ორივე თუ ერთად მოხერხდება, ის უკეთესია.

ჩვენი დღევანდელი საფიქრალიც ეს არის; უნდა იყოს, და არა მარტო საფიქრალი, არამედ პროგრამა და გეგმაც მოქმედებისა. ოამეთუ მხოლოდ ღონიერი სოფელია განათლებული და გამრავლებული, ესე იგი მთელი ერიც.

ვაჟა ისევ და ისევ გვმოდღვრავს. აუღელვებლად, მოთმინებით, მთის კაცის სიღარბაისლით და ცოტა არ იყოს, გაკვირვებულიც კია რომ უბრალო რამ ჭეშმარიტებისა ვერა გავიგეთ რა.

კერძოდ.

— მეცნიერება, სხვათა შორის, სამს საშუალებას აღიარებს ერის საბედნიეროდ: ქონების სწორედ, სამართლიანად განაწილება. გავრცელება ცოდნისა და გამრავლება ერისა.

გასანაწილებელი რომ რაიმე გქონდეს, მით უფრო სწორედ და სამართლიანად, სიუხვევა საჭირო, რაც ჩვენ ჯერ-ჯერობით არ გავაჩნია, ხოლო ამის გარეშე არც დამოუკიდებლობასა და მით უფრო თავისუფლებაზე შეიძლება სერიოზული განხორციელება. რი კაცი ვერ იქნება ვერც დამოუკიდებელი და მით უფრო თავისუფალი.

ერი მდიდარი უნდა იყოს. ერის შვილიც — ადამიანი, ყველა.

ლარიბი კაცი არ უნდა ყავდეს ერს, თორემ მდიდარი რაც უფრო მეტი იქნება, ისაა უკეთესი.

სიმდიდრის მიმართ ჩვენს ეგრეთ წოდებულ სოციალისტურ საზოგადოებაში, რომელიც კომუნისმის აშენებას აპირებდა, ცოტა არ იყოს ბუნდოვან დამოკიდებულებას ჰქონდა ადგილი. ახლაც ასეა. მარტო ის რად ღირს, რომ კოლპერატული მოძრაობის წინააღმდეგ გალაშქრების ერთი მთავარი მიზეზთაგანი სწორედ ის არის, რომ მდიდრდებიანო. ეს არ არის ქართველი კაცის ფსიქოლოგია.

ვაჟა:

— ყველასაც ვისაც ჰქვია აქვს, თუნდა გლეხი იყოს, ქართველ ადამიანს უნდა სწყინდეს შეძლებული ხალხის შემცირება ჩვენში და ყველას უნდა გვიხაროდეს, მდიდარი ხალხის გამრავლება, რადგან მრავალი მდიდარი, როგორც უნდა იყოს, ჩვენს ცხოვრებას სიმდიდრეს შეჰმატებენ, სანუგეშონი არიან.

ეს მთელი ჩვენი ეკონომიკური სისტემის გარდაქმნას მოითხოვს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ამოცანების გათვალისწინებით, როცა კერძო ინიციატივაზე დამყარებულ პატიოსანი შრომის შედეგად მიღებული ნაყოფის ბატონ-პატრონი მშრომელი ადამიანი გახდება. მუშაც, გლეხიც, ვაჭარიც, ინტელიგენტიც. ყველა, ვინც იცის თავისი საქმე, ვისაც უყვარს შრომა და ვისი ხელიც არავის არაფერს პარავს, არავისას არ ითვისებს და საზოგადო საქმესაც შველის.

ვაჟამ მთის სიმალიდან გადახედა სივრცეს და ღრუბლებში დამალული ჩვენი ხვალისდელი დღე დაინახა:

— თავისუფლებამ უნდა მისცეს მუშას მთელი ნაყოფი შრომისა. უნდა მისცეს სწავლა, განათლება, თავის თავისა, თავის ერისა და კაცობრიობის გონივრული სიყვარული. უნდა მიანიჭოს ნება, უფლება, იმ ხელობას დაადგეს, რომელიც მას მოსწონს და ეხერხება; იცხოვროს იქ, საცა მოსურვებს, ისე რომ სხვის თავისუფლება ოღონდ არ შეზღუდოს, სხვას უსიამოვნება არ მიაყენოს. უნდა უპასპორტოდ წავიდეს და მივიდეს საცა უნდა. ვერავინ უნდა შეახოს მას ხელი, ვიდრე კანონი არ გადასწყვეტს. უნდა ილაპარაკო, სწერო საზოგადო საქმეებზე, ისე როგორც შენ გინდა, დაშლა არავის შეუძლიან, უნდა გამოსთქვა შენი აზრი, დაჰგმო დასაგმობი, აქო საქებარი.

ამისათვის კი აი, რა ყოფილა საჭირო.

ვაჟა:

— საქართველო რუსეთის სხეულში, ორგანიზმში კი არ უნდა იყოს გათქვევლილი, როგორც უსულო სანოვაგე, არამედ მას ედგეს გვერდით, როგორც ცოცხალი, სალი არსება რუსეთთან ერთად მოსიარულე პროგრესის გზაზე, თავის თავის მცნობელი, თავის თავისა და კარგის მგრძობელი.

მაღალი ღმერთი გისმენდეს და შეგვეწიოს ჩვენ, შენს მოდგმასა და ჭირისუფალს.

მე მეგონა, ვიცოდი ვაჟა.

არ მცოდნია კარგად.

იქნებ ამის გამოცაა, რომ ცოტა არ იყოს, გვიჭირს ფეხის აღგმა და სიარულის დაწყება პროგრესის გზაზე, ვითარცა ცოცხალსა და სალ არსებას.

მაინც ავიდგამთ ფეხს და შენსავით ვაჟაკურ სიარულსაც მალე ვისწავლით.

შენი დახმარებითაც. იმის კარგად ცოდნითა და გონივრული გამოყენებით, რაც დაგვიწერე და დაგვიბარე.

მადლობელი ვართ.

ოთარ ჭინქლაძე





# ჩვენი სურვილი

ფიცინო ჯანაძე.

24-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

იმატა შემზარავმა ფაქტებმა, სისასტიკემ, დაუნდობლობამ. ორიოდ წლის წინ გვახსოვს, რა განგაში ატყდა, მოზარდებმა სკოლა დაწვესო. თანამედროვე სკოლას მშობლიურ კერად აღარ თვლის „სწავლის მძებნილი“ კი. რა მოხდა? ამის მიზეზი, ჩემი აზრით, ბევრი რამ არის და მათ შორის ცოდნის შეფასების ჩვენებური კრიტერიუმიც, რომელიც საფუძველს გვიქმნის, ზოგჯერ კარგონად გავისტუმროთ თერთმეტი წლის მანძილზე ფრიადოსანი, გამორჩეული მოსწავლე, თუ მან წერიტი გამოცდა ფრიალზე ვერ შეასრულა. ამ დროს „კარგონის“ ატესტატის გატანა შეუძლია საშუალო დონის მოსწავლეს, ვინც როგორც (იქნებ რა გზებით), გამოცდებზე მაღალი შეფასება „დაიმსახურა“. სწორედ ამით ხდება საშინელი გათანაბრება: წყალში იყრება თერთმეტი წლის მონდომებული ჯავა. მერე თუ სუსტმა მოსწავლემ რაღაც გაქანებით უმაღლეს სასწავლებელშიც შეასწრო. კარგებსაც რწმენა და ხალისი ეკარგებათ. დმერთმა ქნას, მერე მათ ხელი არ ჩაიქნონ, თორემ გაბოროტებაც აღარ დაიგვიანებს და თარეშობენ „პატარა კანები“. სკოლავს სკოლაც, სკოლავს ოჯახიც, თუ ის ცდილობს, იოლი გზით ატაროს შვილი; თუ თავდაც უშრომელი შემოსავლით დიდგულობს, რაღა მაგალითს მისცემს შვილებსა და მათ თანატოლებს?

იმედის სხივმა კი გამოანათა. ახლა ვცდილობთ, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენდეს აქა-იქ მიმჭრალი ნალვერდლები და სამომავლო ეცესლი გააღვივოს. ამის იმედს გვაძლევს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა და ეროვნული განათლების კონცეფცია.

ქრისტიანობის აღორძინებამ, ჩვენს სკოლებში საეკლესიო პირთა გამოჩენამ დაგვიბრუნა რწმენა ერის მოქცევისა და საზოგადოების ზნეობრივი განწმენდისა.

შედეგი სახვალიო საქმეა... დიდ ცოდვად მიმაჩნია ადრეულ ასაკში სამეწოვნების დაწესება. კარჩავეტილობისა და ნაციონალიზმის მქადაგებლად ნუ ჩამთვლით, მაგრამ როგორც პედაგოგს, მიმაჩნია, რომ უცხო ენების პროგრამა დროის თვალსაზრისით უკან უნდა მისდევდეს მშობლიურ ენასა და ლიტერატურას... მხოლოდ მაშინ გახდება დედაენა „ბურჯი ეროვნებისა“. არადა საბავშვო ბაღებში დაიწყეს უცხო ენის სწავლება (თუმცა სამეურნეო ანგარიშზე).

ჩემი აზრით, კონცეფციაშიც ვერ მოიხსნა ე. წ. სავალდებულო სწავლების კომპლექსი, რაკილა პირველ და მეორე საფეხურზე ყველაფერი ისევე დარჩა, როგორც იყო.

უფრო მეტიც, ახლა სამი ორიანით გადადის მოსწავლე კლასიდან კლასში. ეს წესი, ცენტრიდან მომდინარე, ეროვნულშიც გადმოინერგა. მე კი ვფიქრობ, დიფერენცირება პირველი საფეხურის შემდეგ უნდა დაიწყოს.

მასწავლებლის ავტორიტეტსაც გაფრთხილება სჭირდება (ამაზე ყველამ უნდა იფიქროს. რა თქმა უნდა, თავად მასწავლებელმაც, რამეთუ დიდი პირადი მაგალითის ძალა). მოსწავლეს რომ მიკროფონი დააჭერინეს ხელში და აღანდღვინეს საკუთარი მასწავლებელი, ამანაც სიკეთე არ დაგვყარა; მე კი საგანგაშოდ ის უფრო მიმაჩნია, ზოგიერთი „ძლიერი“ მშობლის შეილები საჭიკელს რომ თვალს ეუზნებავთ და ვფარავთ ვიღაცის გავლენით. „ჭუჭნაური“ კალთის ქვეშ ვმაღავთ მავანთა და მავანთა შვილთა ბოროტებას.

... დიდ იმედს ვიტოვებ სკოლების ფსიქოლოგიური სამსახურის ამოქმედებით. ეს ახალი რგოლი თუ მთლიანად ვერ იხსნის, შეანელებს მაინც არასრულწლოვანთა დანაშაულობებს, იქნება მანვე დაიყვანოს მინიმუმამდე ცოლქმრული დაძაბულობა, ოჯახების ნგრევა, შვილების გაუბედურება.

დედებსაც მეტი შეღავათები სჭირდებათ. ყველგან უნდა დაისვას საკითხი მათი სამუშაო დღის შემცირების თაობაზე. შვილების მართვას რომ რიგიანად გაართვას თავი ქალმა, ეს ყველაზე დიდი მოვალეობაა და სხვა საქმის „შეთავსება“ ე. ი. გადატვირთვა, ვნება დედობას, ლუბავს ბავშვებს.

რაც შეეხება დიფერენცირებულ სწავლებას (კონცეფციის ერთ პროფილირებულს), დიდი ხანია მოლოდინში ვართ და მასზე ვამყარებთ იმედებს; ამ კუთხით ერთგვარ წინასაფხურად გვესახება დღემდე ჩატარებული ღონისძიებები (გაძლიერებული სწავლების შემოღება ამა თუ იმ საგანში, სპორტული სკოლების მომრავლება და პროფტექნიკური სასწავლებლების დაწესება), მაგრამ უფრო მეტს ვარაუდობს და ელის მისგან საზოგადოება; კიდევაც ვჩქარობთ, რათა შევძლოთ უკუმიმავალი სასკოლო საქმის აღორძინება ახალ, მყარ ნიადაგზე. ოღონდ იმის თქმაც მიმაჩნია მიზანშეწონილად, რომ უნდა მოხდეს ბეჭითი და ნიჭიერი ბავშვების გამოცალკეება საშუალო და სუსტი დონის ყმაწვილებისგან, რათა თავიდანვე სხვადასხვაგვარი პროგრამით ვმუშაობდეთ მათთან. ამ გზით მივალწევთ სასურველ შედეგსაც. ძალიან გვაწონ „არამსწავლელის და ვერმსწავლელის“ გატოლებამ ბეჭითებთან.

დამრიგებლობამ უზომოდ გადატვირთა მასწავლებლის სამუშაო. „შეთავსება“ (ბავშვებისთვის ქუჩაში თუ სახლში დევნა, აკადემიური მაჩვენებლების აღნუსხვა-ფიქსირებამ, გაცდენა-დაგვიანების შემოწმებამ, ნებაყოფლობითი ორგანიზაციების საწვევროთა შეკრებამ, საკონცერტო ბილეთების გასაღებამ თუ მიკრორაიონთან საავიტაციო მუშაობამ — განსაკუთრებით არჩევნების პერიოდში) და აკნინა პროფესიული დონე მზრდელისა, ვისაც თავის თავზე მუშაობისა და შინასამყაროსთვის — საკუთარი ქმარ-შვილისათვის დრო აღარ რჩება; თუმცა დროის უკმარისობა ყველა პროფესიის ადამიანებისთვის დღეს ქრონიკულ დაავადებად ქცეულა. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია: ძველებურად ზედამხედველები მუშაობდნენ სკოლაში, ანდა სხვა სახის საუწყებო თანამდებობა იქნას შემოღებული. იქნება მაშინ ჰქონდეს ფასი და ხარისხი ჩვენი შრომის შედეგს.

თამარ ჯანაძე.

140-ე საშუალო სკოლა

სკოლა უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე ცხოვრება. ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა პედაგოგად იმუშავენ მხოლოდ ნამდვილად განათლებული, შინაგანი კულტურით სავსე, თავის საგნის მცოდნე, ერუდირებული, ზნეობრივად წმინდა, მტკიცე რწმენის ადამიანი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს თავისი მოსწავლეები.

ამ თვალსაზრისით მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ჟურნალები მუშაობაც უნდა გადახალისდეს.

დიდ საქმეს გააკეთებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში რელიგიის ისტორიის სწავლება. ჩემი აზრით, ამ საგნის შეტანა უმჯობესია იმ დროიდან, როცა ისწავლება ძველი ქართული ენა და ლიტერატურა. რელიგიის ისტორიის და ბიბლიის ღვთისმსახური უნდა ასწავლიდეს მოსწავლეებს. მისი სკოლაში შესვლა ამაღლებული უნდა იყოს...

განსაკუთრებული სიღრმით უნდა ვასწავლოთ ე. წ. ჰუმანიტარულ სკოლებში ქართული ენა და ლიტერატურა. დიდი ყურადღება მივაქციოთ ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებს, აგრეთვე მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს.

არც არაჰუმანიტარულ სკოლაში შეიძლება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება დაიწყანოთ მეტყველების კუ-





# „სწავლა და სწავლება“

ლტურის ამალგებისა და დოკუმენტაციის წარმოების სწავლებაზე.

ჩემი აზრით, ზოგადი ენათმეცნიერების საკითხებს, მარტივი ფორმით, მეზუთე კლასიდან უნდა ვასწავლიდეთ.

ფოლკლორული მასალის შერჩევისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. მე ვეთანხმები იმ აზრს, რომ ხალხური „არსენალს“ არც იდეურად და მითუმეტეს, არც მხატვრული თვალსაზრისით არ არის პროგრამაში შესატანი (შეიძლება თუნდაც კლასგარეშე საკითხავად იყოს). მის ნაცვლად იქნებ ხალხური ზღაპარი „ოცი ძმა“ ვასწავლოთ. იგი მეტი აღმზრდელობითი დატვირთვით გამოირჩევა. მასწავლებელსაც უნდა მიეცეს თავისუფლება. ეგებ მან უკეთ შეარჩიოს ფოლკლორიდან საჭირო მასალა.

ჩემი აზრით, მეზუთე კლასიდან ლიტერატურას მეტი საათები უნდა დაეთმოს. პრაქტიკულად ლიტერატურის გაკვეთილზე უფრო უკეთესად სწავლობს ენას მოსწავლე.

„ვეფხისტყაოსნის“ შერჩეულ ადგილებს მეზუთე კლასიდანვე უნდა ვასწავლიდეთ ბავშვებს.

მასწავლებელი მოსწავლეთა ცოდნით უნდა შეფასდეს...

ვემხრობი უნიშნო სწავლებას. მხოლოდ ნიშნისთვის სწავლა არც საფუძვლიანია და არც სახალისო. ნიშნები მხოლოდ სკოლის დამამთავრებელ გამოცდებზე უნდა დაიწეროს და არავის ჰქონდეს უფლება, შეცვალოს საგნის მასწავლებლის შეფასება. მასწავლებლის ავტორიტეტს მთელი საზოგადოება უნდა უფრთხილდებოდეს.

**ინგა კორაჩია,**  
24-ი საშუალო სკოლა

ეროვნული განათლების კონცეფცია ითვალისწინებს ეთიკის დამკვიდრებას სკოლაში.

ჩემი აზრით, იმისათვის რომ ბავშვს ძვალსა და რბილში გაუჭდეს ქცევის ზნეობრივი ნორმები, პირველ საფეხურზევე უნდა შემოვიღოთ სკოლებში ეს საგანი. რაც შეეხება ეთიკის სწავლებას მესამე საფეხურზე, აქ უკვე პოლიტიკური და სოციალური ეთიკის ნორმებში უნდა ერკვეოდნენ მოსწავლეები. ეს საგანი სკოლაში შემთხვევით პიროვნებას კი არა, სპეციალისტს უნდა მიჰყავდეს. იქნებ ამაზეც დაფიქრდეთ, ფსიქოლოგი ხომ არ უნდა ითავსებდეს ეთიკასაც და ამ თვალსაზრისით ხომ არ უნდა შედგეს ერთიანი სახელმძღვანელო...

ფსიქოლოგი უნდა მუშაობდეს ბავშვებთან აღრეულ, საბავშვო ასაკშიც, ხოლო სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენაშიც მისი დახმარება აუცილებელია. იქნებ

მაშინ მაინც მოისპოს პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს შორის შეუსაბამობა, რამაც გული აუტრუა მოსწავლეებს, გამოუმუშავა ინერტულობა და წიგნისადმი უგულისყურობა.

**ირა ლეჟავა,**  
24-ი საშუალო სკოლის ყოფილი პედაგოგი,  
პენსიონერი.

განათლების კონცეფცია ითვალისწინებს სპორტული სკოლების გამოცალკევებას. ეს დიდი ხნის წინ იყო საჭირო. ჩემი ოცდაათწლიანი პედაგოგიური მუშაობის მანძილზე ბევრი უსიამოვნება შემხვედრია ამ თვალსაზრისით. სპორტსმენია და ნიშანი უნდა დაეუწუროთო... რატომ? განა სპორტსმენს განათლება აწყენს?

ახლა მოსწავლის ფორმის თაობაზე. ვის უშლის ფორმა? მე კი მგონია, უფორმობა გვიშლის ხელს და აი, რატომ: ყველა მშობელს არ შეუძლია შვილი უკანასკნელ მოდაზე გამოაწყოს. ეს ბავშვებში გულისტკენას იწვევს. მასწავლებელსაც რომ არა აქვს ხშირად საშუალება, მაღალ დონეზე ჩაცმის... ისიც ხომ დამკვირბულია...

ახლა ავიღოთ მასწავლებლის ნაკლი. განა ყველას აქვს უფლება ამაზე ლაპარაკის? ერთი გაკვეთილი არ ჩაუტარებია ზოგს, არავითარი გამოცდილება არა აქვს და სხვას აკრიტიკებს. თუ მოსწავლეები თავიანთ ნებაზე მივუშვით, ისინი არც ერთ პრინციპულ მასწავლებელს არ გააჩერებენ სკოლაში.

სანანებელი გავვიხდება ისიც, რომ პირველ და მეორე ეტაპზე დატოვება არ შეიძლება. ან რატომ უნდა მივცეთ ატესტატი სამი ორიანის პატრონს, თანაც უფლება მისაღები გამოცდების ჩაბარებისა?

ახლა ჩვენი მოსწავლეები მანქანით სარგებლობენ, როცა ათწილადის ათწილადზე გამრავლება სჭირდებათ, ან გაყოფა, ან ფესვის ამოღება... აქაც იქნებ გვიან შევნიშნოთ, როგორ ვამახინჯებთ მათ.

ან ვის სჭირდება წიგნად გამოცემული ამოცანებისა და მაგალითების კრებული, სადაც სახელმძღვანელოში მოცემული მაგალითებია ნომრების მიხედვით ამოხსნილი. მასწავლებელს? მას ხომ ისედაც უნდა შეეძლოს მათი ამოხსნა. მით უმეტეს, რომ მოსწავლეები მასწავლებელზე აღრე შოულობენ ამგვარ წიგნებს და მზამზარეულიდან იწერენ. საკონტროლო წერის ვარიანტებსაც კი იძლევიან. ვინ ჩამოართვა მასწავლებელს უფლება, თვითონ შეადგინოს მასალა საკონტროლო წერისათვის? ან თუ ეს საჭიროა, რატომ მისაღებ გამოცდებზე არ იღებენ მაგალითებს და ამოცანებს ამ წიგნიდან?





კონტაქტის დროს მოპოვებული მასალა

ორველი ხილის ეკრანმა მარსელ გელანუავესა და ქართულ ფიზიკოსს გურგენ კამარელს შორის სიყვარულის ძაფები გააბა. თითქოს დაიკარგა უსაზღვრო სიციხილე.

— გელა, მიყვარხარ! — მოულოდნელად წამოსცდა კამარელს.

— მიყვარხარ! — უბასუხა ქალმა და ხელები ფრთხილად გაშალა...

კამარელმა წუთით თვალები დახუჭა.

მის წინ გაიხსნა დაუღვევლი ბნელი სივრცე. დაიხანა, როგორ გადაირბინეს მარადიული ახალგაზრდობის ამ უკვდავმა სიტყვებმა... სივრცის უსინათლო, ცარიელი უფსკრული და სიყვარულის სხივით გაღებულ ორი დასაბამიდან ერთმანეთს დაშორებული ქვეყანა...

ეს არის სტრიქონები ერთი ქართული ფანტასტიკური რომანიდან, რომელსაც ოცდაათიან-ორმოციან წლებში უდიდესი რეზონანსი ჰქონდა.

ჩვენ ხომ მუდამ თან გვდევს სურვილი რაღაც შეუცნობელის შეცნობისა, გვენატრება ზღაპარი, ზღაპრული სიყვარული, სიკეთე, სილამაზე, რაინდობა, ვაჟკაცობა...

ფანტასტიკა და სინამდვილე! ბევრი რომ, რაც გუშინ ფანტასტიკური იყო, დღეს რეალობად იქცა. ჩვენს გვერდით ზღვება და ჩვენებრ ადამიანები ჰყვებიან ერთი შეხედვით გონებისათვის მიუწვდომელ ამბებს.

მოუფსმინოთ ზოგიერთ მათგანს:

— სამსახურიდან დავბრუნდი. ის იყო, სადილობა დავიწყე, რომ ხმა მომესმა, თითქოს თევზზე ქვა დაეცა. ყურადღება არ მივაქციე და ჰამა განვაგრძე. უცებ კბილი რაღაც მავარს თოხვდა. გამოვიღე, კენჭი იყო. ხელსაწმენდში გავახეივ და შევინახე. მერე მეზობლისთვის მიწოდდა მეჩვენებინა. სანამ მასთან მივიტანდი, ხელით ვგრძობდი კენჭს. გავსენი და... საღლა იყო, გაქრა.

ამას დღემდე ქალბატონი ჰყვება, თან მეცნიერს წინ უღებებს ლითონის ფულს (ოცკაპიციანს) და აღელვებით ამბობს:

— აი, ეს ფული ტაქსში რომ ვვადებოდი, ფეხზე დამეცა. მოულოდნელად გაჩნდა. მე არ დამეგრძობია, არც ჩემს დას. მეცნიერი ამოწმებს ფულს. იგი მართლაც დამუხტულია...

ერთობ აღელვებულია თბილისელი ქალბატონი:

— მეტი აღარ შემიძლია. მთელი ოჯახი ხედავს, როგორ იღება და იხურება კარები თავისით. დავწმენდავთ, დავაკრივალავთ იატაკს, მოვიხედავთ, ჰვინით არის სავსე. იმ დღეს

სადილე ოთახში რაღაც ბლანტი, უცხო სითხე დამხვდა დაღვრილი. რამდენი არ ვრეცხე ის ადგილი, მაინც ფეხები გვეწებება ზედ. ისმის კაკუნი, სიარულის ხმა. ერთ დილას გამეღვიძა და გულზე დამწვარივით მქონდა. ზედ თითქოს თითები მცხატა...

— მე მაღივარი დამხვდა შებრუნებულში. შიგ წამლები მქონდა შენახული. ისიც გადმოღებულნი, გადმოფანტული იყო თვალსაჩინო ადგილას. ჩემს სურათს უცაბედად ყელში ნაჩხვლეტი გაუჩნდა. დავიძინებთ, წიგნები თაროზეა, მინაც დახურულია. გავიღვიძებთ, შუა ოთახში იატაკზე ავდია რომელიმე წიგნი. იმ დღეს ბავშვის საწოლთან, კედელზე, უცნაური განათება შევამჩნიე. ასეთი არასოდეს არაფერი მინახავს. ცოტაოდენი ხნის წინ კი დავინახე ხელი, რომელმაც ტელეტის კარი გააღო. დავინახე სრულიად ნათლად, ხელშესახებად. ოღონდ იქ არავინ არ იყო...

ჰყვებიან ადამიანები, როგორ ჩნდება უცაბედად წარწერები კედელზე, ნივთებზე. მოულოდნელად ცვივა წერილები. როგორც ეკრანზე, ისე ხედავენ გამოსახულებებს, საუბრობენ, იღებენ ინფორმაციებს. ფუნჯი ხელში რომ არასოდეს სჭერია, ისეთი ადამიანი ერთბაშად იწყებს ხატვას, მეორეს ზღაპარს კარნახობენ. ზრდასრული ადამიანები თუ ბავშვები აღწერენ, ხატავენ, მოგვითხრობენ, როგორი შესახედაობისანი არიან ისინი, ვისთანაც კონტაქტი აქვთ.

ყოველივე ამას, თუნდაც მხოლოდ ადამიანის ფსიქიკიდან გამომდინარეობდეს, გულდაგულ შესწავლა და ანალიზი სჭირდება.

საუბარნი თალეს  
შონინასთან

— ბატონო თალეს, ანომალურ მოვლენათა შემსწავლელი კომისია კარგა ხანია მუშაობს. მოპოვებული გაქვთ უნიკალური მასალა, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს არა მარტო ჩვენთან, არამედ საზღვარგარეთაც. ამას მოწმობს თუნდაც ტომსკის საერთაშორისო სიმპოზიუმი. თქვენი მოხსენების შემდეგ ისე დაინტერესდნენ იაპონელები, რამდენიმე დღეში საქართველოში ჩამოვიდნენ. რით ახსნით ასე ინტენსიურად რომ იმატა შეუცნობელმა მოვლენებმა?

— ეს მოვლენები ყოველთვის ხდებოდა, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკის უფლება მოგვეცა. რაკი პრესაში გახდა შესაძლებელი დაბეჭდვა, ხალხის შეტყობინებებმაც იმატა. ჩვენი კვლევის ძირითადი წყარო რომ ეს შეტყობინებებია. დიდხანს ეს პროცესი ხელოვნურად იყო შეჩერებული. თქვენ წარმოიდგინეთ, თვით საზღვარგარეთის დიდი, ცივილიზებული სახელმწიფოებიც გვიწოდნენ ხელს. ამ მიზნის მისაღწევად დეზინფორმაციულ მასალებსაც აწვევებდნენ.

რატომ? იმიტომ, რომ ნებისმიერი სახელმწიფო ამ ფენომენის კვლევის დროს იღებს აუარებელ ცოდნას, დიდ ინფორმაციას მეცნიერების ისეთ სფეროებში, როგორც არის აერონავტიკა, გეოფიზიკა, მედიცინა და სხვა.

ბუნებრივია, ამ პროცესის შეჩერებას ცდილობდნენ.

ვერც იმას გეტყვით, ჩვენი მეცნიერება დიდად იყო-მეთქი დაინტერესებული ამ მოვლენებით. არც სამთავრობო მხარდაჭერა გვქონდა.

ახლა ამის დაფარვა სრულიად შეუძლებელია. და ეს ხდება ყველგან, მთელს დედამიწაზე. არც ის არის უკვე დაფარული

არავისთვის, რომ მსოფლიო მეცნიერება დიდი ხანია, დაფიქრდა და მრავალი ჰიპოთეზაც ჩამოაყალიბა უცხო ცივილიზაციის ზეგავლენასა და იმ კოდებზე, რომელიც ჩვენი წინაპრებისათვის დაუტოვებით დედამიწაზე.

— კერძოდ, რამდენად ძველია ეს კონტაქტები საქართველოში?

— ჩემი აზრით, ამ ისტორიის ფესვები ღრმადაა გადგმული წარსულში. ამაზე მეტყველებს ის პალეოკონტაქტები, რომელიც ასახულია ჩვენი ქედლის მხატვრობაში, ზღაპრებში, ლეგენდებში. გავიხსენოთ სვეტიცხოველის ფრესკები, ძველი ქართულილიტერატურის ძეგლები. თუნდაც ეკლესიამონასტრების ადგილმდებარეობა რად ღირს. საქართველოში ვერ იპოვით ეკლესიას, რომელიც საგანგებოდ შეჩვენული ადგილზე არ იყოს აშენებული, იქნა სადაც განსაკუთრებული ევლების ზემოქმედებაა. ასეთ ადგილებზე სასწაულებიც ხდებოდა, ისინი მოსალოდნელიც იყო და არის. ადამიანი, რომელიც ამგვარ ადგილს შეარჩევდა, უდავოდ შემთხვევითი პიროვნება არ შეიძლებოდა ყოფილიყო...

— რას გვეტყვით იმ ოპტიკური მოვლენების შესახებ, რომელსაც საზოგადოება უკვირდება?


— ახლა, როცა ყველა ცაში იცურება, რა თქმა უნდა, შეცდომა ბევრია. მაგალითად, ზაფხულში მთელი ქალაქი მიისწრაფოდა ფუნჯიკულიორისკენ, სადაც, მათი აზრით, უცხო სხეულს ხედავდნენ. ეს კი იყო ზღაპრული ვენერა, რომელიც ატმოსფერული მდგომარეობის გამო ფორმას, ფერს და ტრეკტორიას იცვლიდა.

ჩვეულებრივ თვალს არა მართო ციური მნათობები ეშლებოდა. ჩვენი მთავორიანი რელიე-





ხის დეფორმაცია ზემოქმედების ადგილზე



ერთ-ერთი სახის ზემოქმედება ადამიანის სხეულზე

დის პირობებში ზოგჯერ ახალ ნაითურას, მანქანის მაშუქებს და ტექნოგენურ მოწყობილობებსაც შეუძლია ადამიანის შედლომაში შეყვანა.

ჩვენთვის ძალიან იოლია იმ ლამაზ შეტყობინებათა შორის, რომელსაც ცაზე უცხო სხეულების გამოჩენის შესახებ ვლბულობთ მოსახლეობისაგან, ამოვარჩიოთ ისინი, რომელნიც სინამდვილეს შეეფერება. ამგვარი მოვლენა კი ძალიან ბევრია. მათი მოძრაობის ტრაექტორია გეოფიზიკურ რღვევებზე მოდის. ზოგჯერ მათი შეშვობითაც დგინდება მანამდე უცნობი ამნაირი რღვევები.

უკვე ვახდენთ ამა თუ იმ ადგილებში უცხო სხეულების შესაძლებელი გამოჩენის პროგნოზირებას და კიდევაც გვიმართლებს. შეტყობინების სტატისტიკითა და ბიოლოკაციური მეთოდების გამოყენებით ვადგენთ დაჯდომის ადგილებს დროის რეალურ მასშტაბში. სათანადო მეცნიერული მეთოდებით ვიკვლევთ ფიზიკურ დანაქდევებს, სითხეებს. არსებობს გრუნტის ანალიზის მეთოდიკაც. ყველა ეს ადგილი წესწავლის პროცესშია.

— მე მქონდა შემთხვევა, თქვენთან ერთად ვყოფილიყავი ერთ-ერთ ოჯახში. მეც კი მერგო „უცხოპლანეტელთა“ ერთი წერილი, რომელსაც სათუთად ვინახავ. ამ წერილის უცაბედად გაჩენის მოწმე თავად ვარ. მოწმე ვარ კიდევ იმ ბევრი სრულიად რეალური მოვლენისა, ოჯახში უდავოდ რომ ხდება. იმის მოწმეც ვარ. ერთ-ერთ სკოლაში რა კატეგორიულად მოითხოვდნენ თქვენგან ყოველივე იმის ამომწურავ ახსნას: რაც ხდება. თქვენ მშვიდად და დამაჯერებლად ხსნიით ამ მოვლენებს, მაგრამ კატეგორიულად არაფერს ამტკიცებთ და ყოველთვის იმით ამთავრებთ თქვენს საუბარს, რომ ეს მოვლენები შესასწავლია. მაინც მინდა გთხოვოთ, ორიოდე სიტყვით მოუთხროთ ჩვენს მითხველს კონტაქტების სახეებზე.

— დიახ, მე ვერიდები კატეგორიულ მსჯელობას და მართლაც მიმაჩნია, რომ მიუხედავად ფაქტების ამგვარი სიმრავლისა, ჭერ მაინც დიდი და დაძებული მუშაობა გემართებს, სანამ საბოლოო სიტყვას ვიტყვოდეთ. მით უმეტეს, ვფრთხილობ პრესასთან და მიმაჩნია, რომ სენსაციის გამოკიდება ამ საქმეში არ ივარგებს.

რაც შეეხება კონტაქტის სახეებს, მოკლედ გატყვით.

არსებობს ეგრეთ წოდებული ტვლებათიური კონტაქტები. მაგალითად, ადამიანი სიზმარში ხედავს, როგორ ჩასვს, რო-

გორ წაიყვანეს, რა ინფორმაცია მისცეს.

ამ კავშირების დროს, ძალიან დიდი ინფორმაცია მისცეს სხვადასხვა პიზიციებში მყოფი ერთსა და იმავე ცივილიზაციასთან ჰქონდათ კონტაქტი, ინფორმაციები კი განსხვავებულია. ეს გვაფიქრებინებს, რომ ზოგიერთი მათგანი პიროვნებიდან გამოდის.

ზოგჯერ ადამიანს ჰგონია, რომ რალაცას სიზმარში ხედავს, თვალს გაახელს და ნამდვილია.

ზოგჯერ ოჯახში სითხე იღვრება, ისმის მუსიკა, ლაპარაკი, ვილაც გაფრთხილებს, ჩნდება რალაც ნივთები, იკარგება. რა თქმა უნდა, ზოგიერთი ეს მოვლენა პიროვნებისაგანაც შეიძლება გამოდიოდეს, მაგრამ დადგენა ადვილია. მაგალითად, სადაც ნამდვილი კონტაქტებია, იქ ეს დაკარგული და შემდეგ დაბრუნებული საგნები დატვირთულია ბიოველით. და ამ მოვლენებს მართო ის მნიშვნელობა კი არა აქვს, რომ ფენომენი გვაგონობინებს თავის თავს. არამედ ის ამ ნივთებით, ამ სითხეებით, ჩვენი აზრით, ადამიანებს აძლევს მისთვის საჭირო ენერჯიას, ინფორმაციას.

პიროვნებების შემოწმება იმ აზრით, რეალურია თუ არა კონტაქტი, ხდება სამედიცინო დაკვირვებებით და ბიოლოკაციური მეთოდებით.

ამ კონტაქტების შემდეგ ზოგს უჩნდება გამოწყარი, დაფოთილი, ნაკაწრი, რომელიც ნაოპერაცივს გავს.

— ეს მოვლენები ადამიანზე კეთილმოქმედებისთვის არის გამიზნული?

— უდავოდ. ამ ადამიანთა ანალიზები კონტაქტამდე და კონტაქტის შემდეგ ამტკიცებს, რომ იზრდება ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობა სხვადასხვა დაავადებისადმი. ამის უამრავი მაგალითია. ერთ ქალიშვილს სმენა აქვს დაქვეითებული. იგი ხედავს სხივებს. სწორედ ამ სხივებით მიმდინარეობს მისი მკურნალობა. მერე უცაბედად ეშლება სასმენი აპარატები. ეს იმის ნიშანია, რომ მან უნდა მოიცილოს აპარატები და ავარჯიშოს სმენა. აი, იმ ქალბატონს კი, ფოტოსურათს უცაბედად ნაჩხვლეთი რომ გაუქვთდა ყელის არეში, ჩიყვი აქვს და ამ მიმართულებით წავიდა მკურნალობა...

თუმცა, საბოლოო დასკვნები, როგორც ვითხარით, ნაადრევია. ბევრი მუშაობა გემართებს.

— და ბოლოს საკითხი, რომელიც ასე გვადლევეს ყველას. ქართველი ერი დღეს სარწმუნოების მეშვეობით ძალას იკრებს, ერთიანდება, იბრუნებს ქრისტიანულ ზნეობას და ყურს უგდებს აუცილებლად



აღსასრულებელ მცნებებს. მე მინახავს თქვენს ლაბორატორიაში ის ადამიანები, რომლებსაც ასე ვთქვათ, რეალური კონტაქტები აქვთ უცხო პლანეტებთან. მათი უმეტესობა მორწმუნეა. ისიც კი მიიხრბა ერთი ბავშვის დედამ, საოცარია, საიდან მოსდის ამდენი რელიგიური ცოდნა, როცა ოჯახში ამ ინფორმაციის მიმწოდებელი არავინ ვართო.

მე კუსმენდი, სამი შვილის დედას, ვის ოჯახშიც თვითაალებადი მოვლენები ხდება, თქვენ ურჩევთ, იაროს ეკლესიაში, ატაროს ბავშვები, მოისმინოს წირვა-ლოცვა.

... ისიც შევნიშნე, სიონის ტაძარს რომ გავუარეთ, როგორ გადაისახეთ პირგვარი.

და ზოგნი მაინც ფიქრობენ რომ...

მართალი ბრძანეთ. ბევრი მორწმუნეა კონტაქტში. ერთი შემთხვევაც არ გვქონია. ვინმეს რწმენა დაკარგოდეს. ის კი მრავლად ხდება, რომ შევლენ კონტაქტში და მორწმუნენი ხდებიან. რა თქმა უნდა, ურწმუნონიც გვყავს. ისე, როგორც საზოგადოებაში საერთოდ. ღმერთს ყველგან ეთაყვანებიან. და ასეა, ალბათ, იმ ცივილიზაციაშიც. ამას რომ ვამბობ, დასაბუთებაც შემიძლია.

და მერე, ამ კონტაქტს ადამიანებისათვის ხომ სიკეთე მოაქვს.

მოგიყვანთ ნაწყვეტს მხოლოდ ერთი ქალბატონის წერტილიდან, რომელიც ხედავს რაღაც ნაწილაკებს: „ასეთ ნაწილაკებს ან ველს, რაც გინდა ის დაუძახე. ზოგჯერ ძალიან ბევრს ვხედავ. ზოგჯერ სულ არ არის. ამ ნაწილაკებისაგან ყველაფერი კეთდება: ძალი, კატა, ძროხა, ფრინველი, ადამიანი, ცხენი... მოდი და ნუ იწამებ ღმერთს ამის შემდეგ. გამოდის, დედამიწაზე მაინც ღმერთმა დაგვასახლა. ბოლოსდაბოლოს ვიწამოთ ღმერთი!“

ვიწამოთ ღმერთი, დავიჯეროთ, რომ ჩვენი მეცნიერება სულ სხვა სფეროა. ფიქრობ, არავისთვის არ არის სასარგებლო შუასაუკუნეებს დაგუბრუნდეთ.

**გსოლოდ ენთუზიაზმით?**

ერთხელ, სიკაბუჯეში, ალპინისტური ექსპედიციის დროს ხდეს ხეობაში ერთ მთაზე მართო ასულა თალეს შონია. სიმბოლურ რომ დაუძლევიდა და თოვლიან ტაფობზე ფეხი შეუდგამს, მაშინ გამხდარა პირველად საოცრების მოწმე — აშკარად დაუნახავს შიშველი ფენის ნაფეხურები, უზარმაზარი, 47-სანტიმეტრისა. მაშინვე ქართული ზღაპრების დევი დასდგომია თვალწინ. აღუბეჭდავს კიდევ ყველაფერი ეს ფირზე,

მაგრამ უკან მობრუნებისას ცხენი გადაჩეხილა და სხვა ავლა-დიდებასთან ერთად თან ჩაუტანია ის ფოტოაპარატიც. მთელი ცხოვრება გაჰყვა ეს სინანული.

აქედან დაიწყო დაუშრეტელი ენთუზიაზმი.

თანამოაზრეები და თანამოსაქმეები ბევრნი არიან. მათ თანდგომა და მხარდაჭერა სჭირდებათ.

საზღვარგარეთის მაგალითი: შესაბამისი ცენტრი სწრაფი რეაგირებისათვის მომარაგებულია ტრანსპორტის ყოველგვარი საშუალებით, თანამედროვე ტექნიკის დონის შესაბამისი აპარატურით. ამ საქმეში ჩართულია პოლიცია და შეტყობინების შემდეგ წამებში შეუძლიათ შემთხვევის ადგილზე მისვლა.

შეუცნობად მოვლენებზე მეცნიერებამ კომპეტენტური სიტყვა რომ თქვას, ხალხი რომ ასე მოუთმენლად მოეღის, დამეთანხმებით. ამისთვის მხოლოდ ენთუზიაზმი საკმარისი არ არის.

**ნათელა გიორგობიანი**

P. S. მასალა უკვე აწუობილი იყო, როდესაც რედაქციამ საინტერესო ცნობები მიიღო.

ქალაქ რუსთავის საქალაქო აღმასკომის დიდი გულისხმიერებით, ხელშეწყობითა და თანადგომით საფუძველი ეყრება უფოლოგთა სამეცნიერო ცენტრს. ამ კეთილშობილური საქმის ინიციატორი და მატერიალური მხარდაჭერი არის რუსთავის მოსაპირკეთებელ მასალათა კომბინატი. მისმა დირექტორმა შამია მახარაძემ, წარმოების უფროსმა იზოლდა შუბლაძემ და მთელმა კოლექტივმა გულთან ახლოს მიიტანეს საქართველოში გამოვლენილი ფენომენური მოვლენები და ამ ფენომენთან დაკავშირებული ადამიანების, განსაკუთრებით ბავშვების შესაძლებლობების სწორად წარმართვა გადაუდებელ საერო საქმედ მიიჩნიეს.

ამ დღეებში თალეს შონია მიწვეული იყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ინგლისის, იაპონიის, აშშ-ს, იტალიის, საფრანგეთის, სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების ცნობილი მკვლევარები.

კონფერენციაზე ერთხმად აღიარეს საქართველოში მიმდინარე კვლევის მაღალი დონე. ერთობლივი მუშაობისათვის დაშარდა კავშირები სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებთან. დაიწყო საქმიანი კონტაქტები. საქართველოში უკვე ჩამოდიან უცხოელი მეცნიერები.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის არქიტექტორთაგან შემდგარმა ჯგუფმა დაგეგმა საქართველოს მომავალი სამეცნიერო ცენტრი. გამოითქვა მშენებლობაში მონაწილეობისა და დახმარების სურვილები.



ეროვნული გიგლირთქვა



**პენსიონერი პრეზიდენტები**

რამდენიმე თვის წინ ამერიკელი ტელემაყურებელი ერთობ გააცა ბენისბოლის მატჩმა, რომლის რეპორტაჟი მოჰყავდა რონალდ რეიგანს. „ჩემი წარსული, ალბათ, ჩემი მომავალი გახდება“. — განაცხადა უოფილმა პრეზიდენტმა და სიამოვნებით დათანხმდა რადიოტელევიზიის კომპანია ენ-ბი-სის მიწვევას. მან ხომ ორმოცდაათი წლის წინ აიღვას შტატის ერთ-ერთ პროვინციულ სადგურში კომენტატორობით დაიწყო თავისი კარიერა.

ასე რომ, ვიდრე ჯორჯ ბუში ოვალურ კაბინეტში ქვეყანას მართავს, ექს-პრეზიდენტები რიჩარდ ნიქსონი, ჯერალდ ფორდი, ჩიმი კარტერი და რონალდ რეიგანი გარდასული აქტივობის იმპირიებს აგრძელებენ. ნიქსონი სტუმრობს მოსკოვს, პეკინსა და სხვა დედაქალაქებს. რათა ნონაწილეობა მიიღოს მაღალი დონის შეხვედრებში. ამით ცდილობს აღიდგინოს რეპუტაცია გახშურებული „ოტერგეიტის“ საქმესთან დაკავშირებით. რის გამოც კინალამ ციხეში აღმოჩნდა...

პოლიტიკოსობას აგრძელებენ ჩიმი კარტერი და ჯერალდ ფორდი. ისინი პანამის არჩევნების საერთაშორისო კომისიის წევრები არიან. კითხულობენ ლექციებს სხვადასხვა უნივერსიტეტში. კარტერი აქტიურად მოღვაწეობს სამოქალაქო უფლებათა სფეროშიც. ნიქსონი წერს ავტობიოგრაფიას, ამავე ხასიათის შემუშარულ წი-

გნში რეიგანმა ხუთი მილიონი დოლარი მიიღო...

ჯერალდ ფორდი რამდენიმე კორპორაციის კონსულტანტია. აქვს საკუთარი რადიოსადგური და აქტიურად თანამშრომლობს საქველმოქმედო ორგანიზაციებთან. რაც შეეხება კარტერს, იგი ხშირად ღარბობა სახლების მშენებლობაზე უსასყიდლოდ მუშაობს.

კანონით პრეზიდენტის პენსია წელიწადში 99 500 დოლარს შეადგენს. რაშიც არ შედის პრეზიდენტის თანამშრომელთა, დაცვის, საკანცელარიო შენობის და ტრანსპორტის სახელმწიფო ხარჯები. უკელა ამერიკელი ჩინოვიკი თანამდებობის მიღებისა და დატოვებისას წერს დეკლარაციას საკუთარი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. საკუთარი ვილა, ბინა თუ საექვო წარმოშობის აქცია საქმარია საფუძველია სასამართლოს წინაშე წარსადგენად.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ოთხივე პრეზიდენტმა თავისი განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მსოფლიო დამაბულობის განვითარების საქმეში. ისინი მონაწილეობდნენ აღმოსავლეთთან დიდ დიალოგში, ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირთან სხვადასხვა ხასიათის ხელშეკრულებებს, ნიადაგი მოამზადეს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კეთილმეგობრული ურთიერთობისათვის. პენსიონერი პრეზიდენტები აშუამადც აქტიურად იღვწიან ხალხთა კეთილდღეობისათვის.





# ეპოქროსური

# ასრუების უკვრა

ჩვენს პლანეტაზე დაახლოებით მილიონზე მეტი სახეობის მწერი ბინადრობს, მაგრამ აქედან ადამიანი მხოლოდ ორ მათგან იყენებს თავის სასარგებლოდ. ესენია: აბრეშუმის ჭია და ფუტკარი.

მეაბრეშუმეობა აშკარად მრავალი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მეტად მნიშვნელოვანი დარგია. რომელსაც მეტწილად დამხმარე ხასიათი აქვს და განპირობებულია გეოგრაფიული გარემოთი. მეაბრეშუმეობაში ყველაზე მეტად სახელგანთქმულ ქვეყნებს შორის ისტორიულად პირველი ადგილი ჩინეთს მიეკუთვნება, როგორც თუთის აბრეშუმის წარმოების უძველეს ქვეყანას. აქედან იგი გავრცელდა ჯერ მეზობელ ქვეყნებში. შემდეგ დასავლეთის მიმართულებით და თვით ნისლიან ინგლისშიც კი შეაღწია. სადაც, როგორც დიდი მწერალი ჩარლზ დიკენსი წერდა თავის სპეციალურ ნარკვევებში, „ბევრმა ინგლისელმა გატაცებით მოჰკიდა ხელი პარკის ჭიის გამოყვანასა და გამრავლებას“.

## ცოტა რამ ისტორიიდან

უტყუარი მასალები ცხადყოფენ, რომ იბერიელები, კოლხები, ლაზები, ჯანები და სხვა ქართველური ტომები უხსოვარი დროიდან ცნობილი იყვნენ თავიანთი აბრეშუმით. ამიტომ, ბუნებრივია, მეაბრეშუმეობას საქართველოში საინტერესო და დიდი ხნის ისტორია აქვს.

აქ ინტერესმოკლებული არ იქნება, გავინსნოთ მეცამეტე საუკუნის ცნობილი ვენეციელი მოგზაურის მარკო პოლოს შემდეგი მოსაზრება: „მე დიდი ხანია, რაც აზრად მომდას, რომ კოლხეთიდან იაზონის მიერ გატაცებული ძვირფასი ოქროს საწმისი იყო ბრწყინვალე მოოქროსფრო აბრეშუმის შეკვრა ან შულოები, რომლებიც ტილოებსა და ძაფებს შორის შესაძლოა გამოიყურებოდნენ როგორც ნამდვილი ოქროს საწმისი“. აპოლონ როდოსელი თავის „არგონავტიკაში“ ერთგან წერს: იაზონმა მუხის ხიდან ოქროს საწმისი ჩამოიღო. როგორც ჩანს, მაშასადამე, ოქროს საწმისი ყოფილა მუხის ფოთლებსა და პატარა ტოტებს შორის ასვეული პარკები,

რომლებიც ამომავალი მზის სხივებში ძლიერ შთაბეჭდილებებს ქმნიდნენ. ეს გარეული აბრეშუმი იყო! მუხის გარეული აბრეშუმი კი თუთის ნამდვილ აბრეშუმთან ერთად დღესაც ფართოდ გამოიყენება ჩინეთში, ინდოეთში, ინდოჩინეთში, იაპონიაში და სხვაგან. მაშინ, როდესაც, ევროპაში ის სრულიად მივიწყებულია, მაგალითად, ინდოეთში ყოველწლიურად 400 ტონა ველური აბრეშუმის ნედლეულს აგროვებენ, რაც მთლიანად ექსპორტის სახით გააქვთ აშშ-ში, გერ-ში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში.

მეაბრეშუმეობის გავრცელებას საქართველოში ზოგიერთი მკვლევარი მეხუთე საუკუნის დამლევით ათარილებს, როცა ვახტანგ გორგასალს, რომელიც თავისი ჯარით გამარჯვებული დაბრუნებულა ინდოეთიდან, საქართველოში ჩამოუტანია და გაუვრცელებია აბრეშუმის გრენა (თესლი). მაგრამ, როგორც ლიტერატურული წყაროები მეტყველებენ, მეაბრეშუმეობას უფრო ადრეც მისდევდნენ საქართველოში. იაკობ კურტაველი „შუშანიკის წამებაში“ წერს: „ხოლო წმინდამან შუშანიკ ნაცვლად ჭიჭნაუხტისა საქმისა დიდითა გულსმოდგინებითა ხელთა აღიხენა დავითნი“-ო. ცნობილია, რომ სიტყვა „აბრეშუმი“ სპარსული წარმოშობისაა და იგი მხოლოდ VI საუკუნიდან იკიდებს ფეხს ქართულში, მანამდე კი, როგორც იაკობ კურტაველის უკვდავი ქმნილება და სულხან-საბას ლექსიკონიც დაგვიდასტურებს, აბრეშუმის შესატყვისი ყოფილა „ჭიჭნაუხტი“. აქ საჭიროა გავითვალისწინოთ ის საყოველთაოდ ცნობილი გარემოებაც, რომ უფრო გვიანდელ პერიოდში საქართველოს ხელისუფალნი უცხოელ დამპყრობლებს ძვირფასი აბრეშუმით უხდიდნენ ხარკს და რომ შაჰ-აბაზი ვენახებთან ერთად თუთის ნარგავებსაც სპობდა საქართველოში განვითარებული მეაბრეშუმეობისათვის ბაზის განადგურებისა და კონკურენტის ჩამოშორების მიზნით.

საქართველოში მეაბრეშუმეობასა და აბრეშუმის წარმოების განვითარებაზე მიგვითითებს ცნობილი მოგზაური შილტბერგერიც (მე-15 საუკუნე), ხოლო ორი სა-


უკუნის მოგვიანებით რუსეთის ელჩი საქართველოში ტოლოჩანოვი აღნიშნავს, რომ იმერეთსა და სამეგრელოში აბრეშუმის პარკი მოჰყავთ ყველა გლეხის ოჯახში. ზუსტად იგივეს იმეორებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი გიულდენშტედი (მე-18 საუკუნე). რომელმაც აკადემიის დავალებით შემოიარა აღმოსავლეთ საქართველო.

საქართველოში 1848 წელს ჩატარებულმა აღწერამ ცხადყო, რომ ჩვენში მეაბრეშუმეობას მისდევდა 210 ათასი ოჯახი. 1860 წელს აბრეშუმის პარკის მოსავალი ყოფილა 400 ათასი ფუთი. მაგრამ 1864 წელს საქართველოს მეაბრეშუმეობას მოეცილია დიდი უბედურება — თავი იჩინა აბრეშუმის ჭიის „პებრინით“ დაავადებამ, რომელმაც თითქმის მთლიანად გაანადგურა ეს დარგი. მან თავზარი დასცა ქართველ გლეხობას და ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფს, უარესად გაუჩინა ეკონომიკა.

## რა ხდება და რატომ?

დღეს, კოსმოსისა და ახალ-ახალ განსაცვიფრებელ ხელოვნურ მასალათა შექმნის ეპოქაში აბრეშუმი, რომლისთვისაც მსოფლიო სახელის მქონე შემოქმედთ გადაუხდიათ ხარკი, მაინც არ ჯარგავს თავის ოდინდელ ღირსებასა და ლაზათს. პირიქით, მასზე მოთხოვნილება დღითი დღე უფრო იზრდება და ისეთ დარგებშიც კი გამოიყენება, რომ საქმეში ჩაუხედავ ადამიანს ფიქრადაც არ მოუვა. აბრეშუმი კაცობრიობის და განსაკუთრებით კი სუსტი სქესის წარმომადგენელთა ჩაცმა-დახურვის ერთ-ერთი უპირველესი და საოცნებო ქსოვილად რჩება. საერთოდ აღმოსავლელი, განსაკუთრებით კი ინდოელი ქალის გარდერობი წარმოუდგენელია ნახი, რბილი და ელვარე ნატურალური აბრეშუმის ეროვნული სამოსის — სარის გარეშე. ხოლო იაპონური განთქმული კომონო მხოლოდ მაღალხარისხიანი აბრეშუმისაგან მზადდება. ნატურალურ აბრეშუმს ფართოდ იყენებენ მედიცინაში, რაკეტების, თვითმფრინავების, დედაამიწის ხელოვნური თანამგზავრების, გემების ალქურვილობის,





ჩვეულებრივი და სატვირთო პარაშუტების, საერთოდ სამხედრო, სპორტული ინვენტარის, ათასგვარი ხელსაწყო-დანადგარების წარმოებაში. მისგან ამზადებენ განსაკუთრებულ ელექტრონიკატორებს, მარაოებს, იმპროვიზებულ ნაქარგებს... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს! თვით ყავაც კი აბრეშუმის ტომრებით გადააქვთ. „ეს ზომ მფლანგველობაა!“ — წამოიძახებს ზოგიერთი. დიან, მაგრამ როცა აბრეშუმის ტომრები სხვა რომელიმე ხელოვნური ან სინთეტიკური მასალაზე შეცვალეს, ყავას საგრძობლად დაუქვეითდა ფერი, გემო, არომატი. ამიტომ ნიუ-იორკის ყავის ასოციაციამ სასტიკად აკრძალა სინთეტიკური ტომრების გამოყენება და კვლავ ნატურალურ აბრეშუმს დაუბრუნდნენ.

ერთი სიტყვით, დღეს, როგორც არასდროს, უზომოდ დიდია მეაბრეშუმეობის მნიშვნელობა და ასპარეზი. მაშ, როგორია მისი წარმოების მსოფლიო მასშტაბები?

მიუხედავად იმისა, რომ გასულ საუკუნეებში საკმაო რაოდენობის აბრეშუმის ნედლეულს დასავლეთ ევროპაშიც ამზადებდნენ, ცივილიზაციის დონემ დღეს ეს დარგი იქიდან თითქმის განდევნა და მეაბრეშუმეობის კლასიკურ რეგიონებად კვლავინდებურად აზიის ქვეყნები რჩებიან. მაგალითად, ჩინეთში ყოველწლიურად ამზადებენ დაახლოებით 400 ათას, იაპონიაში — 90 ათას ტონა აბრეშუმის პარკს. პირდაპირ შესაშური და მისაბაძია, რომ ისეთ მცირემიწიან ქვეყანას, როგორც იაპონიაა, 300 ათასი ჰექტარი თუთის ხის პლანტაციები აქვს გაშენებული.

ჩინეთისა და იაპონიის შემდეგ მესამე ადგილი ტრადიციულად სსრ კავშირს უკავია — 50-52 ათასი ტონა. აქედან პირველობას არავის უთმობს უზბეკეთი — 31 ათასი ტონა. ჩვენ? 1964 წლისათვის საქართველოში აბრეშუმის პარკის დამზადება გაიზარდა 4 390 ტონამდე და რაოდენობის მხრივ კავშირში მეორე ადგილზე აღმოვეჩნდით. ხოლო ხარისხის მიხედვით პირველზე. მაგრამ მერე ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანმა, რომელმაც იმავე 1964 წელს ძლივს დაამზადა 3 000 ტონამდე ნედლეული. ბოლო წლებში უკვე 5 000 ტონას გადაჭარბა და ჩვენს რესპუბლიკას სადღაც მეხუთე ადგილზე მოუხდა გადაინაცვლება. ამ ბოლო წლებში ვამზადებთ 1750-1800 ტონას. და ეს მაშინ, როდესაც რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის აბრეშუმის პარკის გადამამუშავებელ საწარმოებს დაახლოებით 4 400 ტონამდე ნედლეული სჭირდება.

მაინც რა მოხდა, რამ გამოიწვია ასეთი თვალმისაცემი დაქვეითება? 1964 წელს დასავლეთ საქართველოში მოულოდნელად გამოჩენილმა თუთის ხის მიკროპლაზმურმა დაავადებამ ფოთლის სიხუტუქემ სწრაფად იწყო გავრცელება და დასავლეთ რაიონებში არსებული 12 მილიონ 700 ათასი ძირიდან უმოწყალოდ განადგურდა 10 მილიონზე მეტი თუთის ხე და ამ რეგიონში აბრეშუმის პარკის დამზადება თითქმის 3 000 ტონით შემცირდა. ეს დაავადება დღესაც განაგრძობს თავის შავ საქმეს და მასზე კარანტინია გამოცხადებული. რათა აღმოსავლეთ საქართველოშიც არ შეაღწიოს.

და მაინც როგორია დღეს ქართული მეაბრეშუმეობის განვითარების ტენდენცია. პრობლემები და პერსპექტივები?

— როგორც დავინახეთ, თუთის ხის დაავადებამ სასტიკი დარტყმა მოგვყენა. — გულისტკივილით ამბობს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მეაბრეშუმეობის სათაო საწარმოო სამეცნიერო ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე ზაურ ასათიანი, — მაგრამ ამაზე გამუდმებული გოდება და ერთი ადგილის ტკეპნა ჩამორჩენას ვერ დაგვადგენებს. საქირთა შრომა, მეცნიერული კვლევა-ძიება, პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომა, იმისათვის, რომ ქართულმა მეაბრეშუმეობამ კვლავ დაიბრუნოს თავისი ღირსეული ადგილი და რესპუბლიკის საწარმოებიც დავაკმაყოფილოთ საქირთა ნედლეულით, დროზე უნდა მოგვარდეს ორი ყველაზე უმთავრესი პრობლემა. პირველია საკვები ბაზა. მართალია, დიდი მუშაობა გაიშალა დასავლეთ საქართველოში განადგურებული თუთის ხის პლანტაციების აღსადგენად და ახლის გასაშენებლად, მაგრამ სასურველი შედეგი ჯერ კიდევ არ ჩანს. ვინაიდან ბოლო თხუთმეტიწლიან წელიწადში გაშენებული 28 მილიონი თუთის ხიდან ხელში შემოგვრჩა 20 მილიონი ვარგისი ძირი. თან ფოთლის მომცემია მხოლოდ 10 მილიონი ხე. ამას დაუემატოთ მოუვლელი, დაკნინებული, ნაკლებპროდუქტიული პლანტაციები და მაშინ ცხადი გახდება, თუ რა არახელსაყრელი პირობებია საკვები ბაზის მხრივ. ამ საშინელი სენის გამოჩენიდან მალე ოცდაათი წელიწადი გაივლის და პირდაპირ გულისტკივილითა და საყვედურით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა მეაბრეშუმე-სელექციონერებმა დღემდე ვერა და ვერ გამოიყვანეს თუთის ხის ისეთი გამძლე ჯიშები, რომელსაც ვერაფერს დააკლებდა ეს სენი. იგივე შეიძლება ითქვას ინიერ-მექანიკოს-რაციონალიზატორებზეც; თავს არავინ იწუხებს, რომ ჩვენს სფეროში მცირე მექანიზაცია მაინც დაინერგოს.

მეორე უმთავრესი პრობლემა მეაბრეშუმეთა ეკონომიკური დაინტერესება. ფასი კოლოგრაში აბრეშუმის პარკისა, რომლის მიღებას საკმაო რუდუნება სჭირდება. კვლავ დაბალია — საშუალოდ 10 მანეთი. თუ გვსურს ეს დარგი ავალორძინოთ, სულ მცირე 15-20 მანეთი უნდა გადავუხადოთ კოლოგრაში. აქ პირდაპირ გასაკვირია ცენტრის პოზიცია. აბრეშუმის ნედლეული არ გვყოფნის და გარკვეული რაოდენობა უცხოეთიდან შემოგვაქვს ვალუტით. ქვეყანაში კი აუთვისებელი რეზერვები და მეტად ფართო შესაძლებლობებია. და აქ ცენტრი მეაბრეშუმეთა დასაინტერესებლად არამცთუ აღიდებს ნედლეულის ფასს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა მის დამზადებას, არამედ პირიქით, საშემოსავლო გადასახადიც კი დააწესა და ამით უარესად ათხელებს ისედაც შეთხელებულ მეაბრეშუმეთა რიგებს.

დღეს სხვადასხვა დარგსა და სფეროში ფართოდ მოიკიდა ფეხი იჯარამ, არენდამ. კოაპერატივმა. საინტერესოა, თქვენ არ მოგმართავენ?

— მოგმართავენ კი არა, თავპირს გვაქამენ, მაგრამ საბოლოოდ ვერაფერზე შევთანხმებულვართ! ბევრ კოაპერატორს სურს ჩვენთან თანამშრომლობა, ოღონდ ერთი პირობით — აბრეშუმის პარკი უცხოეთში გაიტანონ და მიღებული ვალუტით თავიანთი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილონ. მეაბრეშუმეობის განვითარე-

ბაზე კი არავინ ფიქრობს! თუ კოაპერატორებს მაინცდამაინც უცხოეთში გვქვია რომა სწადიათ. მაშინ კეთილ ინტენციონით თუთის ხის პლანტაციები გაიშენებენ და აბრეშუმეობის განვითარებაზე იზრუნონ. მაგრამ ეს უკვე აღარ უნდათ! ამიტომ აქედანვე უნდა ითქვას ყოველგვარი ორკოფობის გარეშე: რესპუბლიკაში აბრეშუმის დამზადებას ასეთმა კოაპერატორებმა ახლო მომავალში შეიძლება ერთგვარი საფრთხეც კი შეუქმნან.

როგორ, რანაირად? — დაინტერესებული კოაპერატორი ჩამოვიდის და მეაბრეშუმეებისაგან ფარულად შეისყიდის აბრეშუმის პარკს. ჩვენ კოლოგრაში ათ მანეთს ვუხდით, ის კი თორმეტ-ცამეტ მანეთს შესთავაზებს. ვინ გაუძლებს ასეთ ცდუნებას? ეს სტრატეგიული ნედლეული კი ისეთი ძვირფასია, რომ უცხოეთის ფირმებში წიკზე ღდაწან და ერთ დათქმარებასა ელიან — უმაღლესი დაგვიხდიან ოქროთი!

— კი მაგრამ კოაპერატორს საზღვარგარეთ პარკს ვინ გაატანინებს?

— ჰეი! შე კი კაცო, არ გიყურებია ამასწინდელი ტელეგადაცემისთვის — უცხოეთში ტანკების, ნამდვილი ტანკების უშელონის გატანას ახერხებდნენ და აბრეშუმის პარკი რა არის, თან როცა კერძო კოაპერატივებს კანონი უკვე უფლებას აძლევს უშუალო სავაჭრო ურთიერთობა დაამყარონ უცხოეთის ფირმებსა და საწარმოებთან... ახლო მომავალში ეს ყოველივე ჩვეულებრივი მოვლენა იქნება. ამიტომ აქ მთავარია ნედლეულის წარმოება-მიღება, თორემ თუკი ყველაფერს კანონიერების ელფერი ექნება, მაშინ ვისი რა საქმეა — ვინ მომყიდა და სად გამაქვს! ასე, რომ...


**პრობლემები, პრობლემები...**

...საუბარი ახლა ჩვეულებრივ, რიგით საჭირობოროტო პრობლემებს შეეხება.

— ამ მხრივაც ბევრი ნაკლი და თავსატეხია დაგროვილი. — დაფიქრებით შენიშნა ზაურ ასათიანმა, — გულსატკეპია, რომ მეაბრეშუმეობა როგორც საქირთა და კანონიერი დარგი, თითქო არც კი არის ოფიციალურად აღიარებული და სისტემატურ ყურადღება-კონტროლს დაქვემდებარებული, რა მძლევს ასეთი პრეტენზიული დასკვნის უფლებას? ის, რომ რაიონის და რესპუბლიკის ხელმძღვანელები რაიონულ, ზონალურ თუ რესპუბლიკურ თათბირ-შეხვედრებზე თავიანთ მოხსენებებსა და სიტყვებში ხშირად საერთოდ არც კი ეხებიან მეაბრეშუმეობას, მის აუკარგს. ხოლო თუ როგორმე მაინც ახსენეს, ისიც გაკვრით, მოკლედ, ვალმოსახდელად და დილექტანტურად. სწორედ ამიტომაც, რომ ბევრი რაიონისა თუ საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელი ცდილობს არა თუთის ხის მაღალპროდუქტიული ნარგავების მოვლა-გაშენებას, აბრეშუმის პარკის წარმოების გადიდებასა და გაიაფებას, არამედ სხვადასხვა უსაფუძვლო მოტივებითა და გამოგონილი მიზეზებით წლების მანძილზე დიდი გარჯის ფასად მიღწეული რეალური გეგმების შემცირებასა და გაუქმებასაც კი. ამის მწარე მაგალითი და გაკვეთილია ორი უდიდესი რაიონი — მარნეული და გარდაბანი.

— რა მოხდა იქ?





— ოცდაათი ოცი წლის წინათ ამ ორ რაიონს მეტად საპატირო მისია დაეკისრა — ბოსტნეულ-ბაღჩეულით მოემარაგებინათ რუსთავი და თბილისი! ეს რთული პრობლემა წარმატებით რომ გადაჭრილიყო, განსაცვიფრებელი, პირდაპირ დანაშაულებრივი ნაბიჯი გადაიდგა: გარდაბანს სულ გაუთქმდა, ხოლო მარნეულს მნიშვნელოვნად შეუმცირდა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმები! ღმერთო ჩემო, ამაზე მეტი სიბეცე გაგონილა?! სად აბრეშუმი, სად მეტოსტენობა? მათ სულაც არა აქვთ შეხებისა და გადაჭრის წერტილები, ერთმანეთს არაფერში უშლიან ხელს, ერთიმორეს არ გამოირიბიან! გავიდა ხანი და რა მივიღეთ?! ამ ორ უდიდეს, შრომითი რესურსებით სავსე რაიონში მეაბრეშუმეობა მეაბრეშუმეობად დაეკარგეთ, ხოლო თბილის-რუსთავი როგორ მარაგდება ბოსტნეულით, ამას ყველა ხედავს.

— დღეს რა მდგომარეობაა ამ რაიონებში?

— სავალალო... სასაცილო! გარდაბანი ამზადებს სამხაზვარ, მარნეული კი ოცდაცამეტ ტონა აბრეშუმის პარკს. ეს მაშინ, როცა მოსახლეობით გაცილებით მცირე რაიონი, როგორც, მაგალითად, ლაგოდეხია, წელიწადში აბარებს 309, ხოლო თელავი — 103 ტონა ნედლეულს. თანაც მარნეულში იმდენი აუთვისებელი საკვები ბაზაა, რომ იქიდან ქობულეთში და სხვა რაიონებში — წარმოგიდგენიათ, საიდან სად?! — ეზიდებიან თუთის ფოთოლს! გეკითხებით: სადა ლოგია, მომჭირნობა, ყაირათიანობა, გეგმავლობა და გეგმარება? მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: რაიონისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ სათანადო ყურადღება და მონღომება რომ გამოიჩინოს, ამ ორ რაიონში კვლავ აღორძინდებოდა მეაბრეშუმეობა და მაშინ, მაგალითად, მარტო მარნეული ყოველწლიურად თავისუფლად აწარმოებდა 70-80 ტონა ძვირფას ნედლეულს.

მცირე პაუზის შემდეგ მოსაუბრემ განაგრძო.

— ენა არ მიბრუნდება სასაყვედუროდ. მაგრამ სიმართლეს სად წაუყვალთ: ოცი წელია, რაც არ მიგვიღია ჩვენი მეცნიერების მიერ გამოყვანილი წარმოებისათვის ვარგისი თუთის აბრეშუმხვევიას ახალი ჯიშები და ჰიბრიდები! არადა, ძველი თანდათან კარგავს მანამათებელ თვისებებს, რაც მეტისმეტად უარყოფითად მოქმედებს აბრეშუმის პარკის საშუალო მოსავლიანობასა და საერთოდ მის ხარისხზე. ამიტომ იძულებული ვართ პერსპექტიული ჯიშები და ჰიბრიდები შემოვიტანოთ უზბეკეთიდან და უკრაინიდან. რაც მამასისხლად გვიჩვენა, დარგის წინსვლას ასევე აფერხებს პარკაშრობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრიმიტიული დონე. ასევე ვერ დაადგა საშველი მეაბრეშუმეთათვის დიდი ხნის წინათ შეპირებულ ჭიის მარტივი ტიპის ასაწყობი ბინების მშენებლობას.

— რა არის დარგის უმთავრესი და უახლოესი მიზნები და ამოცანები?

— ეს მიზნები და ამოცანები სავსებით ცხადია და თუ საქმეს კომპლექსურად მივუდგებით, ამდენად რეალურია: 1995 წელს ვაწარმოოთ 2200, ხოლო 2000 წლისათვის — 3 000 ტონაზე მეტი აბრეშუმის პარკი. წარმატების შემთხვევაში მთლიანად დაკმაყოფილდებიან რესპუბლიკის საწარმოები და ჩვენი მსუბუქი მრეწველო-

ბის დარგს აღარ დასჭირდება უზბეკეთსა და უკრაინიდან ნედლეულის შემოზიდვა. პირიქით, მაშინ რესპუბლიკისთვის ვალუტის შექმნის მიზნით შეიძლება საექსპორტოდაც გავიტანოთ ჭარბი პროდუქცია და თანაც არა ნედლეულის სახით, რაც, ცხადია, წამგებიანია. აბრეშუმეობა, სრულყოფილი ნაწარმი — ძაფი ანდა თვით ქსოვილი! მაგალითად, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი ამზადებს საკაბე შიფონს, რომელზეც წარმოუდგენლად დიდი მოთხოვნილებაა უცხოეთში.

მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გრენას (თესლის) ხარისხს, საქართველოში აბრეშუმის ჭიის კვერცხის ანუ გრენას გამოყვანას აწარმოებენ ქუთაისის, თელავის, ჩოხატაურისა და ზესტაფონის საგურენაო ქარხნებში. აქედან აღსანიშნავია თელავის ქარხანა, რომელიც ერთ-ერთი მოწინავე და სანიმუშოა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მთელ კავშირშიც. ქარხნის დარაზმულ, გამოცდილ კოლექტივს წლების მანძილზე სათავეში უდგას სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი სამსონ ოშორიძე — კაცი, რომელიც ერთი უბრალო მეცხვარე იყო, მაგრამ ქართული აბრეშუმის სიყვარულმა მეცნიერად და ამ დარგის ცნობილ პრაქტიკოს-სპეციალისტად აქცია.

ქარხნის უბირველესი ამოცანაა აბრეშუმხვევიას ჯიშების შენარჩუნება და გაუმჯობესება მათი სელექციის ზნით. აქ ამზადებენ სუპერელიტურ და ელიტურ, აგრეთვე ჰიბრიდული აბრეშუმის გრენას, რითაც მარაგდება როგორც ჩვენი რაიონები, ისე მოკავშირე რესპუბლიკები. ქარხანაში ყოველწლიურად 30 000-ზე მეტ კოლოფ (ერთ კოლოფში 45 000 ცალი კვერცხი) გრენას ამზადებენ.

— პრობლემები? — მკვირცხლად კითხულობს სამსონ ოშორიძე და პასუხს არ აგვიანებს. — ძალიან დაბალია მუშახელის ხელფასები, რაც ადამიანს შემოქმედებითი მუშაობის ხალისს უკარგავს. მაგრამ მალე ქარხანა სამეურნეო ანგარიშზე გადავა და მაშინ საშუალება გვექნება. ჩვენივე მოგებიდან გავადიდოთ ხელფასები... მეტად დაბალ დონეზეა მცირე მექანიზაცია: რაც ორმოცი-სამოცი წლის წინ იყო. ყველაფერი ისევე იმ პრინციპსა და ყაიდაზეა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქო ჩვენმა ინჟინერ-გამომგონებლებმა არც კი იციან, რომ ამ ქვეყნად საერთოდ მეაბრეშუმეობის დარგი არსებობს და მასაც სჭირდება მექანიზაცია, ტექნიკური გადაიარაღება, სიახლე!... მაგრამ ჩვენი ყველაზე დიდი და მოუჩინებელი პრობლემა, პრობლემა კი არა, სატკივარი. შემდეგია: ვენახებისა და ნათესების დაუდევრად შეწამვლისას შხამქიმიკატების მნიშვნელოვანი დოზა თუთის ნარგავებსაც ზედება! შხამნაკური ფოთლის ჰამისას კი აბრეშუმხვევია ელვისებურად კვდება. ამიტომ დროა დავიცვათ თუთის ხის პლანტაციათა ზონები, აგროტექნიკული ვადები, ავამაღლოთ შეწამვლის კულტურა და პასუხისმგებლობა — სხვაწარად არაფერი გვეშველება!

\* \* \*

მზე საკმაოდ გადახრილიყო, თბილისისკენ რომ ავიღეთ გეზი. თბილი, მშრალი საღამო იდგა და გზა-გზა ბლომად ირეოდა სოფლის გოგობიჭობა. ამიტომ შოფერს მანქანა ისეთი ტაატით მიჰყავდა, თითქოს

უცხო მხარეში ექსკურსიაზე არიანო. ერთიმეორეზე მარგალიტის მძივებით ეხმობდა თელავისა და გურჯაანის ქარხნების განთქმული სოფლები. გზის ორივე მხარეს თანაბრად მიტურავდნენ ხარხარის მრავალთახიანი ორსართულიანი სახლები. მსუბუქი მანქანის კაბინიდან ისინი უფრო დიდები გვეჩვენებოდა.

— პირდაპირ სველით ვივსები ხოლმე, — მოულოდნელად შენიშნა ზურ ასათიანმა, — როდესაც გლენკაცის ამ ვეებერთელა მშენიერ სახლებს ვუტკერი.

— რატომ? — ვიკითხე გაკვირვებულმა.

— იმიტომ, რომ თვითონ ოჯახი ორ-სამ ოთახში თავისუფლადა მოთავსდებოდა, უბრალოდ მეტი არ ესაჭიროებოდა, დანარჩენი ორი-ოთხი-ექვსი თუ მეტი ოთახი კი ცარიელი და არსებითად ფუნქციონირებულა! მაგრამ აბა, გაბედეთ და აბრეშუმის ჭიანჭვე ჩამოუგდეთ სიტყვა — შეუცაცყოფად მიიღებს, როგორ გეკადრება! ოთახები ძვირფასი მასალითა და ნოხავეჭით გააწყობ და იქ აბრეშუმის ჭიისთვის თაროებსა და ხარხიბებსა აჩონჩხავს?! რა დასამალია, რაც დრო გადის, მით უფრო გვიკირს მეაბრეშუმეების გამოძენა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ფართის „უქონლობაა“. პირდაპირ პარადოქსია: ზოგჯერ გლენს სამი-ოთხი ოთახი სრულიად უქმად აქვს, ახლა დამხმარე სათავსოები ნახეთ, მაგრამ მაინც არ ემეტება ჭიისთვის. არადა, წყალში ჩაყრილივითაა მის მშენებლობა-მოწყობაზე გაღებული თანხა! შე დალოცვილო, ამოაგებინე დანახარჯი, ნახე სარგებელი! რა საჭიროა ფუნქციონის ილუზიით თავის მოტყუება — არ ჯობდა ორიოდ ოთახი სადად შეენახა აბრეშუმის ჭიისთვის?!

ასათიანმა ამოიხარა:

— ბევრმა მხოლოდ ყურმოკვრით იცის აბრეშუმის ჭიანჭვე და ვერ წარმოიდგენს რა ზღაპრულად სარფიანი დარგია: ეკოლოგიურად სუფთაა, არც სპეციალური მუშახელი სჭირდება და ამ მხრივ უბაღლოა — მას შეიძლება მოუაროს მოსწავლემ, ინვალიდმა, მოხუცმა, პენსიონერმა... თანაც ზაფხულის პერიოდი უწყვეტ და თავიდან ბოლომდე სულ რაღაც თვენახევარი სჭირდება. მოგება? ლაგოდეხის რაიონში ერთი აზერბაიჯანელების ოჯახია, რომელიც მთელ საქართველოში ყველაზე მეტ ნედლეულს გვაბარებს.

— მაინც რამდენს?

— რვას კილოგრამს. ესე იგი, თვენახევარში ოჯახი მარტო ანახლაურების სახით რვა ათას მანეთს იღებს. როგორია? რატომ ის არ დაჰკანკალებს ოთახებს?! რა, ამდენი ფული ქართულ ოჯახს კი მეტი მოუვიდოდა?! მით უმეტეს დღეს, როცა დიდიან-პატარაიანად დამოუკიდებლობაზე ვოცნებობთ... ა, შეხედეთ, რამხელა სახლია!.. ესეც!.. აგერ, ისიც!.. ესა? უპ, თეატრი გეგონებათ!.. ჰოდა, აბა, წარმოვიდგინოთ, მეაბრეშუმეობის ორმოცდარვა რაიონში რამდენი ასეთი მსახლი მოითვლება. ყველა მათგანში სულ მცირე, თითო ოთახი მაინც რომ გამოუყონ აბრეშუმის ჭიას. მაშინ ვინ იცის, რა სიმდიდრის პატრონი გახდებოდა საქართველო! ღმერთო ჩემო, ასეთ კლიმატურ პირობებში რომელი უცხოელი ფერმერი მოაცდენდა ამდენ ოთახს!

მოსაუბრე ჩაფიქრდა. მეც. არადა, რაღაც უნდა ვიღონოთ.

ჯემალ მხარბიშვილი



ეროვნული  
ბიბლიოთეკა







ხეები ზეზუერად კვდებიან...

ფოტო ზონდო დვალაშვილისა

„შავრამ ამაჰამ უკვლავური მავწყდება და თვალნი მიდგება მხოლოდ ერთი ხმელი წიფელი. ისე უღრან ტყეში დგას, ერთის კლდის თავზედ“... — ასე იწყებს შერატე ახვასი ვაჟა-ფშაველა თავის მოთხრობაში „ხმელი წიფელი“.

ზე მოთხრობის დაწერიდან 102 გრძელი წელიწადი გაიდა. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ მოხდა და შეცვალა. შავრამ ეს ორგვერდოანი მოთხრობა — შარბოლი მანც არ კარგავს თავის მადლსა და მნიშვნელობას.

ჩვენი მღვდელურ ტიპიკსაგან ჩარჩაყუებულის, მოგწინაბრება ვაჟას სამუარო გადაკითხვაც მის ჩრქულს და „ხმელი წიფელს“ რომ ჩააოაებდ უნებურად საკონგრესდო ტლცვი — ხმელი წიფელი ვაჟამ შარბოლს ნახა სადმე თუ ეს მხოლოდ ვენისის ფანტაზიის ნაყოფია? თუმცა ამას რალა მნიშვნელობა აქვს?! შემოკმდება მასში იმდენი ლირიზმი, სევდა, სახუაროს სიყვარული და ადამიანობა ჩაჰყვავი, რომ ეს ერთი კლდა მოთხრობა ფშავის ხეობიდან ამოხებული ბუნების ფურცელია გგონია.

მოთხველო, ახალ ისე ამ სურათს დაკვირდი, რომელზეც სამრეწველო ნარჩენები მოწამლული ვუბურასგან გადამხმარი მთელი კორიზია აღბედილი. ნეტავი მსგავსი სურათები ვაჟა-ფშაველაზე რა გავლენასა და შთაბეჭდილებას მოახდენდა: „ხმელი წიფელის“ მსგავსი შედეგების იდეასა და ფასულას ტყარნახებდა, თუ უტყუო ბუნებისადმი ჩადენილი ასეთი უხუდგულობა და ძალმობრება გააოგნებდა, სულსა და ნივს დაუბრუნებდა, კლდეს ველარ ჩაწოხინებდა მელაწში?! ვის იცის, ვის იცის!!!


თავბრუნდებოდა? სარწმადო მოწინებს წინ ჩვენი ცივილიზაცია, რომლის კვლადიკვლ უმოწყოლოდ წაღვარდება კორიზები, ტყეები, ფშენები, წარაფები, მღვლეობა, საოიბები, ზვიფენები, ხეობა... გარჩაგებვის მასწავლებლები ისეთია, რომ ზოგჯერ სუნქვას შეგვიკავს და უხალ ვაგახენდება ვაჟას ხმელი წიფელი, რომელიც ჩვენს წარმოსახვაში ისევე იტყვას სადღაც უღრან ტყეში, „ერთის კლდის თავზედ“, როგორც შარბოლი მოგონება და გაფრთხილება...

1931






ილია ჩიტაძე




მაია  
მამუკა ცეცხლაძე




გია ლაზარ



კოკა რამიშვილი



გიორგი მგალობლიშვილი



გელა წულაძე



გია ეძგვერაძე




ლევან კოლოშვილი



გია ბუგაძე

ალექსანდრ კაკაბაძე




მალხა შველიძე



ლალი ქუთათელაძე



ნინო ციციშვილი





# ქართული ხელოვნების გამოყენა ხარისხი



ართული სახვითი ხელოვნების საზღვარგარეთ ღირსეულად წარმოჩენისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ქართული მხატვრობის გამოყენა, რომელიც ამას წინათ პარიზში გაიხსნა.

გამოყენის მოწყობის იდეა გასული წლის სექტემბერში გაჩნდა, როცა თბილისში სახვითი ხელოვნების კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის „აიკას“ XXIII კონგრესი ტარდებოდა. კრიტიკოსთა ეს ავტორიტეტული გაერთიანება 1948-49 წლებში დაარსდა იუნესკოსთან. (დასავლეთის ცნობილ ხელოვნებათმცოდნეებს თბილისში კონგრესის მუშაობის დღეებში მიეცათ ქართული კულტურასთან ზიარების შესაძლებლობა. ამასთან, თვით ასოციაციის წევრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ე. წ. არაოფიციალურ კავშირებს — ნაცნობობას მხატვრებთან და თბილისელ კოლეგებთან.

„აიკას“ გენერალურ მდივანს, ქალბატონ ლეონ დე ლა გრანცილსაც თბილისში უოფნის დროს, ქართველ მხატვართა შემოქმედებასთან გაცნობის შემდეგ დაებადა პარიზში თანამედროვე ქართული მხატვრობის გამოყენის მოწყობის იდეა. ორი თვის შემდეგ იგი ჩვენი თანამემამულის ბ-ნ შალვა თაყაიშვილის შემწევობით ისევ ეწვია თბილისს დაგეგმილი გამოყენისათვის ექსპონატების შესარჩევად. ამჯერად მას ახლდა პარიზში ძალიან ავტორიტეტული ცენტრის მონა ბისმარკის ფონდის კულტურულ პროგრამათა რეჟისორი, ქალბატონ მონიკა დონამი. სტუმრებს თბილისში შეგზავნობდა ხელოვნებათმცოდნე გოგი ზომტარია, რომლის მოხსენებას ქართველი სახვითი ხელოვნების შესახებ დიდი ინტერესით ეცნობოდნენ „აიკას“ XXIII კონგრესზე.

განსაკუთრებული სიახლოვებითა და სიამაყით უნდა აღვნიშნოთ, რომ პარიზში გამოყენის შეცნობად მოგვევლინა ფრანგული ფირმის „არის ნინო“ არქიტექტი და ერთობლივი ფირმის „არის თბილისის“ გენერალური დირექტორი, ბატონი შალვა თაყაიშვილი. სწორედ მისმა ფირმამ იკისრა გამოყენისათვის დაკავშირებული ყველა ხარჯის გადახდა. გამოყენისათვის შერჩეული ნაშუქების დიდი ნაწილი გამოჩინილი ქართველი მოღვაწეების, კალისტრატე და ნინო ხალიძის ფონდში შევა.

ამასთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ექსპონატი, პარიზსა და სხვა დიდ ფრანგულ ქალაქებში დაგეგმილ გამოყენებათა შემდგომ ისევ საქართველოს დაუბრუნდება. თანამედროვე ქართული მხატვრობის შექმნილი კოლექცია, მომავალში გამოყენებული იქნება ქართული ხელოვნების სხვა დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში წარდგენისა და სპონსორირების კეთილშობილი მისიისათვის. ყოველივე ამის შესახებ ცნობილმა ქართველმა მხატვარმა მიტრი თაყაიშვილმა გვიამბო. ბატონი დიმიტრი ხელმძღვანელობდა ფრანგ ხელოვნებათმცოდნეთა მიერ შერჩეული ექსპონატების თბილისიდან პარიზს გაგზავნის ორგანიზაციას. გამოყენის კომისრად კი დაინიშნა ხელოვნებათმცოდნე, ბ-ნი გოგი ზომტარია.

მონა ბისმარკის ფონდი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალზე ავტორიტეტული კულტურული ცენტრია პარიზში. თანამედროვე ქართული მხატვრობის გამოყენა იქ 29 მაისამდე გაგრძელდა. გამოყენაზე წარმოადგინეს ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ კარგად ცნობილი ქართველი მხატვრების — ლევან ქორთაშვილის, ვი ბუღაძის, ლუკა ლასარტიშვილის, ილია ჩიტაძის, აკაკი რამიშვილის, შამუგა და მია ცეცხლაძეების, აგრეთვე კერამიკოსების — ნინო ციციშვილის, ალექსანდრე კაკაბაძის, ლალი ქუთათელაძისა და შალვა შველიძის ნაშუქვრები.

ფრანგ ხელოვნებათმცოდნეთა არჩევანში კარგად ჩანს თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ტენდენციათა განვითარების ობიექტური ხურათი. პარიზელი მხატვრული გაეცნო ახალი ქართული საისტორიო მხატვრობის უმნიშვნელოვანეს ნიმუშებს.

ახალგაზრდა ქართველ კერამიკოსთა პლასტიკური ძიებები გამოირჩევა ეროვნული ტრადიციის თავისთავადობით, უახლესი პოსტმოდერნისტული დიზაინის, მისი ესთეტიკის ორიგინალური გააზრებით. თავისი მხატვრული ღირსებებით პარიზში გამოყენილი ნაქეთობანი არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიოში აღიარებულ ნიმუშებს.

დღეს ქართული მხატვრობა ღირსია საზღვარგარეთ მნიშვნელოვანი საკადრისი წარდგენისა, და ჩვენც მადლიერების გრძობით ვუსურვებთ მომავალ წარმატებებს ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ესოდენ მნიშვნელოვანი საქველმოქმედო კულტურული აქციის მოწყობის კეთილშობილ საქმეში.

პარლენ კაპარაძე

# თავგაბეჭეველი განკველი

თავგაბეჭეველი მწველი ვარ.

თავი მას შემდეგ მაქვს გაბეჭეული, რაც გავიგე, რომ ადამიანი, ვისაც სიგარეტის მოთხოვნილება არა აქვს და მაინც ეწვევა, უფრო ადვილად ავადდება ფილტვის კიბოთი, ვიდრე ის, ვისაც აქვს მოთხოვნილება. მე მოთხოვნილება არა მაქვს და მაინც ვეწვევი. ჩემს მდგომარეობაში არ შეიძლება მოუწველობა იმიტომ, რომ ხელმძღვანელი მუშაკი ვარ. ხელმძღვანელი მუშაკი თუ არ ეწვევა, მას ავტორიტეტაც არ ექნება. თვით უმაღლეს ხელისუფლებაში მოწვევა ძლიერების სიმბოლოა. როდესაც სტალინის ძალაუფლების ჩვენება უნდათ, ჩიბუხით ხატავენ ხოლმე. მასაც სწორედ ამიტომ სჭირდებოდა ჩიბუხი. სტალინსაც ჩემსავით მოთხოვნილება არა აქონდა. მაგრამ მაინც ეწვეოდა. ხანდრო კავსაძისთვის უთქვამს, ჩიბუხი მოწვი, შენთვის საპაროსი მავნებელიაო. თვითონაც ჩიბუხს იმითომ ეწვეოდა, ბოლი რომ არ გადაეკლამა. ბოლის ყლასვა არც მე მხიამოვნებს. ერთი სული მაქვს, მოსაუბრემ თვალი მომარიდოს, რომ ბოლი პირიდან უნაფაზოდ გამოვუშვა. ღმერთმა დამიფაროს, ამ დროს შემამჩნიონ. გამოგონია, ასეთ მწველებს „ფულასა“ და „ბოლეს“ ეძახიან. მე კი მოწვევით დამიცირებას კი არა, ავტორიტეტის ამაღლებას ვესწრაფვი. როცა თათბირები მაქვს, მაშინ განსაკუთრებით კარბად ვეწვევი. თუ კიბილებში სიგარეტი მაქვს გარბილი, უფრო მიადვილდება განკარგულების ცაცემა. ხელკვეითბიც ნაკლებად შემეპასუხებიან ხოლმე. მაგალავე ყოველთვის მიდევს საუკეთესო მარკის სიგარეტი. ასანთს, ჩვეულებრივ, არ ვხმარებ. ნამდვილი მწველისთვის ეს არასაკადრისია. ვუცილება აუცილებლად იპონური სანთებელთაი. ეს ღირსებას მატებს ჩემს მწველურ რეპუტაციას. გამორჩეულ სიამოვნებას მანიჭებს უპირატესობის შეგრძნება არამწველის წინაშე. როდესაც ვინმე ერთდროულად გვათავაზობს სიგარეტს მე და არამწველს, ამაყად შევნიშნავ ხოლმე:

— ეს არ ეწვევ! ამით ატვიფიცემა მემბატება საკუთარი თავის მიმართ.

რაკი მოთხოვნილება არ გამაჩნია, ჩემთვის სიგარეტის ხარისხს მნიშვნელობა არა აქვს — ყველა ერთნაირად უსიამოვნო გამოს მოტოვებს პირში. მაგრამ უცოდინარობა რომ არ შემნიშნონ, რაც შეიძლება ძვირად ღირებულ სიგარეტებს ვეწვევი. თუ ვინმეს ჩემზე უკეთეს სიგარეტს აღმოუჩინებს, საქმის ცოდნით ვეუბნები: — მომწვევინე შენი კარგი სიგარეტი! შეთვისებული მაქვს სიგარეტის მიწოდებასთან დაკავშირებული რიტუალებიც კი: როგორ შეიძლება სიგარეტის მიწოდება და როგორ არ შეიძლება; როგორ უნდა მოეპყრა თვით სიგარეტს; ჩვენი სიგარეტი მოწვევამდე ჯერ კარგად უნდა მოსრისო ხელში. ამიტომ ცერითა და საჩვენებელი თითით ვსრეს ხოლმე. უცხოურ სიგარეტს არ უნდა მოსრესა. იმას მოუსრესად ვიღებ პირში. ასე ერთობ რესპექტუბელურად გამოვყოფრები. როცა სურათს ვიღებ, სულერთია სამუშაო კაბინეტი იქნება ეს თუ ექსპურსიაზე, აუცილებლად სიგარეტს ვიღებ პირში. უკიდურეს შემთხვევაში თითებს შორის მიკავია. თუ კოლეგებთან ერთად მიხდება შესვენებაზე გასვლა, ნასადილევისათვის სიგარეტის ულუფას ვიშარავებ. გავგებული მაქვს, რომ კარგია სადილის შემდეგ მოწვევა. რუსულად დავძენ ხოლმე: „პოსლედ ვუსნოვო ობედა, პო ზაკონუ არხიმედა ნალო ზაკურიტი!“ მაგალავე მიდევს წინასწარმომზადებული მოსრისილი სიგარეტი. თავისთავად, ეს რიტუალი რიტუალად, მაგრამ ისეთი შემთხვევა არსებობს, როდესაც არ შევარება სიგარეტი: თუკი ღვინოსა ვსვამ, თუშეცა, მაშინაც — მოთხოვნილება კი არ მემბატება, უარყოფითი დამოკიდებულება მიქრება სიგარეტის მიმართ. უბრალოდ, ისე აღარ მეწვილება.

ბოლო ხანებში საინტერესო ცნობები მოვიდა ჩემამდე: თურმე ამერიკის შერებულ შტატებში ცუდ ტონად ითვლება მოწვევა. მამაკაცების სამოცდათხუთმეტ პროცენტს მიუტოვებია ეს ჩვეულება. ბოლო სახელმწიფო დაწესებულებებში საერთოდ აღარ ეწვეიან. თუ ფარდაქმნისადა მიუხედავად კლავინდებურად ძალაში იქნება ჩვენში ლოზუნგი — „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას“, იმედია აქაც მოიკიდებს ფეხს არამწველობა. ერთი სული მაქვს, ჩვენშიაც დაინერგოს ეს სიხალდე. მაშინვე გადავავადებ სიგარეტს. სამაგიეროდ, ჩემზე იტყვიან: „აი ქეშმარტი ხელმძღვანელი. ამდენი ხანი ეწვეოდა და როგორ დაანება თავი! შეც დამრიგებლურად ვუსაყვედურებ ვინმე უნებისყოფოს: ბოლოს და ბოლოს, რა გავიხდა ეგ სიგარეტი; აი, მე ამდენი წლის მანძილზე ვეწვიოდი და დავთმე, კარგი რომ იყოს, შენ დამასწარებდი?!“

რალა დავიმალეთ და სიგარეტის გადავებით მეც მოვისვენებდი ერთხელ და სამუდამოდ. მართლა და მართლა, როდი მეხალისება ფილტვის კიბოთი დაავადების პერსპექტივა!

თავგაბეჭეველი მწველის მოწოდებები ჩაიწერა ზურაბ ასახანელმა





ოფელში სახლს ისე არავინ გა-  
დახურავდა, დირების ასაწევად  
ბეშქენისათვის არ ეხმო, ნად-  
ში წასული, ყველაზე მძიმე  
ლოდებს ეკიდებოდა. სათიბში,  
შუადღის მცხუნვარე მზეს თუ ყველა ჩე-  
როში ემალებოდა, ბეშქენს ოფლის ალი  
ედებოდა და ჯანდაუზოგავად იქნევიდა  
ცულს. მასპინძლის ქებით გულგაბობილს,  
მზის ჩასვლამდე ყოფნიდა ძალა. სადილ-  
სამხარს ლაზათიანად გეხსებოდათ, ვან-  
შამზე გული არ მიუწევდა და დალილ-  
დაქანტული. ყურებჩამოყრილი, ილაჯაწყ-  
ვეტილი ბრუნდებოდა სახლში.

— მოუკლავთ იმ უღმერთოებს, — ცხა-  
რობდა და წუხდა მოხუცი. — სხვა დროს  
თავს ნუ გამოიდებ, სხვებს მიბაძე, ძალ-  
ღონე დაზოგე, — არივებდა გამზრდელი.

— აა-სსე გგვ-ავეა-კვე-თთ-ებ, — ალუთ-  
ქვამდა, მაგრამ დაპირება მალე ავიწყლე-  
ბოდა.

გვიან შემოდგომის ერთ სუსხიან დღეს,  
ენგურის მოტანილ ქვიშის თხელ ფენას ნა-  
პირიდან მიჰყავა, რიყის ლოდები გააშიშე-  
ლა, ლამაზი ქვები ცალკე შეაგროვა და სა-  
ლამომდე ქვიშის იმოდენა ზეინი დაახვეა,  
ერთ სახლს ააშენებდა. შებინდებამდე  
ქვები გადაარჩია, სათითაოდ გასინჯა, შეა-  
ფასა და არჩევანი ორზე შეარჩია. ლურჯი  
ქვა სიდიდით ორჯერ დიდი იყო, სიმძიმით  
კი შეუდარებლად სკარბობდა ყვითელი.

— რა იბოვე ბეშქენ?  
— არ დაილაღე უსარგებლო ქვების ზი-  
ღვით?

— ნნ-აა-ხხ-ვეთ, ლლა-მმ-აა-ზზი ყყ-  
ვე...

— ენა ნუ მოიტეხე, შენ ყოველთვის ლა-  
მაზ ქვებს პოულობ.

— დააგროვე. ქალის მზითვეში გამოგა-  
დგება.

— გეყოფა ქვების ზიღვა, რაც მოიტანე,  
სახლის ასაშენებლად იკმარება.

— ყველა მოკვდავს, ერთი სისუსტე თან  
დაჰყვება, — კვლავ ალაპარაკა უბანი ბე-  
შქენის უცნაურმა გატაცებამ.

მაჩუბში შუა ცეცხლი გიზგიზებდა. ადა-  
მიანისა და პირუტყვის საერთო სადგომს,  
გამტვარზე დანთებული კვარის შუქი ანა-  
თებდა. მეზობლის ორი ხანდაზმული ქალი,  
ვაჩშამს ამზადებდა. მახვშის საკარცხულზე  
მჯდომი თენგიზი ამაოდ ეძებდა ლამაზ ქა-  
ლებს.

— სამსონ, მოზრდილი შეილიშვილი  
გყოლია, რატომ ცოლს არ შერთავ?

— ქალის დანიშნას მზითვეი უნდა.  
ბეშქენს ჭიბეში გახვერტილი გროშიც არ  
უღვეს.

— დღევმირი ვაჟკაცი გაგიზრდია, უღე-  
ლში შესაბამელ მოზვერვით აქვს კისერი  
დამსხვილებული.

— ბეჩავს უღელის მეტი რა უნაბავს?!

მოხუცს თავი ღირსეულად ეჭირა, მაგ-  
რამ არც თავაზიანობას ივიწყებდა. პირვე-  
ლი სასმისით. სტუმარი აღდევრძელა. მე-  
ორეთი მისი დიდი ოჯახი. წმ. გიორგის.  
სვანების სათაყვანებელ ღმერთს, მეტის-  
მეტად დაჩაგრულად რომ არ ეგრძნო თა-  
ვი. მესამე რიგში ახსენა. თენგიზმა ორნა-  
ხალით სავსე კათხა პირთან მიიტანა და ხე-  
ლი გაუშეშდა. — თვალი რამ მომტაცა?  
კუნძზე ყვითლად რა ღვივის?

მოხუცმა თენგიზის მზერას თვალი გაა-  
ყოლა და ბეშქენის „საგამოფენო“ კუთ-  
ხის გასწვრივ სადგომის ჭრილიდან თავგა-  
მოყოფილი ნიკორა ხარის ბრდღვილა  
თვალებს წააწყდა.

— თვალი დაადგა, ნიშანში ამოიღო. —  
ერთობ გამოჩენული ძღვენი მოინდომა  
ამ უღმერთომ! — დაღონდა სამსონი.

თენგიზმა მშვიდი, უდარდელი იერი მიი-  
ღო. ბეშქენმა გამტვარზე კვარი დაამატა.  
მაჩუბი განათდა და შუქით აივსო.

— ასე თვალისმომჭრელად რა ბრწყინ-  
ნავს? ეს ხომ ყვითელ ქვეს მაგონებს? და-  
ვიჯერო, ისე გამდიდრდა, ამის შესანახი  
ადგილი არ დარჩა? არა, ეს შეუძლებელია!

— წყუელმა ხარბად დაადგა თვალი.  
ნიკორას წაიყვანს! თავადი ძღვენის გარე-  
შე ოჯახიდან არ წავა, მაგრამ ხარი როგორ  
ვაჩუქო? — საგონებელში ჩაეყარა მას-  
პინძელი.

— „ამოდენა ოქრო? შეუძლებელია!  
ძველ დროში, ამათ წინაპრებს ენგურიდან  
ოქრო ამოქონდათ, მაგრამ ეს ხელობა და-  
ივიწყეს. ხარებისა და ძროხების მომრავ-  
ლების მეტი არაფერი იციან“, — ფიქრებ-  
ში წასული თენგიზი ერთბაშად გამოცოც-  
ხლდა.

— ბეშქენ, გინდა ბეჩოდან ლამაზი ქა-  
ლი გამოგაყოლო?

— მმ-იი-ნნ-და! — ალულულდა და  
ენა ფოლადის ნაჭერივით გაუხვედა.

— ძალიან კარგი. ისეთ გოგოს შეგიბრ-  
ჩევე. ყველას ზედ რჩებოდეს თვალი.

— „ეტყობა, წყუელმა ვიღაც გოგო გა-  
აუკუღმართა. თავის სოფელში საქმრო ვერ  
უშოვა და ბეშქენს აჩეჩებს ხელში. ცუ-  
დად გიცვინა სამსონ სამსიანი. შენს ხარკს  
რძლად ვერ დავისვამ“, — გაუჩნდა ახალი  
დარდი მოხუცს. ბეშქენს სახე წითლად  
აუღელავდა და ჩაფარ ციკას, რომელიც  
მის გვერდით იჯდა, მედიდურად გადახვედა.  
გამტვარზე კვარი ჩაიფერვლა. კერიაზე  
ნაკვერჩხალი წითლად ღვიოდა და მისი  
ანარეკლი კუნძის კიდეზე ციმციმებდა.

— „ეს მათხოვარი, ასე რამ გაამდიდრა?  
სიტყვა ჩამოუვადო? ვაი თუ, იაზროს და გა-  
დამალოს? შემდეგ ედავე. უმალ საბრჩო-  
ბელაზე ავა, ვიდრე ოქროს გამოაჩენს.  
გლუხის ბუნებას კარგად ვიცნობ, სულ იმ-  
ის მტკიცებაშია ერთი დახეული, მუხ-  
ლებს ზემოთ გადაჭრილი ჩონის მეტი არა-  
ფერი მახადია. სხვის დასანახავად სათადა-  
რიგო საცვალს არ გამოფენს. სჯობია დი-  
ლამდე მოვიცადო“.

— „შემაკის კერძს, თვალი სულ იქით გა-  
ურბის. წაიყვანს, არ დამიტოვებს რომ არ  
მივცე? ეს არ იქნება! ურჩი გლეხების მო-  
თავედ შემრისხავს, კატორლაში მიკრავს  
თავს“, — სამსონმა ფიქრებს თავი დააღწია  
და მორიგი სასმისი ასწია:

— ბატონო თენგიზ, ჩვენს წამებულ  
სვანეთს გაუმარჯოს, არ ვიცი, როდის დავ-  
სახლდით სვანეთში, როდის აშენდა ძველი  
კოშკები. მაგრამ ის ვიცი, რისთვის დას-  
კირდათ ისინი ჩვენს წინაპრებს. საქმეში  
ჩაუხედავი კაცი იტყვის, თავის მოსაწო-  
ნებლად, თავსამკაულადო. ვფიქრობ, ამგ-  
ვარი ფუფუნებისაგან იმათ თავი შორს  
ეჭირათ. კოშკი იყო მტრისაგან შეწუხებუ-  
ლი ხალხის ერთადერთი საფარი. გამოიგო-  
ნია, ჩვენს წინაპრებს უხსოვარ დროში ენ-  
გურიდან ოქრო ამოქონდათ. შემდეგ ავ-  
ბელითობით დავეჩავდით. დავეკინდით,  
სიმართლეს ვიტყვი. თქვენი წინაპრებიც  
მუდამ იმას გვიკეთებდნენ „დავეკმორ-  
ჩილეთ. დაიდგით უღელი, გვიბატონეთ.  
თორემ გაგსრისავთ. გზებს შეგტყრავთ.  
სულს ამოგხდით. საკუთარ ნაჭუჭში ჩა-  
გალობთ და ჩაემარხავთ“. იყო მუქარა,  
დავევაება. ლალატი. მოსყიდვა, ბრძოლა-  
ჭიდილი. მაგრამ თავისუფლება ვერავინ  
წაგვართვა. ვიდრე რუსი მეფის მოხელეე-

ბი თვალთმაქცურად არ ჩაგვიძვრნენ სუ-  
ლში. შეგვირყვნეს იგი, მოგვეწყობეს მოფ-  
ვაძინეს და დაგვიმორჩილეს. გონი, მოსუ-  
ლებმა იარაღზე ვიტაცეთ სხელი. მაგრამ  
დაკარგულის დაბრუნებაზე ფიქრი გვიან  
იყო. თქვენ ურჩობას გვეწყობებთ. ხალხი ბა-  
ტონს ვერ შეეგუა, ადვილად ფეთქდება,  
წონასწორობას კარგავს, ერთთავად იარაღ-  
ზე უჭირავს თვალი. მათ გულს დაპირებე-  
ბით ვერ მოიგებ. უჭირს, ბატონო თენგიზ,  
ხალხს. სიღარიბეში სულს დაფავს.

— არ იფიქრო, — სრულიად დამშვი-  
დებული ტონით დაიწყო ლამაზი თავად-  
მა, — სვანეთი შენზე ნაკლებად მიყვარ-  
დეს. თქვენ უფროობას ქადაგებთ, მე  
შეცდომებს ვებრძვი და ვასწორებ. რა სი-  
კეთე მოგიტანათ ბუნტმა? რა ბედი არგუ-  
ნა ურჩობამ სოფელ სალდეს? უფროობა  
იყო მათი ბრძოლა. ოცი კომლი მეფის ძა-  
ლაუფლებას დაუპირისპირდა. რისი იმე-  
დით? მალალი კოშკების? რომლებიც ჯა-  
რისკაცებმა ერთი დაკვრით მიწას გააქრეს.  
თქვენ დღეს სწორად შენიშნეთ, კაჟიანი  
თოფებით მეფის ზარბაზნებს ვერ გაუმკ-  
ლავდებით. დროა, ბედს შეურიგდეთ, მე-  
ფის ძალაუფლებას დაემორჩილოთ! ქედი  
მოიხაროთ! დაანახვეთ ერთგულება, ჩვენი  
მეფე ხელმწიფე წყალობას არ მოგაკ-  
ლებთ, — კვლავ ურჩია თავადმა.

— მეფის ძლიერებისაში ეჭვი არ  
გვეპარება. მაგრამ უბატონო სვანები, გა-  
დასახადისა და ხარკის გაღებას ვერ შეევე-  
გუეთ. ვალი არავისი გვემართებს, რომ ის  
გადავიხადოთ. ჩვენისთანა ღარიბი ხალხის  
შეგროვილი ფული, მეფის ხაზინას ვერა-  
ფერს შემატებს.

— მეფის მფარველ კალთას ამოფარე-  
ბულნი, მცირედ გადასახადზე ნუ ლაპარა-  
კობთ.

— ისიც არ ვიცი. რას ნიშნავს სიტყვა  
მფარველი. ქვეყანაზე ჩვენი შემწე არავინ  
გაჩენილა. მეფის ქვეშევრდომობის მიღე-  
ბით ჩვენს ცხოვრებაში არაფერი შეცვლი-  
ლა. განსვენება მხოლოდ ერთია; წინათ  
თავისუფალი ვიყავით. დღეს კი გადასახადს  
გვაწერთ. ყმაწვილი კაცები სალდათში მი-  
გყავთ, საიდანაც ბევრი ვერ ბრუნდება.  
თუ წინააღმდეგობას გავწევთ, კატორ-  
ლით გვემუქრებით. რაც წინათ გაუგონარ  
საქმედ მიგვაჩნდა. ნუ გავიწყდებათ, ბატო-  
ნო თენგიზ, რუსი მეფის მფარველობა ჩვენ  
არ მოგვითხოვია. მოსყიდვით, მუქარითა  
და ლალატით დაგვიმორჩილეს. ბატონი  
რომ გვდომებოდა, აქ მოსვლას დაღეშქე-  
ლიანებს ვინ დაგასწრებდათ. არც დიდი  
ხვეწნა-მუდარა დაგვირდებოდათ, ერთი  
დამხმებით ჩვენთან გაჩნდებოდით. წინათ  
ჩვენს სოფელზე გზად გავლის ნებას ით-  
ხოვდით, თავისუფლად ვერ დადიოდით.  
ახლა იგრძენით უწინდებურად ერთ ხმა-  
ზე ვერ უკრავს ჩვენი ბუკი, კაჟიანი თო-  
ფებით. მეფის ზარბაზნებს ვერ ვუშკლავ-  
დებით, ამიტომ ყველანი გავკითხამდით.  
თენგიზ, თუ ჩვენი ერთგული ხარ, მეფის  
ნაცვალს რად ემსახურები? დადექი ჩვენს  
მხარეს. შენ რამდენი გადასახადიც არ უნ-  
და აკრიბო, მთავრობის ფსკერგამძვრალ  
ხაზინას ვერაფერი გაავსებს.

— სამსონ, ნუ გავიწყდება, მთავრობის  
კაცი ვარ!

— თავადო, მე იმას ვამბობ, რასაც ჩე-  
მი ხალხი ფიქრობს. ვიცი, ასეთი ლაპარა-  
კი საზიფათოა, სიმართლის თქმას არავის  
შეუძლებოთ. მაგრამ მე ორი დღის სიცოც-  
ხლე დამრჩენია, კატორლაში წასაყვანად  
არ გამოვდგები. სათქმელი მე თუ არ გი-



# ყვეთუელი ქვა

პიონირობა

თხარით. ახალგაზრდები იტყვიან. მაშინ იმათ დევნაში, ვინ იცის, რამდენი სისხლი დაიღვრება.

„ამათი აწიოკება ამჯერად არ ღირს. წიპზე შემდგარ სვანეთს მეტი არ უნდა, დაიწყება ბუნტი და იარაღის უთავბოლო ბათქა-ბუთქი. არავინ იცის, ვის ამოიღებენ მიზანში“, — ფიქრობდა თავადი.

— ქუთაისის გუბერნატორი აღშფოთებულია სვანების უმადურობით, გადასახადი დროულად არ იკრიბება, ხაზინაში არაფერი შეგაქვთ.

— გადასახადს რისთვის გვაწერთ? სკოლის განსნას შეგეპირდით, სიტყვა გატეხეთ. სვანეთში გზას გამოვიყვანოთ და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი მაცდური ალექსა არ მოგვეცით. რომელი ერთი შეასრულეთ?

— მეფე სიტყვას არ გატებს, ყველა დაპირებას შევისრულებენ. გადასახადი კი ერთ კვირაში ჩააბარეთ, თავს ნურავინ აარიდებს, ურჩობის მოთავეებს საგანგებოდ დასჯიან. ჩემი ხალხის ბედი მაწუხებს. გულმა არ მომიტოვინა, ვერ მოვისვენე, მოვედი და გაგაფრთხილეთ.

მოტეხა მოხუცი თენგიზის მუქარამ, მოკარბებულმა თანაგრძნობამ.

— სოფელში ფული არავის აქვს, პირუტყვს ჩაგაბარებთ, — თქვა სამსონმა და ამ საგანზე ლაპარაკი დამთავრებულად ჩათვალა.

ჩაფარი ციცა პირდაღებული უსმენდა გლეხისა და თავადის საპირისპირო მსჯელობას. ერთი დაკარგულს მისტიროდა, მეორე გამარჯვებას ზეიმობდა. მაგრამ არა აშკარად, ჩვეული უხეში თავხედობით. არამედ ცბიერე ფანდებით უნელებდა გლეხკაცს თავისუფლების რწმენას.

თენგიზმა ვადაწყვიტა. მბზინავი ქვისათვის არ შეეხებდა. გრძობდა, იქით მიხედვით მოხუცს ალიზიანებდა. — „ციცას დაველო. მოგადობულ ქვას ისე წაიღებს, მის ასავალს ვერავინ გაიგებს. ამას ჩვეული ოსტატობით გააკეთებს. მაგრამ ამხელა სიმდიდრე როგორ ვანდო? ზღაპრულად გამდიდრებულს ეს მათხოვარი. ამ ქვის ფასი იცოდეს. მე შენ გეტყვი ჩონა-ანალუხს გამოიცვლის, ან დადიანის ბაღში სუფრას გაშლის? თავი რომ ებას. კუნძზე ოქროს დადებდა? ამისთვის ოქრო არამია. მიეცი ცელი და თონი, ზურგზე შოლტს ნუ მოაკლებ, ხედნე იმ ხარივით, ბაგაში რომ უბია და უდარდელად იცოხნება. ვიდრე ღონე შესწევს. უღელს გასწევს. მოკვდება და ეს მოხვერი შეენაცვლება, მთელი ღამე ხმაამოუღებლივ რომ ილუქმება, თითქოს თამამია, მაგრამ რათ გინდა, პირში ენა არ უბრუნდება. ქალის შერთვას შეეპირდი, სიხარულით ვას ეწვია, მადლობის თქმა კი ვერ მოახერხა“. — ჯირკვზე ცეცხლის ენები აცეკვდა, აბრღვივალდა, აენთო, ათამაშდა და წყეული, მაცდური ხარბი თვალი მოიტაცა.



— მოგწონთ თავადო? თქვენი ფეშქაში იყოს! უღელში ბადალი არ მოეძებნება. სოფელში გამორჩეული ხარია.

მოხუცის ნათქვამმა, ღიმილი მოჰგვარა თენგიზს. — „ბრიყვო! მათხოვარო! მიგიხვდი, რა ცეცხლიც გინთია და გწვავს. მე ხარი რისთვის მჭირდება? რქებდაგრებილ ნიკორაზე მელაპარაკები? კეთილი, გულს არ დაგწვეტ, ამას მეორე გზობაზე წავიყვან. ჯერ მთავარი სიმდიდრე ჩავიგ-

დო ხელში, რომლის ფასი სიზმარშიც არ გინახია. შე უბედურო, შენა“. — ფიქრმა გაიტაცა და პასუხი დაუგვიანა: — კარგი ხარია, რამხელა რქები აქვს, ეტყობა ჭიშინანია.


— ჭიშინანია! ბეშქენმა ჩამოიყვანა ყაბარდოდან.

— კარგი პირუტყვია!

— ამ ხარს ხვალ მოგართმევთ!

სიხარულით აიგსო ბეშქენი. ხარი რა





სახსენებელია. თენგიზი ქალის შერთვას შეპირდა. ქალის დანახვაზე რეტი ესხმის, თვალთ უბნელდება. წყაროზე მოსულ თანასოფელ დაროსთან, რამდენჯერმე სცადა სიყვარულის გამყვანება. მაგრამ ეს საქმე დილით რომ დაეწყო, სათქმელს სამხრობამდე ვერ მორჩებოდა. მთელი დღე ვინ გაუჩერდებოდა? მაკდურ ქალს კი არა. ბაბუასაც არასოდეს მოესმინა მისი სათქმელი.

— „ჩერ სიტყვა არ მიტყვია, ის კი გაიძახის — ყველაფერი გაივსო! ბეშქენ, ნადში წაიღი, მეზობელს უჭირს, მიენმარე. ქვიშა შეაგროვე! შეშა მოიტანე! სათიბში წასვლა დაგვგვიანდა. — მოშაობა არ მეზარება, მაგრამ ლაპარაკიც ხომ მინდა? წაიყვანე ნიკორა, თუ გინდა, მთელი სოფლის ნახირს კარს მოგაყენებ, ოღონდ ქალი მომათხოვე“, — ჩაიძირა ტკბილ ფიქრებში ბეშქენი.

ტაბატაძემ მკდარი ციკა აწრიალდა, მზერა თავადის თვალთახედვის მიმართულებით გააყოლა, გეში აიღო. ლეკვი ნადირის კვალს მიჰყვა, სახე დაეღრიჭა, ყბა მოექცა, გული შეეკუმშა და სუნთქვა შეეკრა.

— ციკა, ხარბი გულით სვამ და ჭამ, ისეთ ლუქმას ნუ მოისურვებ, რაც ყელზე დაგაღებ! — დატუქსა პატრონმა.

— დიახ, ბატონო, — დაუდასტურა მსახურმა.

გაზაფხულ-ზაფხულობით ლაგამაწყვეტილი ენგური, შემოდგომის მიწურულს ძალუმად აღარ ეხებებოდა კლდოვან ნაპირებს. კამკამა წყალი ქვებზე ხტოდა და კისკისით მიეშურებოდა დასალიერისაკენ. მინახულ-მიყურებულ ღამის მდუმარებას წყალთა დუღუნის და ფხიზელი ძაღლების ყეფა თუ არღვევდა.

ლოგინში ვერ მოისვენა თავადმა, ძილი არ გაეკარა. — „ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, რა ბედნიერ მთვარეზე მომიყვანე ამ ოჯახში. რაც ამაღამ პატრივი დამაკლდა, შენ ამინახლავარე. ხომ ხედავ, გლეხის ოჯახში პური გავტეხე, ვანა შესაფერისი ჩილდო არ მეკუთვნის?“ — კარებთან მიგდებული, ძონძებში გახვეული ციკა თავისუფლად სუნთქვას ერიდებოდა, ბატონის შეწუხებისა ეშინოდა.

— „ლაწირაკო, ჭკუა ნუ დაკარგე, გონს მოდი, აქედან ფეო არ მოიცივალ, თორემ შუაზე გაგზლიჩავ. ქათამივით წაგაწყვეტ კისერს. კედელზე მიგასხმევენ ტვირს!“ — ფიქრობდა თავადი და აღიზიანებდა მისივე გაწვრთნილი ლეკვის სიახლოვე. — „ლაწირაკო, არამზადავ, სიბნელეში თვალებს ნუ აცეცებ. ვიცი, არ გძინავს. შენ ისეთი რამ ნახე ამაღამ, რომ კიდევ დიდხანს არ დაგეძინება. ამდენი წელი დაგეშო ძაღლივით თან დამდევ. ღამე ძილი არა გაქვს, დღე მოსვენება. რა იქნება, ერთი ღამე მეც გაავითენო? მართლაც ღირს თავის შეწუხებად. რამხელა ქვაა? მსგავსი არაფერი მინახია! საოცარია, აქ საიდან გაჩნდა? ვინ იპოვა? სადაა განძსაცავი? ნუთუ მარტო ეს ერთი იპოვეს? თუ მეტი არა, ოთხი კილო მაინც იქნება. ოქროს გრამობით წონიან, მე ოთხ კილოგრამ ოქროს მივაგენი. ეს ბედშავი მოხუცი გადასახადს მისტირის, მეფური სიმდიდრე თვალწინ უდევს, ის ვერ დაუნახია. უბადრუკი! გლახა! ამან კეთილშობილი ლითონის ფასი რა იცის?! ქვეყნის სიმდიდრე უდელი ხარი და დღიური ყანა ჰგონია. ოქრო რიყის ქვისაგან ვერ გაურჩევია. იმ დალოცვილს, კურთხეულს, რა ნათელი შეუქი ეფინა და ემოსა, ზედ ცეცხლის ალი

ეკიდა. მეალერსებოდა, მილიმოდა, მიცინოდა, კეკლუცად თვალს მიკრავდა, მეხვეწებოდა. დამინახე, შემამჩნიე, მიშველე, მიხსენი. სიბნელეში ყოფნამ თავი მომაბეზრა, მზის ნათელი მაპოვინეო. ნამდვილად ენა აიდგა ოქრომ. მას უფერი ხალხის ტყვეობისაგან ვიხსნი. თენგიზ, ღმერთმა ამათ სულთამხუთავად მოგავლინა ამ ქვეყანაზე. ამათი ბედი ჩემს ხელთაა. ესენი კი იძახიან, მონობას ვერ ვგვუებითო. საიდან გაიგეს, ბატონყმობა გადავარდაო? მერე რაა, თუ გადავარდა? რისი იმედი აქვთ? ამაში რა შევბას ხედავენ? რა შეღვრვათი მიეცათ? წინათ ქვემო სვანეთის ორ სოფელს ვფლობდი, ეხლა მთელი ზემო სვანეთის ერთმმართველი და განმგებელი ვარ. თუ მე და ჩემმა მოდგამამ არ ვმართეთ ეს ქვეყანა, სხვა ვინ გაუძღვება ცხვრის ფარას? სამსონი? კარგი სანახავი კი იქნება ჩემს ადგილზე დაკონიკლ ჩოხაში გახვეული, ქალამნებგაცვეთილი ბეჩავი მოხუცი. ციკა! ვიცი გლეხიძავს, მაგრამ არც მე მძინავს. დაეგდე მანდა კარებთან და მიდარაჯე, როგორც ბატონს შეეფერება. მაღლობელი იყავი, მშვიერს არა გკლავ. ჩემი გამობრული ხარის ბეჭი პირველად შენ გერგება. ოქროზე რას ჭყიტავ თვალებს? ჩასაცმელი გაკლია თუ დასახური? ჩემი გამონაცვალი სხვებზე მეტი შენ გერგება. კათხაში რაც სასმელი მრჩება, იმასაც შენ წრუბავ. ყველაფერ ამას ხომ იცი, რამდენი თვალი ადგია. რამდენს უნდა, შენი ადგილი დაიკავოს. ჭკუით იყავი, ციკა!“

„ნუთუ შენიშნა თავადმა? იქნებ მართლა ნიკორა ხიბლავს? იმ ხარზე უკეთესი რამდენი დაუღის, მაგრამ ნუ დაგავიწყდება ციკა. ბატონის გული ხარბია. მას ყველგან პირველი და უცილობელი წილი უდევს. კარგი მუშა კაცი, ღონიერი გამწვევი ხარი და ლამაზი ქალი ერთნაირად ხიბლავს, ყველას ერთნაირად ხედნის. ჩემისთანა ერთგულ კაცს მანამ ათრევს, ვიდრე ჩემზე ცბიერ, ეშმაკ, თვალთმაქც არამზადს არ ნახავს. ნახავს და მშვიდობით, თენგიზის ნასუფრალს არავინ გამაკარებს. ხომ არ გგონია, ციკა, ერთგულება დაგიფასოს, ბეწვისოდენა მიზეზს გამოგინახავს და პანლურით გაგისტუმრებს კარში.“

ღმერთო დიდებულო, შენ დაუბრძავე თენგიზს თვალები. გვეგდრები ყვითელი ქვა მე მარგუწე, იმას ხარი უბოძე. ხვალ საღამომდე დატოვე ოქრო ამ ბედშავი მოხუცის ოჯახში, ხვალ საღამოს თენგიზს დავაბინავებ, ოხრად დასარჩენ თავის სახლში, მე მგლის მუხლს გამოვიბამ, ალქაჯივით გაუჩინარდები, ამ სახლში ისე შემოვიპარები, ძეხორციელი ვერ შემინინავს, წავიღებ ყვითელ ქვას და ჩემს წაწალსაც ბოლო მოვლებ. ოქრო რა შავ ქვად მინდა? ვანა მეც კუნძზე დავაგდებ? გავყიდი, ფულად ვაქცევ, თენგიზისგან დიდძალ მიწებს ვიყიდი, იჯარით გავცემ, დოვლათით ავივსები, ავშენდები. უმდიდრესი კაცი ვიქნები, ოქრო-ვერცხლში ჩაეჭდები, ცოლ-შვილის თვალში ავამალდები.“

— „ნიკორა ხარი მოეწონა. რა ვქნა, წაიყვანოს! არ მემეტება, მემეტება კი არა, გული მიკვდება, სიცოცხლეში ერთხელ ძლივს დავაწყვილე ხარები და შრომას ბარაქა დაადგა. ბეშქენმა, საღლაც გადასაქარგავში ნახევარი წელი იმუშავა, ცელის ქნევით, ხელის გულზე ცხრა პირი ტყავი ჰქონდა გადაძვრალი და მთელი მისი გასამრჯელო ერთ მოზვერს არ გასცდა. ტანჯვით შეძენილი ხარი თენგიზს უნდა ვაჩუქო. საოცარია, ისე დაადგა ხარბი თვალი,

გვეგონება ჩემსავით ქვრივ-ობლობაში ეცხოვროს. არამი იყოს, წაიყვანოს! მენ ქალს ჩემს მიწაში დავიმარხო. დღეს იმდენივე ლაპარაკე, ადვილად არ დაიწყებენ, გამაციბირებს. იქ ვინც წაიყვანეს, რომელი ერთი დაბრუნდა თქან? ჩვენი ხალხი ციმბირს კი არა, ქუთაისის ციხეს ვერ ეგუება. ერთ წელიწადში იხოცებიან.“

— „კეთილი თენგიზი, ლამაზ ქალს შემპირდა. თვალი დაუდგეს დაროს, ჩემი დაცინვისა და სიცილ-ტირილის მეტი ხომ არაფერი იცის. დაროს დასაწუნი რა მჭირს? თუ არ ვლაპარაკობ, ვისზე ნაკლები ვარ? ვინმე მჯობნის, მუშაობაში, ჭიდაობაში, ქვის ტყორცნაში? ლამაზი ქალი მოვიყვანო, სულ ხელის გულზე დავისვამ. პური გამომიქნოს და ლამაზი ბავშვები გამიჩინოს, მეტი მისგან არაფერი მინდა. მომბეზრდა ბაბუას გამომცხვარი პურის ჭამა, რომელსაც ხან მარილი აკლია, ხან ცარიელა ცომია, ხან კიდევ თვალის მოსატყუებლად რომ ჩაეძინება, გამოღობულს დამწვარ-დანახშირებული პური შერჩება ხელში. რა ბედნიერი ვიქნები, ლამაზი ცოლი, კეთილი ბაბუა, კარგი ბავშვები მეყოლება. მეტი რა უნდა ჩემს გულს?“

მოუსვენარი ღამე ფიქრებში დაიწვა და დაილია. მზის პირველი სხივი ვიწრო სარკმელზე დაეცა და ახალჩაძინებულ თავადს სახეზე დააცქერდა. თენგიზმა თვალები აახამხამა. მსახური დაძებნა. ციკას ლოგინად გაგებულნი ძონძები ტანზე შემოხვეოდა და თავიდან იშორებდა.

— „ეშმაკის კერძი, გეტყობა, ტკბილად არც შენ გძინებია, მალ-მალე გიცვლია მხარი“. — ლაპარაკობდა თავადის უნდო თვალები.

— „თავადო, მეტად მკვირცხლად წამოხტი ლოგინიდან. შენ დილით გიყვარს საწოლში ნებივრობა და ფუთფუთი. სამსონის მაგივრად მე გინძი ბოლიშს, რომ ქალი ვერ მოგართავა. მაგრამ ნუ გავიწყდება, აქ თავისუფალი სვანეთია, ამათ ქალებს კბილს ვერ გაუტეხავ. გადასახადს შეაწერ. კატორღაშიც გაამწვეს, ეს შეგიძლია და უნდა გააკეთო. ქალებზე კი თავი შეიკავე. თორემ კერკეტ კაკალს, ქვა თუ დაგვცა. შუბლს გაგიტეხავს. შუბლგატეხილი თვალი, რა სანახავი იქნება, თავად განსაჯე. თენგიზ, ვერც შენ მალავ გულის ნადებს სახეზე ვერცობა, რა ცეცხლიცა გწვავს. ნუ გავიწყდება, რომ ყვითელ ქვას პატრონი ჰყავს. რა? ეს სალაპარაკოდ არ ღირს? გაუხმეს ბეშქენს თავი, გაბედოს და გლეხური, ლაზათიანი ჭიტლაყი ამოგვრას. მე შენ გეტყვი, სატევარზე არ გააკარა ხელი. ვიცი, კარგად გიცნობ, რა ვაეკაცოცა ხარ, შენს ბედს გაასწრებ, აქედან ისე გაიქცევი, მერე-და მე რას ვიზამ? მამა გიცხონდება, ერთბაშად ამათ თავი არ შეევაკლა და ბავშვები არ დავაობლო. შენი მოწყალების ამბავი რომ ვიცი, ღვიძლი შეიღვივით გამიზრდი ობლებს. არა თენგიზ, ამგვარ ხელჩართულ. პირისპირ ბრძოლაში ჩემი იმედი ნუ გექნება. ოო, როგორ მინდა, ერთი ხელი გამოიღოს თავგასახმობმა ბეშქენმა. კატორღა? დალახვროს ეშმაკმა. ეს რამ დამავიწყა? ამისი მეტად ეშინიათ. ნუ გეშინია, ხელს არავინ გახლებს. ესენი გულმართალი ხალხია. გლეხკაცის გულის მონადირებას რა უნდა? შენი ცბიერი ღიმილი, ზედ პილპილმოყრილი მაკდური დაპირება, რასაც ასე უხვად არიგებ და აღსრულება არ უწერია. სულ ესაა და ეს. ამას რას ხედავს ჩემი თვალები? თენგიზმა პი-



რის ფარგლებში უარი თქვა? დახე, ფეხზე საკუთარი ხელით ჩაიცვა. ჩონა-ახალუხის ღუგუბის შეხვევა ცოდნია. სასწაული? მიცვალე ღელის გამოცხადებას ვიწამებდი, ამას კი არა. რატომ ამინხირდა? სამსახურზე რატომ თქვა უარი? მივხვდი, გასაგებია! ჩვეული ფანდია. წინასწარ მამზადებს, რომ ენა გადაეყლაპო. ეპეი, თენგიზ! როგორ მინდა დავიყვირო. შენ ამ ხალხთან რა ხელი გაქვს? მე ვარ მდაბიო ხალხის შვილი. ამათი განაყარი ბოლქვიდან ამოსული ღერო ვარ, რომელიც სარეველა ბალახმა დაფარა. მე ჩემს ფეხსა და ნერვს დავშორდი, მაგრამ გწამდეს, მე მათი განაყარი ვარ. ჩემი ღერო მოსაჭრელია, მაშინ ფეხები კეთილ ყლორტს ამოიყრის. ამასაც მოვესწრები? კეთილი, გეთანხმები! ყველაფერს დასასრული აქვს“.

— რას ფიქრობ, ციცა? ცხვირი რატომ ჩამოგტირის, ცული ხომ არაფერი გეისიზმრა?

— არა, ბატონო. სიზმარში ანგელოზები ვიხილე. გასს გეხვიან და თქვენს ყველა სურვილს მორჩილად ასრულებდნენ.

— როგორ გაქვს დაცდილი ეს სიზმარი?

— ვგრძობ, წინ დიდი სიხარული გელოდებათ.

— ნება მომეცით, ორ კაცს დავუძახო. სირცხვილში ჩავვარდები, ხალხი იტყვის, ღმერთის სწორი სტუმარი ჰყავდა და ბიძაშვილებიც კი არ დაძებნათ. იმათ გარეშე ჩემს ოჯახში პური არასოდეს გატეხილა.

— სხვა დროს მე არ ჩავგერევი; დაბატყე რამდენიც გინდა. დღეს ცოტა დრო მაქვს, მალე უნდა წავიდე.

თენგიზი და სამსონი ტაბაკს მიუხსდნენ. ციცას და ბეშქენს მოშორებით დაუდგეს საუზმე, ახსენეს მადლი, სტუმარ-მასპინძელი, ღმერთი, ერი და ყველა კარგი კაცი.

თავადის კერძი ხარი თივას მადიანად შეექცეოდა, ახალ პატრონს ყურადღების ღირსად არ თვლიდა, არ ფიქრობდა, ვის უღელქვეშ გაწევდა ჰაანს, ბატონის თუ გლეხის. მისი ხვედრი ყველგან აბეული და შოლტი იყო.

— „ღმერთო! თავადს ხარი აჩუქე, ყვითელი ქვა მე დამიტოვე“, — ნატრობდა ბედშვილი ციცა. — თენგიზს ლამაზი ქვები არ აკლია. კაცს ქონი ახრჩობს, მსუქანი ღუმე რად უნდა? ან საწყალი ფიცის განძში რა ხელი აქვს? ის მე მეკუთვნის. თავადს კუბოს მეტი ყველაფერი აქვს, არაფერი აკლია. კუბოს ფიცარს საკუთრი ხელით გავურანდავ, არ მოვაკლებ ცბიერ წყალწყალა ცრემლს, ერთგული მსახურის იერით დავიტვირთ, მხოლოდ ყვითელ ქვას ნუ შემეცლება, ღმერთო, გაუფრთხილდი თენგიზის ღირსებას, თავადს ამ ოჯახის გაქურდვა არ ეკადრება, სახელს გაუტეხს, იცი გაუგებარი არაფერი რჩება. ჭერ ახლა არ ენდობიან მის სიტყვას, ბილწი საქციელი სულ შეუღალავს კაცობას. ჭკუა რომ ჰქონდეს, ნებით აიღებდა განზრახვას ხელს. ხარს აძლევდა, ქვა რად უნდა? ზანღუკები ამგვარი ბრწყვილა ქვებით აქვს გაჭედლილი. უფალო, ქვა თავის ადგილზე დატოვე. ამ საკოდავებს ზედმეტი, დაუნახავი სიმდიდრისაგან გაუნთავისუფლებ. ყოვლის შემქმნელო, ისმინე ჩემი ხვეწნა-მუდარა, ერთხელ მაინც გაიხედე ღარიბ-საპყარი, არაფრის მქონებელი კაცის მხარეს. გაეყოფა განცხრომაში მყოფი კაცის სამსახური. მე გამინათე გზა, თავადის გზა ბაღნარში გადის, ენქს არსად წამოპ-

კრავს ფეხს. შუქს სიბნელიდან გამოსული დააფასებს, ლოცვა-ვედრებაც იმისი გწამდეს. ღარიბი გულით ლოცულობს. მდიდარი კი ხალხის დასანახავად. მე სანთელს ისე გინთებ, განზე არ ვიხედები, მოწმე და თანმხილველი არ მჭირდება. თენგიზი ჭერ შენს მრევლს გადახედავს, რა დარწმუნდება ყველა მას უყურებს, ერთის ნაცვლად სამ სანთელს გინთებს. ჩემზე ხმაბალა ლოცულობს. მისი სიტყვა არ იწამო, ის ღმერთსა და ხალხს ერთნაირად ატყუებს. რაო? ორივე ქურდები ვართ? მე რე ამაში სხვაობას ვერ ხედავ? შენი წყალობა მე სიღუპირეს ამარიდებს. თენგიზს წყალობა რად უნდა? ღმერთის ტოლა კაცის სულს, მფარველობა აღატაკებს, აპარტახებს. ნახე, რას აკეთებს, თენგიზი მოხუცს გაუშინაურთა. ეს ერთ-ერთი მისი ნაცადი ფანდია. სამსონს ისე ოსტატურად გაქურდავს, შეიძლება მადლობელიც კი დარჩეს. როგორ მინდა ბეშქენმა ყურები გამოიჩხრიკოს და სახლიდან პანდურით გააგდოს თენგიზი და მისი მფარველი ღმერთი. რაო? მეც არამზადა ვარ? ვიცი! სამართლიანად არ ვიქცევი, მაგრამ მე სიღუპირე მახრჩობს, მონობამ თავი მომაბეზრა. ისიც ვიცი, კაცის გულში არავინ იხედება, ყველაფერი სამოსელია. თუ კაცის ტანზე ჩონა-ახალუხი ბრწყინავს, ქამარ-ხანჯალი ბზინავს, მას ხალხი ხელის გულზე ატარებს. ჯაგლაგი ცხენის პატრონს ქვეითი მგზავრი გზას უთმობს. ხოლო ბედაურზე მჯდომს, სოფელი თავს უხრის. ჩემი სულის სიწმინდეს უფრთხილდები? კაცობა შემირცხვება? ჩემი სახელი მონაა! უუფლებო, ბედკრული გლახა! ლეკვი ვარ, რომელიც თენგიზმა დაგეშა და მშობელ დედას, მამას, დას, მამას კბილით ვგლეჯ. ეს არის სახელი? შენ ყვითელი ქვა დამითმე, სახელი თავისით მოვა. მნახონ სიმდიდრით, ქონებით აღზევებული, ჩემზე ზღაპრებს, ლეგენდებს, არაკებს შეთხზავენ. გმირად გამომატყაბდებენ. სინდისი? გარწმუნებ, თენგიზზე სამართლიანი ვიქნები. თენგიზი ყვითელ ქვას დღისით, მზისით, სახალხოდ იპარავს. ამას როგორ ვიკადრებ. ხომ იცი, მე ყველაფერს ფარულად ვაკეთებ. შენს მეტი თანამხილველი არავინ მყავს. ღმერთთან დასამალი რა მაქვს, საკუთარი თავივით გენდობი. ღმერთო, ნუ ყოყმანობ, სამართლიანად განსაჯე. სახელს გაუფრთხილდი. ჩემს თვალში არ შერცხვე, თორემ შენს მრევლს, ერთი კაცი გამოაკლდება. ერთით ნაკლები არაფერია? რა იცი, სხვა რა თვალთ გიყურებს, რას ფიქრობს, თუ ჩემი არა გწამს, სხვისი რად იწამე? მარტო ღმერთის სახელი არ გიშველის. ჩემი სულის სიწმინდეს უფრთხილდები? სამოთხის კარებს გამიღებ? ნუ თუ ვიწამო შენი სიტყვა? ვთქვამთ მოკტყუვდი, შეცდომას ვინ გამოასწორებს? დაქედლილი კუბოთი რა ვიცი, საით გამაქანებ. სად მიკრავენ თავს? ვთქვამთ შეეშალათ და ჯოჯოხეთში აღმოვჩნდი. დავიჯერო, გამიხსენებ, მომიგონებ და უკან დამაბრუნებ? ასეთი ზრუნვა დაუჯერებელია. მე დახეული ჩოხით დამმარხავენ, თენგიზს ქათქათა ფარჩა-აბრეშუმის სამოსელში გაანვევენ. თეთრ ჩონა-ახალუხში გამოაწყობენ, გვერდზე ოქრო-ვერცხლით მოკედილ ქამარ-ხანჯალს ამოუდებენ. როგორ ფიქრობ, სამოთხეში რომელი მოვეწონებით? ვატყობ: სამოთხეც მდიდრების საკრებულოა. ღარიბს იქ არავინ შეუშვებს. თუ მოახერხა. კარისკაცი მოისყიდა და შეიპარა, მდიდრე-

ბი კეტის ცემით გამოაგდებენ. ნუ მატყუებ სულის სისპეტაკით. სპეტაკი სამოსელია. ვიწამო, ჩვენი გასაქურდე სამსონი სამოთხეში ამოყოფს თავს? მეტი რა იყოს ჩემი მეტი, იქ არავინ შეახედოს. შენს სიტყვას ვენდო? ეგრე იყოს, მხოლოდ ჭერ შევთანხმდეთ, ყვითელი ქვა ვის? სამსონი შევიცოდოთ? ის რას კარგავს? ქვა ფუჭად უგდია, ხარს უდრტინველად შეელია. სამსონი არაფერს არ გთხოვს“.

— ციცა, ცხენი შეკაზემე, — ბრძანა თავადმა.

— ახლავე ბატონო, — შეერთა მსახური და ღმერთთან ვაჭრობამდე დაქინებულ თხოვნა-მუდარას თავი დააღწია.

— სამსონ, გადაეცი თქვენს ხალხს, გუბერნატორის რისხვა თავს არ დაიტეხონ.

— საუზმე მოითავა, ფეხზე ადგა და თვალი ყვითელი ქვისკენ გააპარა.

— „წყუელი, ნიკორას არ ივიწყებს. გუბერნატორიც იმიტომ გაიხსენა. გამაფრთხილა, თუ ხარი ძღვნად არ მოგიცია. დაგასმენო“. — გადავცემ ბატონო!

ბეშქენმა, ხარს რქებზე თოქი მოაბა და წასაყვანად გაამზადა.

— ხარს ვერ გამოგარტმევი. ვიცი, გულითაა მოძღვნილი, მაგრამ სინდისი ამის უფლებას არ მაძლევს.

— ბატონო თენგიზ, ნუ მეტყვი უარს, — თავი მოიქაჩლა მოხუცმა.

— ხარს ვერ წავიყვან. გული რომ არ დაგწყდეს, ამ ორი ქვიდან უფრო პატარას ავიღებ. ისე ჩათვალე, ვითომ გამორჩეული ძღვენი მიმეღოს, — თქვა და ყვითელი ქვა, თვალის დახამხამებაში გაახვია აბრეშუმის ნაქარვ ბაღდადში.

— რიყის ქვა რა საკადრისია? — გაოცდა სამსონი.

— სიცოცხლეს დღეს არ ვამთავრებთ, სხვა დროს გულს არ დაგწყვეტ, ბეშქენ. შენ ციცას გამოაყევი, უკან დასაჩუქრებულს გამოგისტუმრებ.

— მმ-ო-ვევ-დ-ი-ვე-აარ!

ეზოში დაბნეული ბედაური ტორს სცემდა, ერთ ადგილზე ცქმუტავდა, ვერ ისვენებდა. თენგიზს უკან არ მოუხედია. არც მასპინძელი ჩათვალა მეტი ყურადღების ღირსად, ცხენს შეახტა, სადავე-ნებაზე მისცა და თვალთავან გაუჩინარდა.

— ღმერთო, ესაა შენი სამართალი? — ამოიგმინა ციცამ და წელმოწყვეტილივით მოაჯდა ბებრეკ ჯაგლაგს. გაქურდულმა ბეშქენმა, მთაზე გალაღებული ბუღასავით კუნტრუშით გვერდზე ჩაუქროლა ციცას და თენგიზს დაედევნა. მას თვალწინ თენგიზის დანაპირები ლამაზი ქალი ედგა.

სამსონი მაჩუბში კუნძთან იდგა, რიყის ლურჯ ქვას დასცქეროდა, ხელით შუბლს ისრესდა. ხანგრძლივი ღუმლის შემდეგ ჩაილაპარაკა — გამქურდა წყუელმა, თენგიზი ქურდია, — ნათქვამს კიდევ დასძინა: — რა სიმდიდრის პატრონი ვყოფილვარ. უსარგებლო სიმდიდრის პატრონი!

საფიქრალი სხვაც ბევრი ჰქონდა სამსონს, მაგრამ ფიქრის დრო სად იყო, ტყეში საქონელი უნდა გაერეკა საბალახოდ.







ბიჭ ყველა მთავარ საიუველირო მაღაზი-  
ებში არსებობენ. 70 წლის მსახიობმა ნამდ-  
ვილად იჩქარა საგვარეულო სამკაულების  
გაყიდვა.

ოტა ხანში, 1981 წლის 30 დეკემბერს  
მოსკოვის ერთ-ერთ სანაპიროზე მდგარ  
მაღლივ სახლს, სადაც ბუგრიმოვა ცხოვ-  
რობდა, დიდი ავტომანქანა მიუახლოვდა  
და სამმა მამაკაცმა სადარბაზოში უხარმა-  
ზარი ნაძვის ხე შეიტანა. სადარბაზოს  
მორიგე კარგად ჩაცმული უცნობებს მოახ-  
სენა, რომ ბუგრიმოვა შინ არაა. „ეს საა-  
ხალწლო საჩუქარია, — უპასუხა ერთ-  
ერთმა მოსულთაგანმა. — ნაძვის ხეს ბი-  
ნის კართან დავდგამთ და წავალთ“. ცნო-  
ბილ მსახიობებს მრავალი თაყვანისმცემე-  
ლი ჰყავთ, ისინი ზოგჯერ ექსტრავაგან-  
ტურად იქცევიან და მოსულთა საქციელ-  
მაც მორიგეს არავითარი ეჭვი არ აღუძრა.  
მაგრამ „სტუმრები“ რალაც დიდხანს არ  
ბრუნდებოდნენ და ამან მორიგე შეაშფო-  
თა. იგი ლიფტით ავიდა მსახიობის ბინას-  
თან. ნაძვის ხე კართან კი იდგა, მაგრამ სა-  
მი მამაკაცი გამქრალიყო. მაღლივ სახლს  
ორი შესასვლელი ჰქონდა, ერთი საპარა-  
ლო და ერთი ჩაკეტილი სათადარიგო,  
რომელიც ღია აღმოჩნდა. მორიგემ სასწ-  
რაფოდ გამოიძახა სისხლის სამართლის სა-  
მძებროს ოპერატიულ მუშაკთა ჯგუფი.  
გამოიძახეს ბუგრიმოვაც, მის ბინაში ყვე-  
ლა ნივთი ადგილზე აღმოჩნდა, მაგრამ ბრი-  
ლიანტების ცნობილი კოლექცია გაქრა.  
ბინაში დაყენებულმა სიგნალიზაციამ ამ-  
ჯერად არ იმოქმედა. ცხადი ვახდა, რომ  
აქ უმაღლესი კლასის პროფესიონალები  
მუშაობდნენ, მაგრამ ეჭვი მიიტანეს იმ  
განყოფილების მუშაკებზეც, რომლებიც  
სიგნალიზაციას აკონტროლებდნენ.

სსრკ-ში ძნელი იყო ბუგრიმოვას ბრი-  
ლიანტების გასაღება. ამიტომ სამძებრო  
ჯგუფში უშიშროების სახელმწიფო კომი-  
ტეტის და საბაჟოს მუშაკები ჩართეს.  
ყველა საერთაშორისო აეროპორტში და  
მოსახლვრე სადგურებზე განსაკუთრებული  
კონტროლი დაწესდა. წარმატება უეცარი  
სისწრაფით მოვიდა. 1982 წლის იანვრის  
პირველივე რიცხვებში, შერემეტიევოს აე-  
როპორტში დააკავეს მოქალაქე, რომელ-  
საც პალატოში ჩაკერებული ჰქონდა პატა-  
რა ტომარა, სადაც გადაძალადი იყო ბრი-  
ლიანტები ბუგრიმოვას კოლექციიდან. კი-  
დევ რამდენიმე დღეში დაპატიმრეს პრო-  
ფესიონალ ქურდთა ბანდის დანარჩენი  
წევრებიც, რომელთაც, თურმე ერთი წლის  
განმავლობაში საბჭოთა კავშირში მრავა-  
ლი ბინა გაუძარცვავთ.

საქმის გამოძიება სწრაფად წარმოებდა  
და რალაც ეჭვი ბორის ბურიაცეს წინააღმ-  
დეგაც აღიძრა. არც უშიშროების ორგანო-  
ებმა და არც იური ჩურბანოვმა არ იკის-  
რეს მისი დაცვა. ბურიაცეს ბინაში ჩხრე-  
კა ჩატარდა, რის შედეგად ეჭვები მის წი-  
ნააღმდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ის და-  
კითხვას გამოიძახეს. ბორის ბურიაცე  
დიდად არ აღელვებულა, რადგან გალინა  
ბრეჟნევის ადრევე ბევრჯერ უხსნია იგი  
კრიტიკული სიტუაციებიდან. რაც არ უნდა  
იყოს, გალინას მამა ხომ ხელისუფლების  
სათავეში იყო. მართალია, სწორედ ამ  
დროს ბრეჟნევი ავადმყოფობდა და პო-  
ლიტიკურში, კომპარტიის ცკ-ს სამდივ-  
ნოში წამყვანი ფიგურა დროებით მ. სუს-  
ლოვი გამხდარიყო. საკუთარ თავში დარწ-  
მუნებული ბურიაცე გამოეწყო წაულას  
ქურქში, ჩაიცვა წაულას ჩექმები, თან წა-  
იყვანა ძაღლის პატარა ლეკვი და საკუთარი  
„მერსედესით“ ლეფორტოვოს ციხის სახე-

ლმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამომ-  
ძიებლო განყოფილებას მიადგა. დაკითხვის  
დამთავრებისთანავე ბურიაცეს გამოუცხა-  
დეს, რომ ის დაპატიმრებულია და ციხის  
საკანში მოთავსებამდე, მას ეძლევა უფ-  
ლება, ეს სამწუხარო ფაქტი თავის ნათესა-  
ვებს აუწყოს; ბორისმა გალინა ბრეჟნევის  
დაურეკა, მაგრამ აღუფრთხვებულმა და აღე-  
ლვებულმა გალინამ ვერაფერი უპასუხა.

როგორც მოსალოდნელი იყო ბორის  
ბურიაცე თავის გასასამართლებლად გა-  
ლინასა და მის მეგობრებს იმოწმებდა, რო-  
მელთა დაკითხვას პოლიტიკურის სანქ-  
ციის გარეშე ვერცერთი გამოძიებელი  
ვერ ბედავდა. გამოძიების მსვლელობას  
აკონტროლებდა სახელმწიფო უშიშროე-  
ბის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი  
მოადგილე არმიის გენერალი სიმონ ცვი-  
გუნი, რომელიც ბრეჟნევის ქვისლი იყო.  
ამიტომ სუკ-ის თავმჯდომარემ ი. ანდრო-  
პოვმა დაავალა ცვიგუნს, რომ შექმნილი  
მდგომარეობა სუსლოვთან განეხილა. აქა-  
მდე არაა ცნობილი ამ აშკარად არამეგობ-  
რული საუბრის წვრილმანები. სიმონ ცვი-  
გუნმა, რომელიც არცთუ გაწონასწორე-  
ბული კაცი იყო და ადრეც ჰქონია მიდრე-  
კილება დებრესიული მდგომარეობისადმი,  
თავის ავარაკზე დაბრუნებისთანავე ცეცხლ-  
სასროლი იარაღით თავი მოიკლა.

21 იანვარს ყველა ცენტრალურ ვახეთში  
დაიბეჭდა არჩევნულბრები ნეკროლოგი.  
მას ხელს არ აწერდნენ არც ბრეჟნევი, არც  
სუსლოვი, არც კირილენკო, მაშინდელ მთა-  
ვრობაში პოლიტიკურსა და კომპარტი-  
ის ცკ-ს სამდივნოს სამი ყველაზე ძლევა-  
მოსილი წევრი. ნეკროლოგს ხელს აწერდ-  
ნენ ანდროპოვი, გორბაჩოვი, უსტინოვი  
და ჩერნენკო, აგრეთვე სუკის კოლეგის  
ყველა წევრი. სსრკ-ს მოქალაქეებმა პირ-  
ველად გაიგეს ამ დაწესებულების მთავარ  
თანამშრომელთა გვარები. ასეთი ნეკრო-  
ლოგი უეჭველ დემონსტრაციას წარმოად-  
გენდა. ისევე როგორც ს. ცვიგუნის საზე-  
იმო დაკრძალვა, რომელსაც ი. ანდროპოვი  
ხელმძღვანელობდა. იანვრის ამბებმა მძი-  
მედ იმოქმედა 80 წლის სუსლოვის ჯანმრ-  
თელობაზეც. მას ინსულტი დაემართა და  
თავისი ამასწინანდელი თანამოსაუბრის  
ცვიგუნის დაკრძალვიდან რამდენიმე დღის  
შემდეგ გარდაიცვალა. სუსლოვის დასაფ-  
ლავების დღეს დაპატიმრეს ა. კოლევა-  
ტოვი და გალინა ბრეჟნევის რამდენიმე მე-  
გობარი. გრძელდებოდა გალინას მეგო-  
ბრების დაპატიმრებები. ციხეში აღ-  
მოჩნდა „ელისევის“ გასტრონომის დირე-  
ქტორი ი. სოკოლოვი. გაიგო რა ეს,  
მოსკოვის №2 გასტრონომის დირექ-  
ტორმა ს. ნონიევმა, თავი მოიკლა. სო-  
კოლოვის ბინაში მილიონ მანეთზე მეტი  
ფასეულობის ძვირფასი ნივთები ამოიღეს,  
მრავალი ძვირფასეულობა იპოვნეს მის  
ავარაკზეც. ბრეჟნევის ვაჟის რამდენიმე  
მეგობარი საგარეო ვაჭრობის სამინისტრო-  
დან აგრეთვე დაპატიმრებულნი იყვნენ.  
მთელმა ამ ამბებმა ჩირქი მოსცხეს ბრეჟ-  
ნევის კლანს და, როგორც ცნობილია, იური  
ანდროპოვს ხელისუფლებისაკენ სავალი  
გზა გაუადვილეს. ლ. ბრეჟნევის დაკრძალ-  
ვაზე გალინას ორი ტანადი და ბრვე მცვე-  
ლი ნაბიჯითაც არ მოშორებია.

ი. ანდროპოვმა 15 თვე დაჰყო ხელისუ-  
ფლების სათავეში და მთელი ამ ხნის გა-  
ნმავლობაში გალინა ბრეჟნევა დებრესიულ  
მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქმარიც კი,  
იური ჩურბანოვი, ცდილობდა, შორს ყო-  
ფილიყო მისგან. ი. სოკოლოვს დახვრე-  
ტის განაჩენი გამოუტანეს. სასამართლოს  
სხდომაზე იგი გამოეწვევად იქცეოდა და

განაცხადა, რომ ის „განტყვევის ვაი“  
და პარტიული უფლის მსხვერპლი ვახ-  
და. ა. კოლევატოვს 15 წლით მსჯობდა  
ქიშის კოლონიაში ყოფნა მიუსჯეს, ბორის  
ბურიაცემ 5 წელი „მიიღო“. სსრკ-ში მთავარ  
საქმეთა მინისტრი ნ. შჩოლოკოვი თანამ-  
დებობიდან მოხსნეს და პარტიიდან გარიც-  
ხეს. მისმა მეუღლემ, უარესი ამბების მო-  
ლოდინში, ავარაკზე ყოფნისათვის თავი მო-  
იკლა. მაგრამ ანდროპოვმა ვერ მოასწრო  
„წესრიგის დამყარების“ თავისი პროგრამის  
სერიოზულად გაშლა, თუმცა მან ბრე-  
ჟნევის ირგვლივ შექმნილი მაფიოზური  
წრეებისთვის მძლავრი დატრყმის მიყენება  
მაინც შეძლო.

ანდროპოვის სიკვდილის შემდეგ ჩერ-  
ნენკომ სცადა, თავისი ადრინდელი მეგობ-  
რებისთვის დახმარების გაწევა. შჩოლოკო-  
ვის წინააღმდეგ გამოძიება შეწყვეტილ იქ-  
ნა და ის თავდაცვის სამინისტროს ინსპექ-  
ტორის პოსტზე დაინიშნა. ამ დროს გალი-  
ნა ბრეჟნევა კვლავ გამოჩნდა საზოგადო-  
ებაში და 1984 წლის 8 მარტს ის დიდ სა-  
ხელმწიფო წვეულებაზეც კი დაპატივეს.  
კრემლში გალინა ლენინის ორდენით მკერ-  
დამშვენებული მოვიდა. ეს ორდენი მას  
1978 წელს გაუგებარი დამსახურებისთ-  
ვის დაბადებიდან 50 წლის შესრულებას-  
თან დაკავშირებით მიართვეს. გრომიკოს  
პირადი თხოვნით გალინას მაღალი პერსო-  
ნალური პენსია დაენიშნა.

ავადმყოფი ჩერნენკოს ძალაუფლება  
სულ უფრო სუსტდებოდა. სუკ-ის ორგა-  
ნოები კი ახალ-ახალ საქმეებს ხსნიდნენ,  
რომლებშიც ნ. შჩოლოკოვი და ლ. ბრეჟ-  
ნევი დაახლოებული სხვა პირნიც იყვნენ  
გარეული. როდესაც შინაგან საქმეთა ყო-  
ფილმა მინისტრმა გაიგო, რომ მასზე სისხ-  
ლის სამართლის საქმე იყო აღძრული და  
ფრონტზე მიღებული იყო გარდა, ყველა ჯილ-  
დო ჩამოართვეს, მან გენერლის საპარადო  
ფორმა ჩაიცვა, თავისი საუკეთესო თოფი  
გატენა და თავი მოიკლა.

რამდენიმე თვეში ჩერნენკო გარდაიცვა-  
ლა და ქვეყნის ხელისუფლების სათავეში  
მ. ს. გორბაჩოვის მეთაურობით ახალმა  
ხალხმა დაიწყო მოსვლა. ახლა გალინა  
ბრეჟნევის თავისი საქმეების გამოსწორე-  
ბის უკანასკნელი იმედი გადაეწურა. გალი-  
ნას მამა იური, ქრონიკული ალკოჰოლიზმით  
იყო დაავადებული. მიუხედავად ამისა, ის  
პარტიის ცკ-ის კანდიდატი და საგარეო ვა-  
ჭრობის მინისტრის მოადგილე იყო, იგი  
ვინაა ადრე გაუშვეს პენსიაზე. მალე და-  
აქვეითეს, ხოლო შემდეგ დაპატიმრეს გა-  
ლინას ქმარი იური ჩურბანოვი. მათ ბინა-  
ში და ავარაკზე ჩატარებულმა ჩხრეკამ დი-  
დი ვერაფერი შედეგი გამოიღო. ვერაფრით  
ბრილიანტები ვერ იპოვნეს. ნათელია,  
რომ ჩურბანოვი ელოდა დაპატიმრებას და  
ემზადებოდა მისთვის. ჩხრეკა მიმდინარე-  
ობდა მთვრალი გალინას თანდასწრებით.  
მან ყველა ოქმს მორჩილად მოაწერა ხე-  
ლი და ჩხრეკის ყველა მონაწილეს შესთა-  
ვაზა, რომ ეს მნიშვნელოვანი მოვლენა  
სასმელით აღენიშნათ.

გალინა ბრეჟნევის, რასაკვირველია, და-  
უტოვებს ქურქები და კაბები... ზოგიერთ  
მათგანს იგი ჰყიდის ხოლმე. ხშირად შეიძ-  
ლება გალინას ნახვა არაყის ბოთლებით გა-  
ტენილი ჩანთით ხელში, მაგრამ ეს ძალიან  
მწარე არაყია მისთვის. გალინა ბრეჟნევის-  
თვის „ტყბილი ცხოვრება“ სამუდამოდ  
დამთავრდა.

1987 წლის ნოემბერი.  
თარგმანი ალექსანდრე ზუაჩინძე





# უეზლოვა

სტეპიკი მშობლიურ კუთხეში ბრუნდებოდა, არც თუ ისე შორეულიდან. მატარებლის გასვლამდე საკმაო დრო იყო. თითქმის დაცარიელებულ ბაქანზე თავისთვის ბოლოს სცემდა. ლობიდან აგლეჯდა დეპუტატობის კანდიდატა წინასაარჩევნო პროგრამებს, ქუჩის მტვერს ატანდა ორატორთა მგზნებარე სიტყვებს.

...და უცებ ლობეზე გაკრულ ქალაქლებში თავისი გამოსახულება შენიშნა. ეს იყო პლაკატის ნარჩენი „მათ ეძებს მილიციას“. არაფერი იყო დარჩენილი, გარდა პალსტუხინის პიროვნების გამოსახულებისა, რომლის ქვეშ წარწერაც იკითხებოდა — „სტეპან ბორისის ძე ოკლახობინი“.

სტეპიკმა ახლებურად შეათვალიერა ლობე და სახტად დარჩა, იგი ვააოცა ფოტოსურათიანი ქალაქების სიმრავლემ. „ნუთუ ყველანი გაქცეულები არიან? დახე, ფრთები გაშალეს უჩემოდ!“ — გაიფიქრა. მასთან მივიდა ერთი ბერეტიანი, მოსული მამაკაცი და ქალაქის ნაგლეჯს ჩააშტერდა:

— ეს შენ ხომ არა ხარ?  
— მე ვარ, — უხალისოდ აღიარა სტეპიკმა.

— კანდიდატი? იქნებ უკვე დეპუტატი?  
„ბნელში დააბოტებს ვილაცა, დეპუტატს მეძახის“, — ჩაეცინა გუნებაში.

— აჰა, — ამოიხმულია ბოლოს გაურკვევლად.

— რომელ პლატფორმაზე დგახარ?  
— ყაზანისაზე, მეორე პლატფორმაა, — არ ჩათვალა სტეპიკმა სიმართლის დამალვა საჭიროდ. — მე ყოველთვის ამ პლატფორმაზე ვარ.

— ყაზანიდან? თათარია თუ... თათრები აქამდე არიან? სადაც თათარმა გაიარა, იქ ებრაელს საქმე არა აქვს.

სტეპიკს ვარს შემოერტყნენ.  
— აბა, ჩამოყაჭე შენი პლატფორმა!

— ეკოლოგიის პრობლემებს როგორ გადაწყვეტ? ქარხნებს დახურავ?  
— დაე, მოსკოვის შესახებაც გვითხრას: ლიმიტიანებს გაასახლებ? კოსმოსს აკრძალავ?

— პენსიას თუ მოგვცემ? ხორცს დაგვიპირდები? ატომურებს დაკეტავ? ფასებს დაუტკობ?  
— არყის გამოხდლებზეც უნდა იზრუნო, რომ არ ჩასვან, — შორიდან იყვირა გაქუცულქუდიანმა.

ბრბო თანდათან მატულობდა.  
— რა ხდება, რაშია საქმე? — კითხულობდნენ უკანანი და წინ მიიწეოდნენ.

— შეხვედრათ კანდიდატთან, — უპასუხებდნენ ადრე მოსულები. — პროფესორია ყაზანიდან, მეორე პლატფორმიდან უბერავს.

ღობეს აკრულმა სტეპიკმა უმწეოდ შეათვალიერა პლაკატები. სადგურის ბაცაცასა და შულერის პროფესიულმა ალლომ უცებ დაიჭირა საჭირო სიტყვები და ყველაფერს მიხვდა.

— ძმებო! — მკაფიოდ და საზეიმოდ წარმოთქვა ბელადივით ხელშემართულმა. — ნუ გეშინიათ! მე ყველაფერს მოგცემთ: ხორცსაც, საპონსაც, ავტომობილებსაც, იმპორტულ ავეჯსაც, გალანტერეას, მიწას და, ვინც მოისურვებს, ღირიყაბლებსაც. ცაში საფრენად.

— ხომ ხედავთ, ამხანაგებო, სადამდე მიიყვანეს ქვეყანა — არყის გამოსახდელიც აღარაფერი დარჩა. შაქარი არაა, კარტოფილი არაა, ტომატ-პასტა გაქრა. შა-



მპუნისაგან ვაღულებდით, სასიამოვნო სუნი და არომატი ჰქონდა (გინდ დაგელია, გინდ დაგებანა), საღლა. როგორც იყო გავუგეთ გემო კინესკობებს — მაშინვე გაქრა ტელევიზორები. მათ ქარხნებსაც დაეხურავ, ბოლი რომ მოისპოს. აი, ხელფასს კი შევიწარჩუნებ. ხალხს ანკესებს ჩამოვურიგებ. წადი გასუფთავებულ მდინარეზე, დაიჭირე დაბრუნებული თევზი. კოსმოსურ კომბინატებს სარეცხი საშუალებების წარმოებად გადავაქცევ: ჯერ გავირეცხოთ, ვიბანაოთ და კოსმოსზე მერე ვითიქროთ.

ეს ჩვენი ეკონომისტებიც მოუმწიფებლები არიან. რეზერვებს იქ ეძებენ, სადაც არ არის. ეკონომიკასაც არასასურველი მიმართულებით ავითარებენ.

მე არყის ზღვებს დავაყენებ იაფ ფასებში. ის ხომ ეკონომიკის მუდმივი ძრავაა! რაც მეტია არაყი, მით მეტია ფული ხაზინაში და ჯიბეში. ფულს კი, მოგებსენებათ, რა ძალაც აქვს და წავა კარგი ცხოვრება.

— გაიმეოროს, გაიმეოროს! — ყვიროდნენ ბოლოში. — ეს ხომ ჩვენი აზრებიცაა!  
— არ მოიტყუო! — ითხოვდნენ ურწმუნონი.

— როდის მომიტყუებინართ! — იფიცებოდა სტეპიკი. მე ენერგიისათვის ბირთვის გახლეჩასაც კი ავკრძალავ! ჩვენს ხალხს იგი მთელი სჭირდება.

— ცოლთან ერთად მოგზაურობაც შეზღუდვ. ოჯახი მენგრევა. — მეხტა გადაბ-

რუნებულ ყუთზე ორმეტრიანი გოლიათი. — ასეთი მავალითის გამო ჩემი აკულინა ყველგან თან დამდექს, ღომინოს სათამაშოდ ვერ წავსულვარ კაცი...

— ჩანიშნულია, — საქმიანად დაეთანხმა სტეპიკი. — მეხუთე პუნქტად შევიტან ჩემს პროგრამაში, ბირთვის შემდეგ.

— ეს სტეპიკია თუ მელანდება? — დაივიწყებდა მასთან მიხალხობულმა მილიციელმა, მათი სოფლის რწმუნებულმა, რომელიც მობილიზაციით ჩამოიყვანეს წინასაარჩევნო ღონისძიებაზე. — უკვე გამოხვედი, თუ რა?

— ჩვენ ყველანი ხალხიდან ვართ გამოსული, — არ დაიბნა სტეპიკი.

— არა, ეს შეცდომაა, — დაუყვირა რწმუნებულმა შეკრებილთ. — ეს კანდიდატი კი არა, სტეპიკია... შულერი... გესმით? — ახლავე დიშალეთ!!!

— მილიცია ჩვენებს ავიწროებს! ხელი არ ახლოს! — დაიგრილა ბრბომ. — ეს შენი კანდიდატი კი არაა, ჩვენია, ჩვენი!

— რწმუნებულს მივარდნენ და ყუთიდან ჩამოათრეეს. მან სიმწრით გადააფურთხა და გვერდზე გადგა. მხოლოდ ესლა მოასწრო ეკითხა:

— სტეპიკ, როდის მოხვალ ჩვენთან აღრიცხვაზე?

მაგრამ ხალხით გარშემორტყმულმა სტეპიკმა რწმუნებულის შეკითხვა ვერც კი გაიგონა.

თარგმან ნუნუ აკუაიივილიმა





აკვიანებული მგზავრი ლიანდაგებს მიუყვებოდა. ლიანდაგები შუქზე ვერცხლივით ელვარებდნენ.

— თუმცა ელვარებენ, მაგრამ ცივი კაო, ფიქრობდა მგზავრი, ძალიან ცივიო.

მარცხნივ, ცოტა მოშორებით, ეულად გამოკრთოდა ცეცხლი. ძალიან ხმის ჩახრინწვამდე ყუფდა. ცეცხლი და ძალიან გამოკვეთავდნენ ღამეს ღამედ. მერე მგზავრი ისევ მართო დარჩა. მხოლოდ ქარი ჩაუქროლებდა ხოლმე ყურებთან თავის ხანგრძლივი, ნაღვლიანი ოხვრით. ლიანდაგები კი ღრუბლების გვირგვინიანი შთვარის ლაქებში იყო აჭრულეული.

აგერ ფარნიანი კაცი მოდის, ორ სახეს შორის აღმართული ფარანი ირწყვა.

ფარნიანი კაცი ეკითხება:

— კაცმა რომ თქვას, საით გაგიწევია, ქაბუკო?

მგზავრი მხრით ჰორიზონტზე ნათელ ლაქას უჩვენებს.

— ჰამბურგში?

— ჰამბურგში!

ფეხებქვეშ კენჭები აჩხრიალდნენ. კენჭები ერთმანეთს ეჩახებოდნენ და წყარუნობდნენ. ფარანზე კი მავთული ლაყლაყებდა წინ და უკან. წინ და უკან. მათ წინ ლიანდაგები გაჭიმულიყო შთვარის შუქზე. ლიანდაგები ვერცხლად მიკამკამებდა სინათლისაკენ. ეს სინათლე, ეს შუქი — ჰამბურგი იყო.

— იქ უკვე კარგად აღარ არის საქმე, — თქვა ფარნიანმა კაცმა, — კარგად არ არის საქმე ქალსქში. სინათლეა, რა თქმა უნდა, საქმეადაა ნათელი. მაგრამ იმ განათებულ ადგილას მშვიერ ადამიანებსაც წააწყდები. შენ ეს დაიხსოვე, გესმის?

# ქაბუკო



— ჰამბურგი. — გაიცინა მგზავრმა. — დანარჩენი უკვე სულ ერთია, მხოლოდ ჰამბურგი. მხოლოდ იქით მიისწრაფი კაცი, თუკი იქ ნამყოფი ხარ. მხოლოდ იქით მიგიწევს გული... და თანაც ეს ისე თქვა, ღმერთმა უწყის, ამ დროს რას ფიქრობდა.

ფარანი წინ და უკან ირწეოდა, წინ და უკან. ქარიც მონოტონურად უბერავდა და ყურების გასწვრივ მიჰქროდა. ლიანდაგები იწვენენ მთვარესავით ელვარე და ცივი.

კაცმა, რომელიც ფარანს რიტმულად აქანავებდა, თქვა:

— სიცოცხლე! ღმერთო ჩემო, რა არის იგი განა? სუნის შეგრძნება, კარის სახელურის შეხება. ღამით ხალხის გვერდით ჩავლა. წვიმის წვეთების დაპყრება თმაზე. ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავს.

მათ ზურგს უკან ვეება ბავშვივით ბლაოდა სამშობლოზე დანაღვლიანებული ორთქმავალი. და ეს ბავილი გამოკვეთავდა ღამეს ღამედ. მერე საბარგო მატარებელმა ჩაუქროლა მათ. საშინლად აგრუ-

## ჯოლას ბაკალავრია

ჯოლამ ვერაფრით ვერ მიიღწია მიზანს, ბაკალავრია მიეღო (საშუალო განათლების ატესტატი). პირველად, როცა გამოსაშვებ გამოცდებზე წარსდგა, ასეთი შეფასებები მიიღო:

ფიზიკასა და ქიმიაში — ფრიადი, ბუნებისმეტყველებაში — ფრიადი, მათემატიკაში — კარგი.

ერთი შეხედვით, თითქოს წარმატება გარდაუვალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩასაბარებელი დარჩა საფრანგეთის ისტორია და ფრანგული ლიტერატურა.

— როდის გარდაიცვალა კარლოს დიდი, ბატონო ჯოლა? — ეკითხება პროფესორი.

— კარლოს დიდი?

— დიან, კარლოს დიდი, იგივე კარლოს I, მსოფლიოში განთქმული საფრანგეთის პირველი შეეშე.

ჯოლა ყოყმანობს და პასუხში დიდ უზუსტობას ამჟღავნებს.

— თქვენ მთელი ხუთასი წლით შეცდით, — აზუსტებს უკმაყოფილო პროფესორი. — კარგი, თავი დავანებოთ ისტორიას და ლიტერატურაზე გადავიდეთ.

ემილ ჯოლას ლაფონტენის ერთ-ერთ იგავს აძლევენ გასარჩევად, მაგრამ პირველივე შეცდომით დაბნეული, სათქმელს ვედარ პოულობს და არადა მაკმაყოფილებელ შეფასებას იღებს.

გამოცდების შემდეგ, პროფესორები მსჯელობენ, კამათობენ, თავიანთ კოლეგას თხოვენ, დამაკმაყოფილებელი ნიშანი დაუსვას ჯოლას, მაგრამ ეს უკანასკნელი ცივ უარზეა:

— შესაძლებელია, ამ ყმაწვილმა კარგად იცის შეცნიერების სხვა დარგები, მაგრამ არ ესმის საფრანგეთის ისტორია, მით უმეტეს, ლიტერატურა. მან ღირსეულად დაიმსახურა ცუდი ნიშანი.

აი, ამგვარად, გამოჩენილი მწერალი, რომელიც მაშინ ლიტერატურაში უვითად ცნეს, ცხოვრებაში ბაკალავრის გარეშე დარჩა.

# ბაჰორენილ ალაფიანთა ტხოვრეუბიდან

## მასწავლებლის რჩევა

ახალგაზრდა გი დე მოპასანი ეწვია გუსტავ ფლობერს და განსახილველად თავისი პირველი პოემები მიუტანა. როდესაც ფლობერმა წაიკითხა, სათითაოდ დახია და ავტორს უთხრა:

— წერა რომ ისწავლო, ჭერ დახევა უნდა ისწავლო, მეგობარო. წინასწარ. მომიტანე რაიმე უკეთესი.

რამდენიმე დღის შემდეგ, მოპასანმა სხვა პოემა მიუტანა.

— ეს წინანდლებზე უკეთესი არ არის, — განაცხადა ფლობერმა. — რატომ არ ცდილობ დაწერო მოთხრობები ან ნოველები ისეთ ადამიანებზე, რომლებსაც კარგად იცნობ?

ამგერად მოპასანმა თვითონ დახია პოემა.

შემდეგ მისვლაზე მან ფლობერს თავისი პირველი ნოველა „ოჯანში“ მიუტანა.

— ესეც უნდა დავხიო, მასწავლებელო? — შეეკითხა შეწუხებული ავტორი.

— არა, ჩემო კარგო. ეს შეიძლება ცოტა მოჭრილი იყოს, მაგრამ ძალზე კარგი და საინტერესოა. ახლა, როცა შენ დახევა ისწავლე, აკინძვაც უნდა ისწავლო და მაშინ შენ გახდები ფრიად ნამდვილი მწერალი.

## ძველი მეგობარი

ცნობილ იუმორისტს — ფეიდოს, მესხიერება დღობობდა და ამიტომაც ადვილად ავიწყდებოდა იმ ადამიანთა სახელები, რომლებსაც კარგად იცნობდა.

ერთხელ ქუჩაში ხედავს, მისევე მოდის ხელჯავფილი მამაკაცი:

— ოოო, გამარჯობათ, ბატონო ფეიდო, როგორ ბრძანდებით? როგორ გამეხარდა თქვენი შეხვედრა.

— რა ბედნიერი სიურპრიზია! — პასუხობს ფეიდო. — აღტაცებული ვარ თქვენი ნახვით, და ორივემ მეგობრული ბაასი გააბა. ამ დროს ფეიდოს ერთი მეგობარი მიუახლოვდა. ეს უკანასკნელი უცქერის ფეიდოს მამაკაცს იმ იმედით, რომ ფეიდო მას გააცნობდა, მაგრამ ფეიდოს ეს აზრალაც არ მოსვლია.

— რატომ არ გამაცანი ის მამაკაცი? — ეკითხება მეგობარი ფეიდოს მოსაუბრე მამაკაცის წახვლის შემდეგ, — ვინ იყო?

— ოჰ, არ ვიცი, ჩემო კეთილო, — პასუხობს ფეიდო, — ძველი მეგობარია, ჩვენ დიდი ხანია მეგობრულ ურთიერთობაში ვართ, მაგრამ სახელი არასოდეს მიკითხავს მისთვის.



ბუნებდა ვარსკვლავებით მოჭედოლ ცას. ორივე ვაჟაცურად მიაბიჭებდა, არც ერთს არ შეუწყვეტია სუნთქვა საფრთხის წინაშე. წითლად მბრუნავი ბორბლები კი ნქღრევით მირაზრახებდნენ მოყან-გისფერო-მოწითალო ვაგონების ქვეშ. რაკუნით, ჯახუნით, ქირიჭინით მიიწრაფოდნენ სადღაც, სადღაც, სადღაც.

მგზავრმა თქვა:  
— არა, სიცოცხლე უფრო მტეთია, ვიდრე წვიმაში ხეტიალი და კარის სახელურზე ზედის მოვლება. იგი უფრო მტეთია, ვიდრე ხალხის გვერდით ჩავლა, ანდა სუნის შეგრძნება. სიცოცხლე შიშით არის და სიხარულიც. შიში მატარებლის ქვეშ რომ ვარდები, და სიხარული, მის ქვეშ რომ არ ჩავარდი. სიხარული, გზას გაგრძელება რომ შეგიძლია. ლიანდაგების გვერდით ქონხახი იდგა. კაცმა ფარხში ცეცხლი ჩაანავლა და მგზავრს ხელი გაუწოდა:  
— ასე, მამასადამე, ჰამბურგში!  
— ჰამბურგში! — მიუგო მან და გზა განაგრძო. ლიანდაგები მთვარის შუქზე ელვარებდნენ. ხოლო ჰორიზონტზე იდგა ნათელი ლაქა: ქალაქი.

**მომხრობები ჰრახსტომათიისათვის**

- ორი კაცი საუბრობდა.
- აბა საქმე როგორ არის?
- არასახარბიელად.
- კიდე რამდენი დაგრჩათ?
- ბევრი, ბევრი ოთხი ათასი.
- რამდენი შეგიძლიათ დაითმოდ?
- არა უმეტეს რვაასისა.
- ხელად გაიხარება.
- კარგი, ათასი იყოს.
- გმადლობთ.
- ორი კაცი ერთმანეთს დასცილდა.

ისინი ადამიანებზე ლაპარაკობდნენ. ის ორი კაცი გენერალი იყო. ომი მძვინვარებდა.

●  
თეთრხალათიანი კაცი ქალღღრღეცე ციფრებს წერდა. ციფრების გვერდით პატარა კოხტა ასოები გამოჰყავდა  
შემდეგ გაიხადა თეთრი ხალათი და მთელი საათი ფანჯრის რაფაზე ყვავილებს დასტრიალებდა. როცა შეამჩნია, რომ ერთი ყვავილი დამქნარიყო. გუნება წაუხდა და თვალზე ცრემლი მოადგა.  
ქალღღრღეცე კი ციფრები ეწერა. ციფრები უჩვენებდნენ, რომ ნახევარი გრამი საქმარისია ორ საათში ათასი ადამიანის მოსასპობად.  
შუე დაჰკაშკაშებდა ყვავილებს.  
და ქალღღრღეცე.

●  
— უკვე ყველას აქვს საკერავი მანქანა, რადიო-ტელევიზორი, მაცივარი და ტელეფონი. ახლა რა საქმიანობას მოკიდოთ ხელი? — იკითხა ქარხნის მფლობელმა.  
— ყუმბარები დავამზადოთ, — თქვა გამომგონებელმა.  
— ომი დავიწყოთ, — ბრძანა გენერალმა.  
— მეთ რა გზაა, — დაეთანხმა ქარხნის მფლობელი, — თუ სხვა გამოსავალი არ არის.

●  
ორი კაცი საუბრობდა.  
— ეს რა ელირება?  
— კაფელით?  
— რა თქმა უნდა, მწვანე კაფელით.  
— ორმოცი ათასი.  
— თანახმა ვარ. ასეა, ჩემო კარგო, მე რომ შოკოლადიდან თოფის წამალზე დროულად არ გადავსულიყავი, ცხადია, ამდენ თანხას ვერ გადავიხდებდი.

— მე კი საშხავე ოთახს ვერ მოგიწყობდით? — მწვანე კაფელით?  
— მწვანე კაფელით!  
ორი კაცი ერთმანეთს დასცილდა. ერთი იყო ქარხნის მენეჯერი, მეორე მენარდე მშენებელი.  
ომი მძვინვარებდა.

●  
კეგელბანი. ორნი საუბრობდნენ.  
— რაშია საქმე, მასწავლებლო, შავ ტანსაცმელში რატომ ხარ? გლოვობთ?  
— სულაც არა, სულაც არა. ზეიმში მივიღე მონაწილეობა. ბიჭებს ფრონტზე აგზავნიან. მოკლე სიტყვით გამოვდი. სპარტა მოვაგონე. კლაუსვიციის ციტატა მოვიყვანე. ვილაპარაკე შეგებაზე. პატრიოსნებასა და სამშობლოზე. ლანგემარკი გავახსენე. ბიჭებმა ჰელდერლინის ლექსები წაიკითხეს. ამაღელვებელი ზეიმი იყო. ფრიად ამაღელვებელი. ბიჭებმა იმდერეს „ღმერთო, ეს რა შექმნა ლითონმაო“. თვლები უბრწყინავდათ. ძალზე ამაღელვებელი იყო. იგულის ამარყუებელი.  
— გაჩუმდით, თუ ღმერთი გწამთ, მასწავლებლო. ეს ხომ სისასაფლაა.  
გაოგნებული მასწავლებელი გარშემო მყოფთ მიაჩერდა.  
მოყოლის დროს იგი იჭდა და ქალღღრღეცე პატარა ჯვრებით აჭრებდა. სულ ერთიანად ჯვრებით. წამოდგა და გადაიხარხარა. მრგვალი ბურთულა აიღო და ფიცარნაგზე ტყორცნა. გაისმა ურუ გრუხუნი. ბურთულები სადღაც ბოლოში გადაცვივდნენ. ისინი პატარა კაცუნებს გავდნენ.

გარემანულიდან თარგმან  
შოთა ამირანაშვილმა

**არაბესქები**

გამოცდილებათა სამუაროში დაბადებული განზოგადება თვისობრივად ახალ სინამდვილეს ბადებს. მისი პრაქტიკაში დაბრუნების პირდაპირი და მარტივი გზა (მარტივი შექცევადი პროცესი) ახალ გამოცდილებათა საფეხურების გარეშე — შეცდომებისათვის არის განწირული.

არა მარტო კერძო ადამიანის, არა მარტო თანამოაზრეთა, არამედ ახირებული ბიბლიური გმირის მსგავსად, ერთი აჩემებული წესით მავალი საზოგადოება საკუთარ შეცდომათა ფეტიშის ტყვე ხდება. მან შეიძლება გონს მოიყვანოს ბუნებით თავისუფალი ადამიანები და არა მთელი საზოგადოება, ვიდრე კი კატასტროფამდე არ მივა.

„ოქროს ხანის“ ნიშნად ითვლება ის, როცა ფილოსოფოსები მრავლდებოდნენ სასახლის კარზე. იქნებ სხვაგვარად არის საქმე, თუ მხედველობაში მიიღებთ იმას, რომ განებივრებულ გერმანელ ფილოსოფოსებს ოთხი ფილოსოფოსი მეჩემე უსწრებდა წინ — პირველებზე არა თუ ნაკლები, არამედ, იქნებ უფრო თავისუფალი სულის ადამიანები. იქნებ ისიც დაეძინათ, რომ შოთა უფრო დავალებული იყო ხალხური „მინდიათი“. „ამირანით“, ვიდრე სამეფო წყალობებით?

ამბობენ, რომ შემოქმედი ღირსეულია მამინ, როცა თვით არის შთაგონებული, არამედ მამინ, როცა იგი სხვისი შთაგონების უნარს შეიძენს. განა საკითხავი არ არის, რა ღირსებისა ეს „სხვა“?

რამდენად მართალი არიან ისტორიკოსები, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ შეთქმულებებისა და აჯანყებების მოთავენი არიან არა მქონებლები, არამედ არამქონენი და უუფლებონი, როცა პირველთა „სახელმწიფო პატრიოტიზმი“ ძლიერ ჰგავს უფლებამოსილ მქონებელთა შეთქმულების შეუვალ ციტადელს?

თეიმურაზ ფირალიშვილი

**პოლიტიკური  
ანექდოტი**

**კონსერვატორები**

ჩვენ მოგვწონს, როგორც მაშინ იყო, როცა არაფერი არ იყო, რადგან რაღაც მაინც იყო. ჩვენ ფორმაში ვიყავით. სხვა ქვეყნებში შევდიოდით და ჩვენი ეშინოდით. ახლა? ჩვენ არ გვინდა კარგი ცხოვრება! და ვერც ვერავინ გვაძლევს, კარგად ვიცხოვროთ. ნუ გვჩრით კერძო საკუთრებას. არ გვინდა. ჩვენ გვინდა ვცხოვრობდეთ ქონების გარეშე და ვიმუშაოთ უხელფასოდ. დაე შეილებს ნურაფერს დავუტოვებთ რეცეპტების გარდა. ხოლო, ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ ვიცავთ ჩვენ მიერვე არჩეულ დამღებულ გზას და დავგლეჯთ თითოეულს, ვინც შეეცდება, ამოგვიყვანოს ჩვენთვის დაგებული ხაფანგიდან.


**ოდასალები**

ცოლი სამზარეულოში ფუსფუსებს, ქმარი ეზოში შეშას აპობს. უეცრად იქაურობა ქვემეხის გასროლის ხმამ გააყრუა.  
— ცოლმა ფანჯარაში გამოიხედა:  
— აბრამ, რატომ გაისროლეს ქვემეხიდან? რაო, ხორცი მოიტანეს?  
— რა ხორცი, რის ხორცი. უბრალოდ მოსკოვიდან უფროსობა ჩამოვიდა.  
რამდენიმე წუთის შემდეგ გასროლა გამეორდა.  
— აბრამ, არც ახლა მოუტანიათ ხორცი?  
— მომეშვი ქალო, ხომ გითხარი, მოსკოვიდან ჩამოვიდნენ-მეთქი.  
— კი მაგრამ, პირველი გასროლით ვერ მოახვედრეს?





მარიონეტული  
გიგანტი



**თარაზულად:** 5. მრავალკუთხა ფუძის მქონე მრავალწახნაგა სხეული. 6. სასროლეთი. 8. დრამატულ. მუსიკალურ და სხვ. ნაწარმოებთა ერთობლიობა. 9. ამერიკელი კინომსახიობი. 11. სახალხო პოეტი — მომღერალი შუა აზიის ქვეყნებში. 13. იტალიელი კომპოზიტორი. 15. ამერიკის ქალაქი. 16. საქართველოს მდინარე. 17. ბროწეულის წვენი. 21. ატომის ბირთვში შემავალი ნაწილაკი. 23. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის მარმონიული შეერთება. 24. მხატვრის ან მოქანდაკის სახელსწრ. 25. მოქმედების, მოღვაწეობის არე, სარბიელი. 28. ქართველი ფეხბურთელი. 30. მეტრული მუსიკალური ერთეული. 31. დროებითი სასაზღვრო ხაზი სადავო ტერიტორიაზე. 32. სამხედრო გემების დიდი შენაერთის სახელი. 33. ბურჟუაზიულ ქვეყნებში სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება.

**შპეულად:** 1. კამათი, პაექრობა. 2. მხატვრული ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი. 3. აფრიკის სახელმწიფო. 3. ქართველი დრამატურგი. 6. მიკროსკოპული ერთეულებიანი ცხოველი. 7. ხანმოკლე შეჩერება მეტყველების დროს. 10. ნახატი, სურათი, რომელზედაც გამოსახულია უსულო საგნები. 12. კლავიშთა ერთობლიობა. 13. დიდი მუსიკალური ნაწარმოები ორკესტრისათვის. 14. ამერიკის შტატი. 18. ინგლისელი პოეტი. 19. ყოფილი ქართული კლუბი თბილისში. 20. მადლობზე, გორაკზე გაშენებული ძველი საბერძნეთის ქალაქების ცენტრალური გამაგრებული ადგილი. 22. ბიბლიური სიუჟეტის მქონე დრამა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში. 26. სამხედრო პარადებისა და სამწყობრო ვარჯიშისათვის განკუთვნილი მოედანი. 27. საბერძნეთის ბერძნული სახელწოდება. 29. ადამიანთა მოღვაწის წინაპარი. 30. დაბალი მაგიდა.

შეადგინა ვ. ჟურლოვანიძემ

მხატვრობა ბავშვობიდანვე იტაცებდა. მერე თანდათან ირწმუნა, რომ ეს უბრალო გატაცება როდი იყო.

შემდეგ მხატვრის სკოლა, ნიკოლაძის სასწავლებელი, სამხატვრო აკადემია...

სტუდენტობის წლებშივე წარმოჩინდა ახალგაზრდა, ნიჭიერი გრაფიკოსის ხელწერა. მისი პოლიტიკური კარიკატურები და იუმორისტული ჩანახატები არაერთხელ გამოქვეყნდა ჩვენი პერიოდული პრესის „კომუნისტისა“ და „თბილისის“. „პარტიული სიტყვისა“ თუ „ვეჩერნი თბილისის“ ფურცლებზე. საუკეთესო ნამუშევრები კი რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე იქნა წარდგენილი.

ზაზა სვანიშვილის ნამუშევრების თემა მეტად აქტუალური და თანამედროვეა. შესრულების მანერა კი რეალისტური. მხატვარი ცდილობს, აჩვენოს გრაფიკულად დახვეწილი ტექნიკა და მეტნაკლებად ახერხებს კიდევ ამას. ტუშით შესრულებული ნამუშევრები გამოირჩევა მხატვრული სიფაქიზითა და მრავლისმომცველი ტევადობით.

ნიჭიერი გრაფიკოსი არც ფერწერას ლალატობს. არაერთი საინტერესო ნამუშევრით გაამდიდრა თავისი შემოქმედებითი პალიტრა.

ახალგაზრდა მხატვრის მისწრაფებების ხორცშესხმას დიდად შეუწყობ ხელი მისმა ხელმძღვანელმა და პედაგოგმა ირაკლი გორდელაძემ.

პროფესორმა დიმა ერისთავმა ზ. სვანიშვილის სადიპლომო ნამუშევარს „ოპტიმისტური ილუზია“ მაღალი შეფასება მისცა. მის ავტორს კი შემოქმედებითი გზის საიმედო დასაწყისი დაულოცა.

იმედია, ზაზა გაამართლებს თავისი აღმზრდელების, ახლობლებისა და მისი ნიჭის ქომაგთა სურვილებს. უფრო დახვეწს და სრულყოფს თავის შემოქმედებას.

**მე-7 ნომარში გამოქვეყნებული ქროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 3. ვრიბოდეოვი. 8. ეშელონი. 9. მორავია. 11. იარა. 13. ფიქსაცია. 14. პალუსტრა. 15. ფარა. 17. ცაიტნოვი. 20. ჯაბადარი. 23. ლიხაჩოვი. 25. პრემიერა. 27. აინი. 28. ატრაქტი. 30. ბენეფისი. 32. ინგლისი. 35. იარვეტი. 36. პრესიტორია.

**შპეულად:** 1. კრეონტი. 2. ყვირილა. 4. ბრინჯი. 5. დამბა. 6. უშინსკი. 7. შიქასტა. 10. დისციპლინა. 18. ტოვა. 19. ოსლო. 21. ბადე. 22. დასი. 24. ხერსონი. 26. ტრფურტი. 29. ტერიერი. 31. ენერჯია. 32. კრივი. 33. აკიდო.

გარეკანის პირველსა და მეოთხე გვერდებზე გიორგი ოჩიაურის ნამუშევრები.

გადაეცა წარმოებას 18. 08. 90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1. 08. 90. ქალაქის ზომა 70x108/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით, ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, საადრისცხო-საგამომცემლო თაბახი 5,89, ტირაჟი 54.000. შეკვეთა 1858. ფასი 33 კპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

**ტელეფონები:** მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 98-28-42, 99-01-89, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.


რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.





უხიტუვოდ


დ ე ბ ი უ ტ ი



- რაზე დაიჭირეს ეს ჩვენი მეზობლები?
- აზარტული თამაშისთვის.
- ფულზე?
- არა სურსათის ტალონებზე.



უხიტუვოდ



— ისევ უკრაინული ხორცი მიიღეს!



ბ 42/103 ინდექსი 76056

ქართული  
სიზღოთეკა



ბ 42/103